

სახალხო არტისტი



l s b s b m m f n l y f n



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
სამინისტრო

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

ედღვნება გამოჩენილი ქართველი მსახიობის

თენგიზ არჩვაძის

ცხოვრებასა და შემოქმედებას

2017 წლის 3 აგვისტოს მას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა

ინტერვიუებს იუბილართან და რესპოდენტებთან უძღვება


წიგნის ავტორი დიმიტრი ხვთისიაშვილი



„ლაზებო, მართალია, ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის, ხომ ხედავთ. მეც თქვენთან ვარ განსაცდელის ჟამს, ლაზებო. სიკვდილი ისეთი რამეა, უჟამოდაც არ აგვცდება, იცოდეთ, რადგან არავინ იცის, როდის გვეწვევა იგი. ხომ ხედავთ, რა შლეგია სიკვდილი. ისეთ უგუნურ ცხოველებს თან დაჰყვება, როგორიცაა ვირთხები და რწყილები. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ლაზებო, უქნარობაში რომ დავიხოცოთ, იმას არა სჯობს, ჩვენი მოვალეობის შესრულებისას გვეწვიოს სიკვდილი. ეგეც იცოდეთ, ძმებო, ზარმაცებსა და მშიშარებს უმალ ეწვევა იგი, ვიდრე მამაცებსა და გამრჯელებს. რას იტყვიან იბერიელები? მშიშარნი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი.“

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი. აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ ოდესმე გილაღატინიათ მათთვის? ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჟამმა რომ გვასწავლოს ღალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო. ეგეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საძაგებელი არაა ამქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე, მშიშარა ვაჟკაცები, ლაზებო“.

კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“



„დიდოსტატის მარჯვენა“





„დიდოსტატის მარჯვენა“

ავტორისაგან

უკვე მესამე წიგნის წარდგენას ვაპირებ თქვენთვის, ძვირფასო მკითხველო-მაყურებლო, სერიიდან „სახალხო არტისტი“. ისევე, როგორც წინა ორი წიგნის (გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე) წარდგენისას, ახლაც განსაკუთრებულად ვლელავ. ვლელავ ისე, როგორც საკუთარი სპექტაკლის პრემიერის დღეს, რადგან ეს წიგნები ჩემთვის იგივე სპექტაკლებია, უფრო მეტი პასუხისმგებლობით და მორიდებით შემოთავაზებული. სპექტაკლი შენი პირმოა. იქ გამარჯვება და დამარცხება ძმები არიან. ან გამოგივა წარმოდგენა და ან არა. ამ შემთხვევაში მე მკითხველ-მაყურებელს წარუდგენ მისთვის საყვარელ და მის მიერვე აღიარებულ შემოქმედს, რომელსაც ზედმეტი დიტირამები არ სჭირდება. ისედაც ყველასათვის ყველაფერი ცნობილია. ხალხმა დიდი ხანია შეიყვარა და აღიარა ეს შესანიშნავი მსახიობი და ღირსებით სავსე ადამიანი.


წოდება „სახალხო არტისტი“ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, აღარ არსებობს, თუმცა სახელმწიფოსგან მინიჭებულ წოდებაზე გაცილებით მეტია, შენი მაყურებლისთვის რომ იქცევი სახალხო მსახიობად. მე ვცდილობ, ამ სერიით გამოცემულ წიგნებში მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული სახალხო მსახიობების შესახებ გიამბოთ. უფრო სწორად, მათ მივცე საშუალება, წიგნის ფურცლებიდან თავიანთი ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ თქვენთვის აქამდე უცნობი ამბები მოგიტხრონ.

წიგნი III დიდ ქართველ მსახიობს, ბატონ თენგიზ არჩვაძეს, მისი ცხოვრების და შემოქმედების გზას ეძღვნება. წინა ორი რესპოდენტისგან განსხვავებით, ბატონი თენგიზი საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, თუმცა ამ სიტყვაძუნწობაშიც შეიგრძნობოდა საოცარი სიდიადე, რომელშიც გაერთიანდა პიროვნული და შემოქმედებითი ხიბლიც და გამორჩეულად ქართული, ეროვნული ენერგეტიკაც.

თენგიზ არჩვაძე სხვადასხვა ეპითეტით შემკული შემოქმედია, მაგრამ ყველაზე მეტად მურმან ლებანიძის ერთი ფრაზა მომწონს – „ეპოქის ჭუჭყში გაუსვრელი კაცი“. ამ ფრაზაში თითქოს მთლიანად ჩანს მსახიობის პიროვნება, ხელოვანისა, რომელიც ექვს ათეულ წელზე მეტია, მსახიობის მღელვარე ცხოვრებით ცხოვრობს და არაერთი შესანიშნავი მხატვრული სახის შემქმნელ-დამბადებელია.

მეც მქონდა ბედნიერება, მემუშავა მასთან... კიდევ უფრო დიდი ბედნიერება იყო, როდესაც სრულიად გაუთვალისწინებლად, ერთი მოულოდნელი შემთხვევის გამო მისი პარტნიორიც ვიყავი სცენაზე და ბედნიერებათა ჯაჭვი რომ გავამთლიანოთ – მაქვს პატივი, მისთვის ყველაზე ძვირფას ქართველ მაყურებელს წიგნის ფურცლებიდან ვესაუბრო მასზე. ისე ნუ გამიგებთ, ძვირფასო მკითხველო, თითქოს ამ წიგნს პრეტენზია ჰქონდეს, პროფესიულად შეაფასოს დიდი მსახიობის შემოქმედებითი გზა. არა, ბატონებო! თენგიზ არჩვაძის შემოქმედებას, დარწმუნებული ვარ, პროფესიონალი მკვლევრები მომავალში კიდევ ბევრჯერ მიუბრუნდებიან და ეს წიგნი მისი პორტრეტის სრულად წარმოდგენისათვის მათ მეგზურადაც იქცევა.

ბოლოს კი იმედს ვიტოვებ, „არაპროფესიონალი მკვლევრის“ მიმართ ზედმეტად მკაცრი არ იქნებით.



თენგიზ არჩვაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი

დიმიტრი ხვთისიაშვილი



წინასიტყვაობის მაგიერ





ლელა ოჩიაური – გამორჩეული

ნათელა არველაძე – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 149, 23.12.61წ.

ალეკო შალუტაშვილი – ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1973წ.

ნადეჟდა შალუტაშვილი

ნათელა არველაძე – თ. გოდერძიშვილი – „ასის წლის წინათ“,

რეჟისორი თ. ჩხეიძე, 1982 წ.

ჯემალ მონიავა – „სიზმრად ნანახი კაცი“ (ფრაგმენტები)

გურამ გვერდნითელი – გ. ფანჯიკიძე – „თვალი პატიოსანი“,

დამდგმელი რეჟისორი ნ. გაჩავა, 1973 წ.



გამორჩეული

ქართულ კინოში ყოველთვის იყვნენ მსახიობები, რომლებსაც რეჟისორებიც გამოარჩევდნენ და მაყურებლებიც. მათთან შეხვედრაზეც ოცნებობდნენ და როლზე მათ აყვანას პატივად თვლიდნენ. დღესაც არიან ასეთები, და არიან კიდევ რჩეულთაგან გამორჩეულები. ასეთია თენგიზ არჩვაძე – თეატრისა და კინოს მსახიობი, რომლის სახელიც იცის ყველამ, ვისაც ხელოვნება უყვარს, რომლის ყოველი ახალი გამოჩენა სცენასა თუ ეკრანზე სალაროებთან რიგებს წარმოშობდა, იმედგაცრუების შემთხვევა არ ყოფილა და დღესაც, თუ სადმე ეს სახელი გამოკრთება, იგივე განმეორდება.

თენგიზ არჩვაძის შემოქმედებითი ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც ქართულ კინოში ახალი ეპოქა დგებოდა – 60-იანი წლები. კინოდებიუტი სიკო დოლიძის „ფატიმაში“ ჰქონდა, თავად ბადალაევის როლში. პირველი მთავარი როლი კი სწორედ 60-იანელი ლანა ლოლობერიძის სამი ნოველისგან შემდგარ ფილმში „ერთი ცის ქვეშ“ შეასრულა. ბოლო ნოველაში „ფრესკა“, სადაც მოქმედება XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხდება, მხატვრის სახე შექმნა და ფაქტობრივად დასაბამი დაუდო ქართულ კინოში ახალი გმირების გამოჩენის ტენდენციას – არა მუშა, კოლმეურნე, გლეხი თუ კომუნისტი, არამედ ინტელიგენტი, ხელოვანი და მათგან ყველაზე თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი – მხატვარი (იმ პერიოდში მოდური პროფესია რეალობაშიც და კინოშიც), რომელიც თავისუფალი ცხოვრებისა და აზროვნების გამოხატულება იყო არასაბჭოურად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილისთვის.

სულ პირველი როლი (სიკო დოლიძის „ფატიმაში“) საზოგადოებისთვის ასე თუ ისე შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ მხატვრის როლში, ლანა ლოლობერიძის „ფრესკიდან“, ყველამ გაიცნო და ეს ნაცნობობა, სამსახიობო კარიერაში პაუზის მიუხედავად, დღემდე გრძელდება და ცოცხლობს.



„კეთილი ადამიანები“





კინოფილმ „დიდოსტატის მარჯვენას“ გადასაღებ მოედანზე.
ლიანა ასათიანი, ლეილა აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე, ლალი ბადურაშვილი

პირველი წარმატებული როლის შემდეგ, მხატვრის, ხელოვანის, არქიტექტორის, ინტელექტუალის როლების შესრულება თენგიზ არჩვაძეს არაერთხელ მოუწია, რასაც მისი გარეგნობა, ინტელიგენტური იერი, დახვეწილი შინაგანი სამყარო და განუმეორებელი მომხიბლაობა განაპირობებდა.

თუმცა, ამ და შემდგომი პერიოდის ქართული კინო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მაინც საბჭოთად რჩებოდა ფორმით, შინაარსით, პერსონაჟებით, თემებით... ის კვლავ ასახავდა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებასა და პრობლემებს, მის ყოველდღიურობასა და სულიერ სწრაფვებს – მკაცრად შემოსაზღვრულ ჩარჩოებში და ამდენად, მსახიობებს არ აძლევდა შესაძლებლობას, სრულად და მრავალმხრივ ერყვნებინათ „ჩვეულებრივი“ თვისებები, უნარები, სწრაფვები.

თენგიზ არჩვაძეს უმუშავია ფაქტობრივად ყველა ქართველ რეჟისორთან, რომლების უმეტესობას მიჰყავდა კიდეც საქართველოს კინემატოგრაფიული ცხოვრება. მათ შორის არიან – ნიკოლოზ სანიშვილი, შოთა მანაგაძე, ნოდარ მანაგაძე, სიკო დოლიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ნელი ნენოვა და გენო წულაია, მიხეილ კალატოზიშვილი, თენგიზ აბულაძე, ლანა ლოლობერიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, სერგო ფარაჯანოვი, ვალერიან კვაჭაძე, ერეკლე ბადურაშვილი, დევი აბაშიძე, ლიანა ელიავა, ოთარ აბესაძე, გუგული მგელაძე, ქეთი დოლიძე და სხვა და სხვა.

ეკრანზე გამოჩნდა რამდენიმე ათეული ფილმი, მათი უმეტესობა მხატვრული ხარისხით არ გამოირჩევა (ვერაფერს იზამ, დრო იყო ასეთი და ის დიდხანს გაგრძელდა) და რამდენიმე

ათეული დიდი და პატარა როლი, რომლებშიც თენგიზ არჩვადე უბრალოდ ბრწყინავდა. ყოველგვარი გადამეტებისა და გაზვიადების გარეშე. მისი შექმნილი პერსონაჟები იცებოდნენ, ცოცხლდებოდნენ, „ადამიანებად იქცეოდნენ“. ძველი სახეების ჩამნაცვლებელი, ახალი, თუმცა უკვე ასევე სტერეოტიპულად ჩამოყალიბებული ტიპაჟები განსხვავებულად და არაბანალურად წარმოდგებოდნენ. თენგიზ არჩვადე არაფრით გამორჩეულ, უღიმღამო ფილმებშიც კი რჩეულ სახეებს ქმნიდა და გამოირჩეოდა.

რამდენიმე ათეული ფილმი ქართველი თუ უცხოელი რეჟისორების ავტორობით, რამდენიმე ათეული როლი, მათგან რამდენიმე ეპოქალური, კლასიკად ქცეული, მაგრამ მაინც უნდა ითქვას – ქართულ კინოს თენგიზ არჩვადის შესაძლებლობები ბოლომდე არ გამოუყენებია. უფრო ზუსტად, ნაწილობრივ გამოიყენა, მაშინ, როდესაც მსახიობის მონაწილეობა, როგორც აღვნიშნე, ყველაზე უსახურ და არაფრით გამორჩეულ ფილმსაც აკეთილშობილებს და ნებისმიერ, თვით ყველაზე უმნიშვნელო პერსონაჟსაც, უარყოფითსაც კი, მნიშვნელოვანს, გამორჩეულსა და დასამახსოვრებელს ხდის.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი – თენგიზ არჩვადე იმ იშვიათ მსახიობთაგანია, რომელმაც ზუსტად აულო ალლო კინომსახიობის ოსტატობის სპეციფიკას და კინოსთვის ასე ხელისშემშლელი და წინააღმდეგობრივი „თეატრალურობა“ (რაც მშვენიერია თეატრში და კინოში ხარისხს აფუჭებს) ადვილად ჩამოიცილა.

მსახიობი, რომელიც ერთნაირი მოხდენილობით ირგებდა ჩოხასაც, სმოკინგსაც, სხვადასხვა ეპოქის თანამედროვე ჩაცმულობასაც, მეფის, გრაფის თუ გლეხის სამოსსაც, ისტორიული გმირის ნილაბსაც და თანამედროვე ადამიანისასაც, ნებისმიერ პერსონაჟში ხდებოდა ორგანული და ბუნებრივი, მაშინაც კი, როდესაც მისთვის „არაბუნებრივ“ და ნაკლებად საინტერესო გმირს ასახიერებდა.



„გზის დასაწყისი“. თენგიზ არჩვადე, მარინა ჯანაშია



თვითონ ქმნიდა ამ გმირების მახასიათებლებს – დრამატულიდან ლირიკულ პერსონაჟებამდე, ტრაგიკულიდან მსუბუქი ირონიით გამდიდრებულ პიროვნებებამდე, დადებითიდან უარყოფით სახეებამდე, რომლების თვისებებიც, გახსნილი თუ ფარული ბიოგრაფიები მთავარ საყრდენს შეიცავენ – მსახიობი ყველა შემთხვევაში ცდილობს, ფსიქოლოგიური შტრიხებით შეავსოს გმირების ბუნება, ქმედების მოტივაცია, შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებები, რეაქციები ამა თუ იმ მოვლენაზე. განავითაროს და აჩვენოს განვითარების ეს პროცესი, უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი ელემენტი. სიღრმეში ჩასწვდეს ადამიანის ზოგადად და კონკრეტული გმირის ხასიათს.

თენგიზ არჩვაძის ინდივიდუალური პიროვნული სამყარო, რბილი და მშვიდი ხასიათი, ღირსება, მოკრძალებულობა, შინაგანი წონასწორობა, თავშეკავებულობა ნათლად ჩანს როლებშიც. მისი პერსონაჟები იქმნება მინიმალისტური ხერხებით, ყოველგვარი გარე ეფექტების გარეშე. თითქოს თვალით უხილავი, შეუმჩნეველი მანერით, ძალიან დახვეწილი და მოქნილი შტრიხების აქტიური, ოღონდ ასევე.

მკვეთრად გამოიწნული – „დადებითი და უარყოფითი“ გმირები ქართული საბჭოთა კინოს განუყრელი თავისებურება იყო. მაგრამ თენგიზ არჩვაძე ამ სტერეოტიპსაც ანგრევდა და „შავი და თეთრი“ სახეების არსებობას მდიდარი ტონებით, ნიუანსებით, სიღრმისეული ძიებებით ავსებდა და მოცულობითს, არასიბრტყობრივს ხდიდა.

არსებობენ მსახიობები, რომლების მიმართაც მაყურებლის სიმპათია-ანტიპათია, სიყვარული და უარყოფითი განწყობა განსაზღვრებული პერსონაჟების თვისებებიდან ჩნდება და დიდი ძალაა საჭირო სარეაბილიტაციოდ, უკვე შექმნილი იმიჯის დასამსხვრევად. თენგიზ არჩვაძეს საზოგადოების თვალში უარყოფით პერსონაჟთან გაიგივების პრობლემა არასოდეს ჰქონია. მისი შესრულებული უარყოფითი პერსონაჟებიც მაყურებლის თანადგომასა და თანაგრძნობას იწვევენ. შინაგანი და გარეგნული ძალა და მიმზიდველობა, მსახიობისვე დამოკიდებულება სამყაროსა და ადამიანების მიმართ მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პერსონაჟის ხასიათსაც და იმ ფაქტსაც, რომ თანადგომას ყოველი ჩვენგანი იმსახურებს.


თენგიზ არჩვაძეს 46 ფილმში აქვს ნათამაშები. ესენია: „ერთი ცის ქვეშ“ – ზაზა, „კეთილი ადამიანები“ – თამაზი, „ხევისბერი გოჩა“ – გუგუა, „შეხვედრა მთაში“ – ვახტანგი, „ვედრება“



„მალე გაზაფხული მოვა“.

თენგიზ არჩვაძე, ნუგზარ მაჭავარიანი, სერგო ზაქარიაძე





„ფერმა მთაში“


– ალუდა, „დიდოსტატის მარჯვენა“ – არსაკიძე, „დათა თუთაშხია“ – მუშნი ზარანდია, „ნიგნი ფიცისა“ – მეფე ერეკლე, მეფე ალექსანდრე, „სანამ წვიმა გადივლიდეს“ – ვახტანგი, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ – გრაფი, „ანთიმოზ ივერიელი“ – ანთიმოზის მამა, „შვეციის პრინცი იმერეთიდან“ – თენგიზი, „პრემიერა“ – ირაკლი, „სპირალი“ – მღვდელი და მრავალი სხვა.

ამ სახეებს შორის რამდენიმე გამორჩეული როლია, რომლების განსაკუთრებულობა ბევრი მიზეზითაა გაპირობებული და ქართული კინოსა და სამსახიობო ხელოვნების საუნივერსიტეტო არის ქცეული – არსაკიძე – „დიდოსტატის მარჯვენა“ (რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი), მუშნი ზარანდია – „დათა თუთაშხია“ (რეჟისორები – გიგა ლორთქიფანიძე, გიზო გაბისკირია), ალუდა ქეთელაური – „ვედრება“ (რეჟისორი თენგიზ აბულაძე), გუგუა – „ხევისბერი გოჩა“ (რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი), დათიკო – „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი ლანა ლოლობერიძე), იმედა – „ხევსურული ბალადა“ (რეჟისორი შოთა მანაგაძე), ალესანდრინი – „წითელი კარავი“ (რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი).

დღეს ძნელი წარმოსადგენია, სხვას ვის შეეძლო შეესრულებინა კონსტანტინე არსაკიძის როლი. შუა საუკუნეების ლეგენდარულ-ლიტერატურულ სახეს ისეთი და იმდენი თვისება, ხასიათის მდიდარი შტრიხები და მეტყველების იმდენად ბუნებრივი მანერა მოუძებნა, მოძრაობაც კი იმდენად ცოცხალი და სპეციფიკური მიუსადაგა, რომ ყველა წარმოდგენა, ყველა წარ-



„არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“.
კოტე მახარაძე, თენგიზ არჩვაძე



„ღმერთო, რისი გულისთვის“



მოსახული თავისებურება, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს რომანის წაკითხვის შემდეგ ჩამოუყალიბდა, ერთი ხელის მოსმით მოშალა და ყველას აღქმაში შეუდარებელ სახედ დამკვიდრდა.

არსაკიდე – ხუროთმოძღვარი და არსაკიდე – ადამიანი. ხელოვანი და პიროვნება. ეპოქის, დროის კანონების მორჩილი, რომელმაც გაუსწრო და აჯობა დროს. ურჩხულთან მებრძოლი უშიშარი რაინდი და გრძნობების მსხვერპლი – ამ უსასრულო გრძნობების, შეგრძნებების, წინააღმდეგობების რთულ გზაზე აგებს თენგიზ არჩვაძე დიდოსტატის სახეს და ახალ ლეგენდად აქცევს.

ან ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მუშნი ზარანდია, მრავალწახნაგა და ურთულესი ბუნებისა და ბიოგრაფიის პერსონაჟი, რომლის სამყარო და სახე თენგიზ არჩვაძემ სრულიად მოულოდნელი, ახალი და ძლიერი თვისებებით გაამდიდრა.

აუღელვებელი, მუდამ საკუთარ თავში ჩაძირულ, ღრმა ფიქრებში წასული და აქტიურად მოქმედი, მტკიცე ბუნებისა და მიზანსწრაფული ზარანდია, ნიჭიერი და ჭკვიანი პიროვნება, მრავალნილობიანი და დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე ოსტატურად მოთამაშე, გამყიდველი და გულისხმიერი, რომლის ნამდვილი სახე აშკარად არსად ჩანს და ყველა სიტყვაში, გამომეტყველებასა თუ ჟესტში გამოსჭვივის.

ის შინაგანი ორთაბრძოლები და დაუმსახურებელი ბრალდება, რაც განსაკუთრებით ტრაგიკულს ხდის გუგუას თენგიზ არჩვაძის სამსახიობო ინტერპრეტაციით, ის სამყარო, რომელშიც იგია მოქცეული და თავისი კანონები აქვს, მსახიობმა განსაკუთრებული სიფაქიზით ასახა და მეორეხარისხოვანი გმირი, სწორედ სახის სისავსის წყალობით, ფილმის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად აქცია.

ორი სამყაროს, ორი ცივილიზაციის შეჯახებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ხატად ააწყო იმედას სახე და განუმეორებელი მიმზიდველობა შესძინა თენგიზ არჩვაძემ, როგორც ხდება ხოლმე, როდესაც საქმე ცოცხალ და სრულფასოვანი ნიშნებით შემკულ პერსონაჟთან გვაქვს. ჩვეულებრივი ადამიანი, ჩვეულებრივი ვნებებით, ინტერესებითა და სურვილებით არღვევს მთის სამყაროში ჩაკეტილი საზოგადოების ჩვეულებრივ ცხოვრებას. დადგენილი წეს-რიგი იშლება და იმედა ამ კატასტროფის მთავარ, თუმცა უნებლიე მიზეზად იქცევა.

დათიკო – დეზერტირი, რომელიც უარყოფითი პერსონაჟია და არ უნდა იწვევდეს პუბლიკის სიმპათიას, როგორც ეს რომანის შემთხვევაში ხდება, თენგიზ არჩვაძის წყალობით, მაყურებელში ყველაზე მნიშვნელოვან განცდას ბადებს – თანაგრძნობასა და სიბრალულს. შემწყნარებლობას.

ჩვენ, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, როდესაც როლს თენგიზ არჩვაძე ასრულებს, იმაზე მეტს ვიგებთ საზოგადოების შესახებ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ჩვენთვის ცხადი ხდება მოტივები და მიზნები, რომლებიც ადამიანებს ამოძრავებენ, რომლებიც არასწორ ნაბიჯებს ადგმევინებენ, უბიძგებენ, ჩაიდიხონ დანაშაული. და ამდენად, ჩნდება სურვილი, ზოგჯერ გაუცნობიერებელიც, რომ შევუდოთ მათ.

ალუდა ქეთელაურის – თავისუფალი და დაუმორჩილებელი ვაჟკაცის, მშვიდი, აუღელვებელი, სამყაროსთან სრულ ჰარმონიაში მყოფი ადამიანის ყოველი და გააზრებული ნაბიჯი განუმეორებელ სისტემას ქმნის. აქ თენგიზ არჩვაძე აბსოლუტურად თავისუფალია. ალუდა თვითონაა – ჩაკეტილი და გახსნილი, შეუდრეკელი და დაუმორჩილებელი, უშიშარი და გულნატკენი, ნამდვილი გმირი, რომელსაც ღირსებისთვის შეუძლია, ყველაფერი განიროს და საკუთარ თავს განაჩენიც თავადვე გამოუტანოს.

თითქმის უტექსტოდ, დიალოგების გარეშე, ფაქტობრივად ცოცხალი სიტყვის არარსებობის მიუხედავად, თენგიზ არჩვაძე (ფილმში მონაწილე სხვა მსახიობებთან ერთად) მხოლოდ



ქმედებით, მხოლოდ მოძრაობით, მხოლოდ გამომეტყველებით, ყოველგვარი ზედმეტი მიმიკისა და უტრირებული მანერების გარეშე ხატავს ფსიქოლოგიურ პორტრეტს, რომელსაც კადრს-მიღმა ტექსტთან – ლექსთან – სრული თანხვედრა აქვს.

ალუდა ქეთელაურის დრამის ყურებისას, ფილმის მხატვრული განზოგადებისა და ამბის „ზღაპრულობის“ მიუხედავად, მაყურებელს შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ნამდვილად ხდება, რომ მის წინ არა მსახიობები, არამედ ნამდვილი ადამიანები არიან. და იმის მიუხედავად, რომ ბოლო კეთილი არაა, როგორც ყოველთვის თენგიზ არჩვაძის გმირები, ალუდაც გვჩუქნის იმედს, რომ ამ განდევნით არაფერი მთავრდება.

თენგიზ არჩვაძის აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდება, 1961-დან 2003 წლის ჩათვლით, ერეკლე ბადურაშვილის ფილმამდე „კიდევ ერთი ქართული ისტორია“. მას მერე მსახიობი კინოში აღარ გადაუღიათ. კრიზისის პერიოდში, რომელიც 20 წელზე მეტხანს გაგრძელდა და რამაც ქართული კინოს განვითარება, ახალ რეალობასთან მორგება და მეტ-ნაკლებად დატვირთული შემოქმედებითი პროცესები მნიშვნელოვნად შეაფერხა, არ შეიქმნა ფილმები, რომლებშიც მსახიობი ახალ სახეს შექმნიდა, არ აღმოჩნდა როლი, მისი შესაძლებლობების შესაფერისი, რომელიც ეკრანზე დააბრუნებდა.

თენგიზ არჩვაძეს მიღებული აქვს – შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და სსრკ სახელმწიფო პრემიები, საქართველოს დამსახურებული და საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები და მრავალი სხვ. ერთი სიტყვით, ყველა სახელმწიფო წოდება და პრემია, რომლებიც საქართველოში არსებობდა და არსებობს. სულ ახლახან გაიხსნა მისი ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ, სადაც მრავალი წელი მუშაობდა და გამორჩეულ სახეებს ქმნიდა. თუმცა თენგიზ არჩვაძე ყველაფერ ამის გარეშეც ვარსკვლავია და აქვს ყველაზე მთავარი ჯილდო, რომელიც შეიძლება ადამიანმა მიიღოს – ხალხის პატივისცემა და სიყვარული. (პათეტიკის გარეშე).

პირადად მე თენგიზ არჩვაძის სახელი პირველად ბევრად ადრე გავიგე, ვიდრე ფილმებსა თუ სპექტაკლებს ვნახავდი მისი მონაწილეობით. ის პირველი ნანახი ფილმიც მახსოვს, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა – „კეთილი ადამიანები“. შეიძლება, მაშინ ბევრი ვერაფერი ან საერთოდ ვერაფერი გავიგე, მაგრამ ნანახმა გაგონილი მაინც „გააცოცხლა“ და სახელიც მიუსადაგა – კეთილი ადამიანი. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, ფილმს ფილმი მიემატა, სპექტაკლს – სპექტაკლი, გაგონილსა და ნანახს – პირადი ნაცნობობაც. საუბრები საქართველოს, ქართველი ერის შესახებ; იმაზე, თუ რა ხდებოდა და რა ხდება ქართულ კინოსა და თეატრში, ქართულ ლიტერატურასა და მხატვრობაში. განათლებული, გონიერი და გულშემატკივარი ჩემთვის დღემდე „კეთილ ადამიანად“ დარჩა, რომლის შესახებაც ოდესღაც მიღებული და ჩამოყალიბებული წარმოდგენა აღარასოდეს გაუფერულებულა და შეცვლილა და რომელსაც, დროთა განმავლობაში, კიდევ ერთი ეპითეტი – გამორჩეული – შეემატა.

ლელა ოჩიაური





„დათა თუთაშვილი“. იური იარვეტი, თენგიზ არჩვაძე



* * *

მეოთხეკურსელი თენგიზ არჩვაძე მარჯანიშვილის თეატრში მიიწვიეს თეატრის მაშინდელმა დირექტორმა, ბატონმა ივანე გვინჩიძემ და ამავე თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ბატონმა ვასო ყუშიტაშვილმა, სადაც თენგიზს მართლაც დიდი მსახიობების თანავარსკვლავედი დახვდა.

აი, ისინიც:

ქალბატონები: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, მედეა ჯაფარიძე, დოდო ჭიჭინაძე.

ბატონები: ვასო გოძიაშვილი, შალვა ღამბაშიძე, აკაკი კვანტალიანი, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე გომელაური, ალექსანდრე ოშიაძე და ბევრი სხვა, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ თეატრალურ დასს დაამშვენებდნენ.

თ. არჩვაძეს მარჯანიშვილის თეატრში პირველად რუსული ტექსტის წარმოთქმა მოუხდა. მან სპექტაკლში „მეფე ერეკლე“ რუსი ოფიცერი ითამაშა.

1956 წელს რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა მარჯანიშვილის თეატრში დადგა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. ბატონმა არჩილმა გამოუცდელ ახალბედა მსახიობს თენგიზ არჩვაძეს მეტად საპასუხისმგებლო როლი მიაწოდო, ცბიერი მოხუცის, მოლა მუსასი.

უნდა ვთქვათ, რომ ეს როლი თენგიზ არჩვაძემ ბრწყინვალედ შეასრულა. მუსას სახემ პირველი დიდი შემოქმედებითი სიხარული მოუტანა დამწყებ მსახიობს, რითაც, როგორც თეატრის ხელმძღვანელობის, ასევე მთლიანი კოლექტივის და ქართველი მაყურებლის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა. ეს იყო მისი პირველი საპასუხისმგებლო როლი მარჯანიშვილის თეატრში.

თენგიზ არჩვაძეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მრავალი როლი აქვს განსახიერებული. მისი გმირები სხვადასხვა ეპოქის და ბუნების ადამიანები არიან, მაგრამ ყოველი მათგანი მსახიობის მიერ უდიდესი პასუხისმგებლობითაა ხორცშესხმული. იგი ისეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელზეც უსასრულოდ შეგიძლია ილაპარაკო. მას არ შეუქმნია არც ერთი მხატვრული სახე, რომელსაც მაყურებელში არ გამოენვიოს დიდი ემოციები, სიყვარული თუ სევდა. მისმა გმირებმა იციან მეგობრობის, ერთგულების, მშვენიერების ფასი. ყველა როლი, რაც მას შეუქმნია, სარკეა თვით მისი პიროვნების. თენგიზ არჩვაძე თავისი შემოქმედებით დიდწილად განსაზღვრავს არა მარტო თეატრალურ და კინოხელოვნებას, არამედ მთლიანად მშობლიურ, ქართულ კულტურას.

როცა ქვეყანას ჰყავს ასეთი შემოქმედი ადამიანი – თენგიზ არჩვაძე, თავს უფლებას აძლევ, აღიარო, რომ საქართველო არის ევროპული კულტურის ნაწილი...



„მოკვეთილი“

ნათელა არველაძე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 149, 23.12, 61 წ.



* * *

წარმოსადეგი გარეგნობა, ფიქრიანი, სხივჩამდგარი თვალები, გამჭრიახი, შთამაგონებელი მზერა, დინჯი, ვაჟკაცური ნაბიჯი, კეთილი ღიმილი – ასე ვიცნობთ თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობს, თენგიზ არჩვაძეს. მის გარეგნულ თვისებებსა და შინაგან სცენურ მომხიბვლევლობას ბუნებით მომადლებულ შემოქმედის ნიჭს თუ დაუმატებთ, მაშინ გასაგები გახდება თენგიზის, როგორც მსახიობის პოპულარობის მიზეზი.

რაინდული სულის მქონე, მოყვასის ერთგული და მშობლიური მიწა-წყლის უსაზღვროდ მოტრფიალე თენგიზ არჩვაძე უყვარს მაყურებელს, მაგრამ ეს სიყვარული და პოპულარობა ერთბაშად როდი მოიპოვა მსახიობმა. მას წინ უძღოდა მრავალი წლის შემოქმედებითი შრომა-ძიება.

ზომიერების გრძნობა, გამომსახველობითი ხერხების სიძუნწე, ლაკონიურობა, გამირთა მეტყველების თავშეკავებული ტონი, რიტმის მძაფრი შეგრძნება – მსახიობის ეს ინდივიდუალური თვისებები როლიდან როლში თანდათან უფრო გამოიკვეთა, უფრო რელიეფური გახდა.

არჩვაძე როლზე მუშაობისას ნაკლებად მიმართავს გარეგნულ ეფექტებს და აქცენტი გადააქვს გმირის შინაგან ხასიათზე, გარდასახვის შინაგან იმპულსზე. ცდილობს წარმოსახოს თავისი გმირი არა გარეგნული მსგავსებით, არამედ შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე.

თენგიზ არჩვაძე მეორე პლანით წარმართავს თავის როლს: ის უფრო განიცდის, ვიდრე გამოხატავს, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე წარმოთქვამს. ნაგულისხმევი აზრი და ფიქრი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად აქცევს ამ სახეს. ეს ძლიერი პიროვნებაა, რაღაც მნიშვნელოვანი აზრით შეფიქრიანებული, რწმენაგაბზარული, მაგრამ მაინც პიროვნება, რომლის დამარცხება ანდა ორმოცდაათი გრადუსით შემობრუნება თუ უკან დახევა მძიმე არტილერიის გარეშე არ მოხერხდება.



ალეკო შალუტაშვილი
ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1973 წ.

„კეთილი ადამიანები“



* * *

თენგიზ არჩვაძე თხემით ტერფამდე ქართველი, ამავე დროს, ევროპული ტიპის ინტელიგენტის განსახიერებაა. მისი ბუნებისათვის უცხოა ყოველივე მორვენებითი, გარეგნული ეფექტები. სცენაზეც და ცხოვრებაშიც უტყუარია, არავის არასოდეს ბაძავს, არაფერს „თამაშობს“. მის არსებაში საოცარი ჰარმონიულობით თავსდება ეროვნული ბუნება და ორგანული ევროპულობა.

ნადეჟდა შალუტაშვილი



„ასის წლის წინათ“. 1982 წ.



თ. გოდერძიშვილი, „ასის წლის წინათ“ რეჟისორი თ. ჩხეიძე (1982 წ.)

...თენგიზ არჩვაძის (ავტორი) შესრულებაში უპირველესად გვატყვევებს მსახიობის უნარი – დაინახოს სამყარო მოაზროვნე მამულიშვილის თვალით და ყოველი ნიუანსი შესამჩნევი გახადოს მაყურებლისათვის. მსახიობმა პიროვნული ენერგია ჩააქსოვა თავის ეპიზოდებში და საცნაური გახადა სპექტაკლის ავტორის პოზიცია. სწორედ მსახიობის შესრულების მეშვეობით, ტენდენციური რეჟისურა ორგანულად შეუთავსდა მწერლის ტენდენციურობას.

თ. არჩვაძე „მგზავრის წერილების“ ავტორს არ წარმოგვიდგენს. აქ ტრადიციულ ნამდვილობას შეენაცვლა ილიას რამდენიმე თვისების წარმოდგენის ცდა. სიღინჯე, დაფიქრებული შეუპოვრობა, დაუნდობელი სიმართლის დაუფარავად თქმის უნარი, საქმიანი ქადაგებისადმი მისწრაფება. ვფიქრობ, ამ თვისებათა ერთობლიობამ შეგვავრძნობინა ილიას აზროვნების ფილოსოფიური სიღრმე, რომელიც ასე ორიგინალურად გაითავისა თ. არჩვაძემ. მისი უშუალო მიმართვა მაყურებლისადმი ალესილია მღელვარე ფიქრით, მისი გმირის გარეგნულ სიღარბაისლეში აზრის მოძრაობა იკითხება, რაც მასშტაბურს ხდის თავად პერსონაჟსაც და მთლიანად მოვლენასაც.

... თ. არჩვაძის პერსონაჟი სპექტაკლის კამერტონია. იგი თავად არის მონოლითური ძალა, რომელიც ცდილობს, ერთიანი აზრისკენ წარმართოს სპექტაკლი. შეუვალ ქანდაკებასავით აღმართული მისი ავტორი საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტ ორიენტირს წარმოადგენს. როლსა და მსახიობ-პიროვნებას შორის არსებულ დისტანციაში ჭარბად გამოსჭვივის მსუბუქი ირონია, ტკივილიც და იუმორიც, ძალდაუტანებლად მჟღავნდება აქტიური ავტორისეული აზრის, აქტიური რეჟისურისა და აქტიორული თავისუფალი ნების ჰარმონიულობა. ორი დამოუკიდებელი შემოქმედის ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად ახმიანდა ილიასეული სიტყვა სცენაზე და მთელი ძალით გამოვლინდა თ. არჩვაძისა და თ. ჩხეიძის შეწყობილი სცენური თანაარსებობის პოტენციური შესაძლებლობანი.



„მგზავრის წერილები“. 2011 წ.

ნათელა არველაძე
გაზ. „კომუნისტი“, 08.01. 1982 წ.



„სიზმრად ნანახი კაცი“

(ფრაგმენტები)

კარგა ხნის წინათ ერთმა ახლობელმა სიზმარი გამანდო:

მესიზმრა, საშინელი თოვლ-ჭყაპი იყო. ხალხით გაჭედილ ქუჩაში ორმოს პირზე ფეხი დამიცდა და წელამდე წუმპეში ჩავვარდი. ვყვირი, ვიხვეწები და ხალხს არ ესმის ჩემი ვედრება, თითქოს ვერც ხედავს ჩემს წამებას. სასონარკვეთილი შევბლაოდი ქვეყნიერებას და ამ დროს, ხალხს უცებ თენგიზ არჩვაძე გამოეყო, დაიხარა, ხელი ჩამჭიდა, ამომათრია, მომიარა, მომიალერსა, გზაზე დამაყენა და მკითხა:

– შინამდე მისვლა ხომ არ გაგიჭირდებათ?

მადლობა გადავუხადე. მივდიოდი მტკივანი ფეხის ფრატუნით, თან უკან ვიხედებოდი. იდგა კარგა ხანს, მიყურებდა ალერსიანი, მზრუნველი თვალებით, იქნებ კიდევ დასჭირდეს ჩემი მიხმარებაო. ასე იდგა, ვიდრე ხალხს არ შევეერიე.

იმ სიზმრის მნახველი კაცი თენგიზ არჩვაძეს არც იცნობს. მასთან არავითარი პირადი კონტაქტი არა ჰქონია. არასოდეს არ გამოლაპარაკებია, ხელი არ ჩამოუერთმევია, უბრალოდ, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ცნობიერებამ სიზმარში ამოუტივტივა პიროვნება, რომელიც ზნეობრივი, მაღალი მორალური თვისებებით იქნებოდა აღჭურვილი. ეს კაცი თენგიზ არჩვაძე გამოდგა.



„თვალი პატიოსანი“. თენგიზ არჩვაძე, ჯემალ მონიავა



ვგონებ, ეს ბედნიერებაა.

ბედნიერებაა, დადიოდე ქვეყნად ჩუმად, უხმაუროდ და შენდა უნებურად უყვედრებელ, უანგარო, წინასწარ მოუფიქრებელ სიკეთეს აფრქვევდე. ასეთია თენგიზი.

მის ღიმილს განზომილება არა აქვს – უკიდევანოა და ხალასი.

მისი ხელის ჩამორთმევა ადამიანური სიტბოს გადმომდებია.

მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო საოცარი პოეტური ოდაა.

* * *

თენგიზ არჩვაძეს ქართულ სცენასა და ეკრანზე წილად ხვდა გმირის, წინამძღოლის, ერისკაცის, მეფის და მოქალაქის განსახიერება.

ესეც ბედნიერებაა.

ამ ბედნიერებას ყველა მსახიობი ვერ შესწვდება. ამისათვის, ნიჭთან და გარეგნობასთან ერთად, საჭიროა პირადი, მოქალაქეობრივი, მამულიშვილური და ზნეობრივი თვისებები. ყველა ეს თვისება აუცილებლად საჭიროა, რომ ერის წინაშე წარდგე არსაკიდე, ალუდა ქეთელაურად, მეფე ალექსანდრედ, ერეკლე მეორედ, ინჟინრად, მეცნიერად თუ მხატვრად.

თენგიზ არჩვაძეს თავად აქვს ლიტერატორისა და მხატვრის ალლო და თვალი. შრომისგან დაცლილ-გამოფიტულს, ნიჭის ასავსებად შეუძლია, მარტოდმარტო გადავიდეს თუშეთში.

ეს მინის სიყვარულია.

ერთხელ ასეთი რამ თქვა: „დათვის ჯვარზე კესანესავით ხევსურის გოგო იდგაო“.

ეს ლიტერატურის ნიჭია.

თბილისიდან მცხეთისაკენ მიმავალი ვერ ისვენებს. თავს ვერ იოკებს, აი ამ ბილიკებით დადიოდა ვახტანგ გორგასალი თბილისისაკენ სანადიროდო. ზაჰესის წინ აზიდული თხემისაკენ გაგახედებს, გველეშაპის ნაწოლივით ბალახმოუდგმელ გზას დაგანახევებს, აქ გადიოდა ევროპისა და აზიის შემაერთებელი საქარავნო გზაო. მერე მოგიყვება, ებრაელმა ძმებმა როგორ ჩამოიტანეს ქრისტეს პერანგი მცხეთაში. იმ წვეროკინს გაჩვენებს, გაცისა და გაიმის კერპები რომ დაიწვა. იმ ადგილზე ჩაგიყვანს, წინოს შეგონებით, მირიან მეფემ მცხეთელები რომ დანათლა. სვეტიცხოვლის ეზოში კი ხმა ჩაუწყდება. აღარ ისმის მისი ბუბუნი, აღარ ბორგავს, აღარ ხმაურობს. დადის გაყურსული, აღერილი თავით და თითქოს ხელახლა ეძებს არსაკიდის მოჭრილ მარჯვენას, თვალს ჩამოავლებს ჩუქურთმების ჩხებს და როცა მიაგნებს, თვალები დაეცვარება.



„კეთილი ადამიანები“. თენგიზ არჩვაძე, ნანა პირველი



უცებ შეუძლია, მოიწყინოს. სიცილიდან უცებ შეუძლია, ცრემლის ფრქვევაზე მიდგეს. ასევე შეუძლია, უცებ დაიწყოს ვაჟას კითხვა, ილიას კითხვა, გალაკტიონის კითხვა, თუმცა თავი არასოდეს გამოუდვია – მკითხველი ვარო.

რაც შეუქმნია, სიყვარულით შეუქმნია. მოჭრილი მარჯვენის ფასად შეუქმნია. ამიტომაც შეუგრძნია მაყურებელს, ამიტომაც გამოსცხადებია სიზმრად სუფთა კაცი, უმნიშვნელო კაცი.

არასოდეს დამავინწყდება 1979 წელს მარჯანიშვილის თეატრის საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ დარბაზში. ჩემ გვერდით იჯდა, როცა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდებებს აცხადებდნენ, დაასახელებდნენ გვარს, ატყდებოდა ტაში, ზოგზე – მეტი, ზოგზე – ნაკლები. ამ დროს თენგიზ არჩვაძის გვარი გამოაცხადეს. წარმოუდგენელი რამ მოხდა, გეგონებოდათ, სადაცაა ჭერი ჩამოინგრევო. ხალხი ფეხზე წამომდგარი, ყიჟინით სცემდა ტაშს. ცრემლი მომადგა, ტანში გამცრა. ალალ იყოს. ეს ჭეშმარიტად სახალხო აღიარებაა!

ბევრჯერ აღვფრთოვანებულვარ მისი როლებით. ხშირად გვერდითაც ვმდგარვარ, გადმომდებია მისი სიტბო და სიმხურვალე... მაგრამ რა სიხარულიც ილიას როლის განსახიერებით მომანიჭა, ღმერთმა მრავალგზის გამიმეოროს ქართულ თეატრში.

აქ გამონათეს მისმა შესაძლებლობებმა.

ამ როლში მოიყარა თავი ყველა მისმა არტისტულმა და მოქალაქეობრივმა თვისებამ. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი თვალში საცემი ჟესტი. დგას სცენაზე ერის წინამძღოლი – მოხდენილი, ლამაზი, დარბაისელი, დინჯი, დაფიქრებული, თვლებში სევდაჩამდგარი, ილიას აზრის სიღრმით აკიაფებული და გადმოუქუხს თერგის ღრიალი, მისი ტალღების უკიდევანო სრბოლა. ხელში სანთლებით დახუნძლული შანდალი უჭირავს ამ თერგდალეულ კაცს, ნიშანი ნათლისა, განათლებისა, გარეთ გასვლისა, და ელვენტება სანთლის წვეთები მხრებზე, გულისპირზე, ხელებზე. ცხელია ახალგამდნარი სანთლის წვეთი. საკმარისია, თითზე დაგე-



„თვალი პატიოსანი“. ნანა ჩიქვინიძე, თენგიზ არჩვაძე



„როცა ქალაქს სძინავს“

ცეთ, აუტანელ ტკივილს მოგაყენებთ. თენგიზი კი დგას გოლგოთაზე – სცენაზე უხვად ეღვრება გავარვარებული წვეთები და იწვის. იწვის სანთლებთან ერთად, თავად სანთლად ქცეული. იმიტომ, რომ ილიაა და თუ არ დაიწვა, ბნელს ვერ გაანათებს. მერე კი საგრიმიოროში, ცივი წყლის ქვეშ კარგა ხანს უჭირავს ხელის მტევანი, ტყლაპად ქცეულ სანთლის ნაღვენთებს იცლის თითებიდან და ბედნიერია. ბედნიერია, რომ კიდევ ერთხელ დაიწვა.

არსაკიძის მოჭრილი მკლავის ფასად არის ნათამაშები ბევრი მისი როლი. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ ბევრს არ ჰქონდა მოვლილი თუშეთის ბილიკები, თენგიზმა თუშეთიდან ჩამოიტანა ფრაზა, რომელიც დღეს, ოდნავ შეცვლილიც კი, ხშირად გვესმის. მახსოვს, სუნთქვა ეკვროდა, აღტაცებული ჰყვებოდა:

– შენაქოში, საფლავის ქვაზე, ზედ მიწის პირზე, ასეთი რამ წავიკითხე: „ვინამ თქვა თუშთა დაღევა, ნაპირმოტეხა ცისაო“. როგორი აღფრთოვანებული იყო ამ ლაკონიური ფრაზის სიდიადით და ყოვლისმომცველობით!

არ მოატყდება ნაპირი თენგიზ არჩვაძის შემოქმედებით ცას, ვინაიდან ძარღვმაგარია ქართული სიტყვასავით. ფრთამოხატულია გაზაფხულის ფერებივით, ქედმაგარია და ქარაფის სიმტკიცე აქვს. არ მოატყდება, რადგან სიზმრად ნანახი კაცია უკვე.

ჯემალ მონიავა





„ვედრება“



„ხევსურული ბალადა“. სოფიკო ქიაურელი, თენგიზ არჩვაძე





„მარინე“. მედეა ჯაფარიძე, თენგიზ არჩვაძე



„გმირთა ვარამი“


გ. ფანჯიკიძე, „თვალი პატიოსანი“, დამდგმელი რეჟისორი ნ. გაჩავა

...კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გ. ფანჯიკიძის რომანის, „თვალი პატიოსანის“ ინსცენირება შესთავაზა მაყურებელს, დამდგმელი რეჟისორია ნუგზარ გაჩავა.

...რომანისა და სპექტაკლის ბედიც მთლიანად თუ არა, უმთავრესად ორი მთავარი გმირის, ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა თავიანთი პატიოსნებით, კეთილშობილებით, წმინდა სულით მახლობელი მეგობრების, ოთარ ნიჟარაძისა და თამაზ იაშვილის ხელთ არის...

ოთარ ნიჟარაძე უფრო პრაქტიკულ, ცხოვრების გამოცდილების მქონე ახალგაზრდად გვეჩვენება თავიდან. მას მართლაც ფხიზელი თვალი აქვს და აქედან მოდის მისი ირონიაც და სარკაზმიც. მაგრამ თავისი შინაგანი სისუფთავით იგი სწორედ თამაზის ორეულია. ოთარი ენერგიით სავსეა, თუმცა მისი ადრეული პროტესტი უფრო უწყინარ, კერძო ხასიათს ატარებს, მერე კი თანდათან იკრებს იგი ძალას და მასშტაბებს...

თ. არჩვაძე სცენური მომხიბლაობის და მსახიობური ნიჭის წყალობით მშვენივრად ართმევს თავს ამ რთულ როლს. იგი ჩვენი გმირიც არის და მეგზურიც ამ სპექტაკლში, მთავარი სათქმელიც სწორედ მას მოაქვს ჩვენამდე.



„თვალი პატიოსანი“

გურამ გვერდნითელი
გაზ. „კომუნისტი“, 02. 04. 1973 წ.



ბავშვობა





წინაპრები
დაბადება
სკოლა
სულიკო კოროშინაძე
მშობლები
ნუგზარ არჩვაძე
ლორა არჩვაძე
მამას ლექსი
პიონერთა სასახლე
ოთარ მეღვინეთუხუცესი
ანზორ ქუთათელაძე
ყმანვილობა და ჭაბუკობა



წინაპრები

– დარწმუნებული ვარ, არჩვადების გვარის თქვენი შტო ზედმინეწით გეწებათ შესწავლილი...

– ბაბუის იქით ნაკლებად ვიცი... 1907 წელს მოკლეს ბაბუაჩემი დავით არჩვადე იმ ნადირალა სოციალ-დემოკრატებმა. მას რომ ცოცხალს მოვსწრებოდი, ალბათ მეტ ინფორმაციასაც შევაგროვებდი წინაპრებზე. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბებთან იყო მიბმული ბაბუაჩემის მკვლელობაც. 51 წლის ყოფილა. ბეზიაჩემი 27 წლის ასაკში დაქვრივდა 5 შვილით... საწყალი ქალი...

– ბეზია რა გვარის ქალი იყო?

– ბოჭორიშვილი. რაჭველი იყო ისიც. უბრალოდ, მათი ოჯახი რაჭიდან საჩხერეში იყო გადასული საცხოვრებლად. თუმცა, გათხოვების შემდეგ, ისევ რაჭაში მოუწია დაბრუნება. ისე, ბაბუაჩემი მისთვის მეორე ქმარი იყო, მაგრამ იმ პირველთან შვილი არ ჰყოლია. აი ბაბუაჩემთან კი, როგორც მოგახსენეთ, 5 შვილი შეეძინა.



დავით არჩვადისა და ნატალია ბოჭორიშვილის ოჯახი



მარჯვნივ კლავდია სხირტლაძე



– რაჭაში რომელი სოფელია თქვენი?

– ზემო ბარი ჰქვია. ბარაკონის ტაძრიდან აღმართში მუხლია პირველი სოფელი, ისაკაძეები ცხოვრობენ. აკაკი წერეთლის ცნობილი მოგზაურობა ხომ გახსოვთ რაჭა-ლეჩხუმში? სწორედ ისაკაძეებმა მიიპატიჟეს დიდი პოეტი მუხლიაში. მუხლიას მერე არის სოფელი ქვემო ბარი, შემდგომ ამისა, ბარი და ბოლოს, მთის წვერში – ზემო ბარი. აი ეგ არის არჩვაძეების სოფელი და ჩვენც იქიდან ვართ. იქვეა სოფლები ფუტიეთი და სხვადა. სამი ძმები ყოფილან, თითო-თითოდ ჩასახლებული ამ სოფლებში. ასე რომ, მათი შთამომავლები სწორედ ამ სოფლებში საკმაოდ კომპაქტურად ვართ დასახლებული.

– ახლა თუ გაქვთ იქ კარ-მიდამო ან სახლ-კარი?

– კარ-მიდამოს რა მოუვიდოდა, თუმცა სახლ-კარი 1991 წელს ცნობილი მიწისძვრის დროს დაგვენგრა. მერე დავინწყე აშენება, ავიტანე კიდეც მასალები, თუმცა დროთა განმავლობაში რალაც ბიუროკრატიული პრობლემები იქმნებოდა... თავიდან თითქოს პატარა თანხაც გამომიყვეს, იმ თანხით რა სახლი უნდა აგეშენებინა. მაშინ რომელიღაც ფილმის ჰონორარიც მქონდა და იმის იმედად დავინწყე ეგ ყველაფერი. ძველი სახლის შეძენა მინდოდა, რომ დამეშალა და იქ ამეწყო მერე, მაგრამ არ გამოვიდა. ტყუილად ვიშრომე. არადა, ისეთი კარგი წაბლის სახლი გვედგა. რაჭაში ხომ ძირითადად წაბლის სახლები დგას... ჩვენი სახლი რამდენიმე ათეული წლის აგებული იყო და ერთი ჭიაც კი არ ჰქონდა ხეს. იცოდნენ ძველებმა, სახლის ასაშენებელ წაბლს სავსემთვარობისას ჭრიდნენ ხოლმე ღამით... სხვათა შორის, ამ დროს მოჭრილ ხეს ჭია აღარ უჩნდებოდა.



სხირტლაძეები. მარჯვნივ – თენგიზ არჩვაძის დედა კლავდია სხირტლაძე





ლორა არჩვაძე, კლავდია სხირტლაძე, ნუგზარ, თენგიზ და გრიგოლ არჩვაძეები

– დედათქვენიც თქვენივე სოფლიდან იყო?

– არა. დედა სხირტლაძე იყო გვარად. სხირტლაძეების სოფელი მრავალძალია. რამდენიმე ოჯახი იყო იოზაშვილების და დანარჩენი სულ სხირტლაძეები სახლობდნენ მრავალძალში. დედის მამას, ნიკოლოზ სხირტლაძეს, მეც მოვესწარი, ის სულ 40 წლით იყო ჩემზე უფროსი. მახსოვს, პირველად რომ წამიყვანა მრავალძალში, 9-10 წლისა ვიქნებოდი. ომი ახალი დაწყებული იყო. შორაპნიდან საჩხერემდე „კუკუშკით“ ჩავედით. სადგურზე ჩალვადრები დაგვხვდნენ ცხენებით. ნაქერალას ქედი უნდა გადაგვევლო, მთელი დღე სჭირდებოდა მგზავრობას. გზაზე შემოგვალამდა, ბაბუა ერთი ეზოს კარს მიაღგა და დაიძახა – მასპინძელო! მასპინძელო! – და ის ღამე იმ მასპინძელთან გავათიეთ. კარგად, ქართულად მოგვეფერნენ, დილით კეთილი გზა გვისურვეს და გამოგვიშვეს. დიდი სითბო და სიყვარული იცოდნენ საქართველოში, სტუმარი უყვარდათ ძალიან! რაჭის სილამაზემ გამაოცა. ჩემს დედულეთში, მრავალძალში, წმინდა გიორგის შესანიშნავი ეკლესია იყო. დიდად შემიყვარდა იქაურობა, რაჭის ხშირი სტუმარი გაეხდი.

მახსოვს, ბაბუას როგორ დავყავდი ხოლმე სათიბში, ისიც მახსოვს, ყავარს რომ ჭრიდნენ ხოლმე, სხვათა შორის, იმასაც სავსემთვარობისას... დააწყობდნენ ურმებზე და სოფლამდე სამი დღე უნდებოდნენ, კავკასიონიდან რომ ჩამოეტანათ. 14 წლის ვიყავი, ბაბუაჩემმა პირველად რომ შემიკაზმა ცხენი, ზედ შემსვა და დამარიგა კიდეც, შენს ტოლებს არაფერში არ



უნდა ჩამორჩეო. თამარის კლდის ძირას სოფელი ბოყვა იყო. სწორედ იქით გამიშვა. ბოყვაში ნათესავები ცხოვრობდნენ, ღამეც მათთან უნდა გამეთია. წარმოგიდგენია? თბილისში, ასფალტზე გაზრდილი ბიჭი უცებ მარტო აღმოვჩნდი ცხენზე ტყეში... ჩავალწიე ბოყვამდე. პეტრე-პავლობა იყო. ცოტა ღვინოც მასვეს და მეც „ბიჭობა“ დავინყე. ღამე დარჩენა აღარ მოვინდომე და შუალამისას სახლში დაბრუნება განვიზრახე. ცხენი ჩემზე ჭკვიანი აღმოჩნდა. იქ გზად ჭალაში გადასახვევი იყო ჩემი სოფლისკენ. ცხენი იქით იქაჩებოდა, მე პირდაპირ ვექაჩებოდი. ბოლოს დამყვა და გზაც პირდაპირ განვაგრძეთ. დილის გარიჟრაჟზე უცებ მივხვდი, რომ იმერეთს მივაღდექით. ერთი სიტყვით, გზა ამეხნა. რა უნდა მექნა? მოვაბრუნე ცხენი და აღვირი მივუშვი. ცხენმა თავისით ჩემზე უკეთ გაიკვლია გზა-კვალი და სახლშიც მიმიყვანა. ცხენი საკმაოდ ჭკვიანი არსებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვინჯალე, მაინც კმაყოფილი დავრჩი, რადგან ეს ჩემი პირველი, დამოუკიდებელი და აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ცხოვრებაში.



თენგიზ არჩვაძე 17 წლის



დაბადება

– თქვენ თავად თბილისში დაიბადეთ?


– კი. „პლენანოვზე“. ქაჩუბის ქუჩა ერქვა. 16 ნომერ სახლში ვცხოვრობდით. საბჭოს მოედნიდან მტკვრისკენ ჩამოდიოდა პარალელური ქუჩები: ჩემი ქუჩა, ვარციხის ქუჩა, მერკვილადის ქუჩა... აი მერკვილადის ქუჩა კლდიაშვილის ქუჩაზე გადის, კლდიაშვილის ქუჩა კი მაღაკენების ბაზრიდან იწყება. იმ მაღაკენების ბაზარზე ხის თეატრი იყო – „ავჭალის აუდიტორია“ ერქვა... დაიწვა მერე... იქ მოედანზე, იმ ხის თეატრის წინ იდგა ბაბუაჩემის სახლი. აი იმ დავით არჩვაძის, 1907-ში რომ მოკლეს. ახლა იქ აფთიაქია, გზები გაიყვანეს. იქაურობა დღეს ცოტა შეცვლილია. იმ სახლს უკან ბალი ჰქონდა. სადაც დავიბადე, იქ დიდხანს ვერ გავჩერდით. მე ჩემი მშობლების პირველი შვილი ვიყავი, მერე ჩემი და მომდევნო სამი წლის შუალედით და მერე ჩემი ძმა, ასევე სამი წლით უმცროსი ჩემს დაზე... მოკლედ, ჯერ ჩემი დედმამიშვილები დაბადებული არ იყვნენ, როცა ჩვენ გადავედით საბჭოს ქუჩასთან. ჯაფარიძის ბაღს ეძახდნენ... აი, ილიას სახლ-მუზეუმი რომაა, იმის უკან სკოლა იყო და სკოლის უკან იდგა ჩვენი სახლი. იქ გავიზარდე. 30 წელი ვცხოვრობდი იქ.



– მოკლედ რომ ვთქვათ, უფრო ვორონცოველი ხართ, ვიდრე „პლენანოველი“...

– ვორონცოვზე დავიბადე და გავიზარდე, ჩვენ გვერდით გერმანელი ებრაელის – მიხეილ როიტენბერგის ოჯახი ცხოვრობდა. ბრწყინვალე ხალხი იყო. მათი წყალობით რუსულიც ადრე ვისწავლე. ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, ომში წაიყვანეს. აღარ დაბრუნებულა. რომ წამოვიზარდე, თავიანთი სითბო და ყურადღება ჩემზე გადმოიტანეს. დიდი საერთო აივანი გვქონდა და საერთო სამზარეულო. იქ გვედგა ნავთქურები და ერთად მზადდებოდა სადილი. მაშინ თბილისში თითო-ორიოლა მანქანა დადიოდა. მიხეილს შავი „ემ ადინი“ ჰყავდა. მოაყენებდა ამ მანქანას, ჩაგვსვამდა ბავშვებს და გვასეირნებდა, მუშთაიდში წაგვიყვანდა, ფუნიკულორზე





თენგიზ არჩვაძე 23 წლის


აგვიყვანდა, კანფეტებს გვიყიდდა. მერე სურამში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ ცხოვრობდნენ პატარა სახლში, ჩავდიოდი ხოლმე მათთან. თუ გასვლითი სპექტაკლი იყო და აფიშებზე ჩემს გვარს ნახავდნენ, დიდი სიხარულით მეგებებოდნენ. ამ ურთიერთობას სიტყვები აღარც სჭირდებოდა.

– იტალიურ ეზოებს სხვა ხიბლი ჰქონდა მაინც...

– რას ამბობ, ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. არავისთან არ იკეტებოდა კარი. საერთო მწუხარება და საერთო სიხარული გვაერთიანებდა ყველას. ისეთ უბანში ვცხოვრობდით, ნათესავებივით ვიყავით ყველანი. დიდი გაჭირვება იყო, მაგრამ ადამიანური სიტუბო მეტი გვქონდა. არ ვიცი, ახლა მე განვკერძოვდი და მარტო დავიტოვე ჩემი თავი, თუ აღარ მესმის ამ ქვეყნისა. ერთ ოჯახს რომ სტუმარი ეყოლებოდა, მთელი ეზოს სტუმარი ხდებოდა ის. ახლა სურვილიც აღარ არის, გავიგო, ვინ ცხოვრობს ჩემს სადარბაზოში.... რისი ბრალია ეს? მე კი ვხვდები, რისი ბრალიცაა. სასტიკი გაუცხოება დამკვიდრდა, ამას ხელი შეუწყო ჩაკეტილმა სადარბაზოებმა, რკინის კარებმა, საჭერიტინოებმა.

– ბებია კარგად გახსოვთ...

– კი, რა თქმა უნდა. ძალიან კარგად მახსოვს. თუმცა როცა წამოვიზარდეთ, ჩვენთან აღარ გაჩერდა, რაჭაში დაბრუნდა და იქ ცხოვრობდა. უსაზღვროდ მენატრება ჩემი ნატო ბებია. ერთხელ დედულეთიდან ცხენით ჩავედი მასთან, 16 წლის ვიქნებოდი. გამიწყო სუფრა, გამოაცხო ხაჭაპურები, დამიკლა წინილა. დამიჯდა, მიყურებდა და გენაცვალოს ბებოო, ჩურჩულებდა. ჭიქაში ღვინოს რომ ჩამისხამდა, მაშინაც კი არ მაცილებდა თვალს. ახლაც კი ცუდად გავხდი, რომ გავიხსენე. სიტბო და სიყვარული არ იკარგება, რჩება. იმიტომ იზრდებიან კაცის მკვლელებად, ეს რომ აკლდებათ. ბავშვობიდანვე უნდა აგყვეს დედის, ბებიის, ბალახის, ყვავილების, ჩიტის გალობის სიტბო!



თენგიზ არჩაძე 25 წლის



სკოლა

– მოკლედ, „პლენანოველი“ ბრძანდებით...

– აბა რა. სკოლაშიც კიევის ქუჩაზე დავდიოდი. უფრო სწორად, სწავლა ჩემი სახლის წინ რომ სკოლა იყო, იქ დავინწყე. თუმცა ომის დროს მანდ ჰოსპიტალი გახსნეს და ჯერ ჩულუ-რეთში – ახლა მედმუშაკთა პროფკავშირები რომ არის, – იქ გადაგვიყვანეს, იქიდან კი კიევის ქუჩაზე რომ სკოლაა, იმათთან შეგვაერთეს. მეცხრამეტე ვაჟთა ერქვა ჩემს სკოლას, თუმცა პიონერთა სასახლეში რომ დავდიოდი, სკოლისთვის ვერ ვიცლიდი, იქედან გამომავდეს და ბოლოს მეოცე ვაჟთა დავამთავრე. ლავროსი კოტრიკაძე იყო ჩვენი სკოლის დირექტორი – ძალიან მაგარი კაცი. მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრში რომ დავინწყე მუშაობა, თითქმის ჩემს ყველა სპექტაკლზე მოდიოდა ისე, რომ მე არ ვიცოდი ხოლმე. ერთ ბილეთს აიღებდა, ნახავდა სპექტაკლს და მერე მელოდებოდა, შთაბეჭდილება რომ გაეზიარებინა ჩემთვის. ვატყობდი, ნანობდა, თავის დროზე სკოლიდან რომ გამავდო, თუმცა რას შევბედავდი, ერთი საყვედური არ მითქვამს მისთვის ამის გამო... არადა, როგორია, მეცხრე კლასიდან რომ გაგაგდებენ? თანაც რის გამო? ჩემს სკოლაში სწავლობდნენ ძმები იამანიძეები. შოთას უფროს ძმას ზურა ერქვა, ჩემზე ცოტა წინ იყო... ძალიან ვძმაკაცობდით. მერე ის ლენინგრადში წავიდა. საზღვაო აკადემია დაამთავრა. თენგიზ პირველი იყო კიდეც... აი ნანა პირველი რომ არის, „კეთილ ადამიანებში“ რომ თამაშობს ჩემთან, იმის ძმა, მერე ადმირალი გახდა. მამა მაგათი, ბატონი მიშა მესტიის რაიკომის მდივანი იყო. ჩემი კლასელი იყო სულიკო კოროშინაძე, არაჩვეულებრივი მომღერალი ჩვენი ესტრადის. კახი და იმერი კავსაძეებიც იქ სწავლობდნენ. იქვე ცხოვრობდნენ, ქუჩის მეორე მხარეს, ხორავას და ვასაძის სახლი რომ დგას... სხვათა შორის, სულ სამი წელია ჩემსა და კახის შორის სხვაობა, მე უფროსი ვარ, მაგრამ სკოლის წლებში ის სამი წელი საკმაოდ ბევრი იყო. მახსოვს, კახი ლიკა ჭავჭავაძემ გაგვაცნო, უკვე სტუდენტობის დროს, ლიკა ჩემი ჯგუფელია და ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე მასთან ოჯახში. ქალბატონი თამარ ჭავჭავაძეც ხომ იმ ცნობილ სახლში ცხოვრობდა... ჰოდა, ერთ დღეს კახი გაგვაცნო, სამ-სახიობოზე უნდაო ჩაბარება... კახის ძმა, იმერი უფრო პატარა იყო კახიზე, თუმცა იმის გამო, რომ ის ოპერით იყო გატაცებული და მერე მომღერალიც გახდა, მე კი ოპერაზე ვგიჟდებოდი, ბავშვობაში მასთან უფრო ვმეგობრობდი...



სულიკო კოროშინაძე

ყველაზე ძნელია, დაწერო მოგონებები სიყრმის მეგობარზე, მით უმეტეს, როცა იგი დიდი გულის კაცია და ამასთან დიდი მსახიობიცაა, რომელმაც საქართველოში დიდისა და პატარას გული მოინადირა და საყვარელი მსახიობი გახდა. ყველას არ ძალუძს ამ სითბოსა და სიყვარულის არც შექმნა და არც ტარება. ეს მხოლოდ მას შეუძლია. რა საოცარიც არ უნდა იყოს, იგი მხოლოდ ნიჭიერი ადამიანების ხვედრია და ეს ნიჭიერი კაცი გახლავთ თენგიზ არჩვაძე.

მე და თენგიზი ერთად მოვდივართ სკოლის მერხიდან. ეს სკოლა გახლდათ მე-20 ვაჟთა სკოლა. როცა ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე, დიდი გულის სითბოთი ვიგონებთ სკოლის წლებს, ჩვენს კლასს და მერხის მეგობრებს, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს ასე ცოტა შემოგვრჩა. დრო ულმოებელია. ისე ჩქარა გარბის, რომ ვერც იგებ, რამხელა გზა გაგივლია. ეს გზა თენგიზმა სახელოვნად გაიარა და მას შეუძლია, თავის შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ყველაფერზე სიამაყით ელაპარაკოს. ვერაფერს იტყვი – სწორედ მასზეა ნათქვამი, „დიდი კაციაო“. ეს სიდიდე მის მოკრძალებაშია, კაცობაშია; მასავით ქათქათა და ალალია თენგიზის გული. იგი ასეთი რომ არ იყოს, ვერც დიდი მსახიობი გახდებოდა. სცენა სარკეა, სადაც ხელისგულივით ჩანს შენი სიალალე, გული და პატიოსნება. ღმერთმა მას ყველაფერი დაანათლა. მე მინდა გავიხსენო ის წლები, როცა თენგიზი პიონერთა სასახლის დრამატული წრის წევრი გახდა. მას რეჟისორებთან მუშაობაში ყოველთვის უმართლებდა. სასახლეში მისი მასწავლებელი იყო უნიჭიერესი კაცი, მრავალი თაობის აღმზრდელი ნოდარ ჩხეიძე. თენგიზი მოიტანდა სკოლაში მოსაწვევებს და დიდი სიამოვნებით ვესწრებოდით მის სპექტაკლებს სასახლის პატარა სცენაზე. სასახლეშიც გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით და, საერთოდაც, ის თაობა ნიჭიერთა თაობა იყო.

თენგიზი ტალანტია. სკოლაში სწავლისას ის ხატვით იყო გატაცებული. მისი საშინაო დავალების რვეულები ნახევრად პორტრეტული ხასიათის სურათებით იყო სავსე. ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში თენგიზის ნახატების გამოფენა იყო მოწყობილი და თეატრში მისული მაყურებელი სიამოვნებით ათვალიერებდა.

მე მხოლოდ ეს შემიძლია ვუთხრა მას – თენგიზ, შენ ჩემი ისტორიის ნაწილი ხარ.





ილია ხარაბაძე. ავტორი თენგიზ არჩვაძე



კლავდია სხირტლაძე, გრიგოლ არჩვაძე



მშობლები

– თქვენი მშობლები რა პროფესიის იყვნენ?

– როგორც გითხარი, ბაბუა ადრე გარდაიცვალა, მამაჩემი კი უფროსი შვილი იყო თავის და-ძმებში. საკუთარი თავისთვის რას მოიცლიდა? ძირითადად დედმამიშვილების გაზრდაში ეხმარებოდა დედამისს. სულ პატარაობიდანვე პრაქტიკულად შრომაში იყო ჩაბმული, ბავშვები რომ გამოეკვებათ და სწავლა-განათლება მიეცათ. თვითონ უმაღლესის დამთავრებაზე არც უფიქრია. დეიდები ჰყავდა, ერთი ზესტაფონში იყო გათხოვილი, მეორე – ჭიათურაში. ისინიც ეხმარებოდნენ ბებიას და ეს ბავშვებიც რომ ცოტა წამოიზარდნენ, მამაჩემს ჭიათურაში დააწყებინეს მუშაობა. მამაჩემი ლიტერატურის დიდად მოყვარული კაცი იყო და მერე ისე მოხდა, რომ ჭიათურაში გაზეთიც გამოსცა. ერთხანს იმ გაზეთს რედაქტორობდა კიდეც... ქვრივიშვილის ფსევდონიმით იბეჭდებოდა. დედამისი ხომ ქვრივად დარჩა და მაშინ მოდაში იყო ასეთი ტიპის ფსევდონიმები. მაგალითად, მუშიშვილი, ანდა მაშაშვილი თუ სხვა. მერე ვი-ლაცამ წამოაძახა, შენ იმ კაცის შვილი არა ხარო, სოციალ-დემოკრატებს რომ ებრძოდაო და იმ სამსახურის მიტოვება მოუწია.

– მკაცრი იყო?

– არა. არც არაფერს ვაშავებდი და მკაცრი რატომ უნდა ყოფილიყო? მამა შუატანის კაცი იყო, წარმოსადეგი, ძალიან მომხიბვლელი. მე დედას უფრო ვგავდი... სამი წლისას მისწავლია წერა-კითხვა. მამასთან ძალიან ახლოს ვიყავი. ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. თავდავინწყებით მიყვარდა ლიტერატურა. ჯავახიშვილი და რობაქიძე რომ აკრძალული იყო, ჩვენ შინ გვქონდა 1914, 1916-17 წლებში გამოცემული წიგნები, გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“... მამა მარიგებდა, ამაზე კრინტი არ დაძრაო და მეც გარეთ სიტყვა არ მითქვამს. „ამირანდარეჯანიან-სა“ და „როსტომიანს“ მიკითხავდა ხოლმე. უმეტესობა სულ ზეპირად ვიცოდი. სხვათა შორის, მამა თვითონაც წერდა ლექსებს, იბეჭდებოდა კიდეც... მეც ერთხანს დავაპირე პატარა წიგნის გამოცემა, მაგრამ ველარ მოხერხდა...





თენგიზ არჩვადის წინაპრები სხირტლაძეების მხრიდან



– იქნებ ახლა მაინც გავაცნოთ მკითხველს მამათქვენის შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი მაინც...

– როგორც თქვენ იტყვით... ისე, იმდენი პოეტი ჰყავს საქართველოს, უხერხული არ იყოს ამ ლექსების გამოქვეყნება ახლა...

– რას ბრძანებთ, ბატონო თენგიზ... მკითხველისთვის ნამდვილად საინტერესო იქნება. სხვათა შორის, თქვენი მეგობრები ბატონ გრიგოლზე ლეგენდებს ჰყვებიან...

– (ილიმის) ჰო... რა ვიცი... არ იყო ურიგო კაცი... სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდა... დამიჯერეთ, ნასვამი ის მე არ მინახავს... არადა, ზომიერად სვამდა კიდეც, ქეიფობდა, არაჩვეულებრივი წრე ჰყავდა... ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გოგლა ლეონიძესთან, მეგობრობდა მურმან ლებანიძესთან... მურმანსაც ძალიან უყვარდა და აფასებდა... საერთოდ, ეგ წრე უყვარდა, სულ მწერლების საზოგადოებაში ტრიალებდა. თვითონ ძირითადად სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. დედაჩემი, კლავდია ნიკოლოზის ასული სხირტლაძე, დიასახლისი იყო. ძირითადად საოჯახო საქმით და ჩვენი აღზრდით იყო დაკავებული. სამ შვილს გაზრდა ხომ უნდოდა... მახსოვს, ომის წლებში საერთოდ უმუშევარი იყო მამაჩემი და რაც კი სახლში გაგვაჩნდა, ყველაფერს ყიდდა, რომ ჩვენ გამოვეცკებეთ. ერთი სომეხი მეზობელი მყავდა, იმას მიეყავდით ხოლმე ბოდბისხევის ბაზრობაზე და იქ რალაც ნივთებს პროდუქტებში ვცვლიდით და ასე გაგვექონდა თავი. სახლში დიდი მარანი გვექონდა, მამაჩემი ჩინებულ წითელ ღვინოს აყენებდა. 26-27 წლამდე ღვინო დათრობამდე არ დამილევია, მაგრამ სუფრის სიყვარული კი დიდი მქონდა.

– ტრადიციების მოყვარული კაცი იყო ალბათ...


– საერთოდაც... რა ტრადიცია იყო, იცით? რა მაღალი დონე?! სიმონიკა სხირტლაძე დედის მხრიდან ბიძად მერგებოდა. მთელ საქართველოში ცნობილი თამადა იყო. დიდი სიტყვა-პასუხის კაცი გახლდათ, ძალზედ განათლებული და ნამდვილი ინტელიგენტი, ტრადიციების დიდი მოყვარე და კარგი მსმელი, ღვინო არ ეკიდებოდა იოლად.

– თქვენ?

– ერთხანს სასმელი ვერც მე მათრობდა ადვილად. ახლა საერთოდ აღარ ვსვამ, ამიკრძალეს... არადა, ჩემთვის წარმოუდგენელია, კაცი ღვინოს არ სვამდეს. კახური ღვინო მიყვარდა განსაკუთრებით, თუმცა კი მაინცაღამაინც სასმელს არ განვარჩევდი... (იცინის)

ხედავთ?! – უკვე წარსულ დროში ვლაპარაკობ...





ნუგზარ არჩვაძე

ნუგზარ არჩვაძე

– ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტ ჩემ ძმას დაუ-
ძახეს მარჯანიშვილის თეატრში. მოლა-მუსა ითამაშა „მოკვეთილში“. ცოტა ხნის შემდეგ ქალ-
ბატონმა ლილი იოსელიანმა დადგა „ფსკერზე“, იქ ბარონს თამაშობდა... და ასე ნელ-ნელა
ჩემი ძმა მხოლოდ ოჯახის აღარ იყო, ის მისმა მაყურებელმაც თავისიანად აღიქვა და როცა
უკვე სცენურ როლებს კინოც დაემატა, პრაქტიკულად წაგვართვა ოჯახს. აბა, წარმოიდგინეთ,
ნელინადში სამ-ოთხ ფილმზე ეძახდნენ, სულ გადაღებებსა და რეპეტიციებში გადიოდა დღეე-
ბი, ამას კიდევ სპექტაკლები დაუმატეთ... ასე რომ, მას ფაქტობრივად ვეღარც ვხედავდით
სახლში.

– გულწრფელად მაინტერესებს, ასეთ წარმატებულ კაცს არასდროს უსარგებლია ამ პოპულარობით?

– მეც გულწრფელად გპასუხობთ – არასოდეს! ასე რომ ყოფილიყო, დღეს გაცილებით
უკეთ იქნებოდა ალბათ მატერიალურად, თორემ ხალხის სიყვარული და პატივისცემა არა-
სოდეს არ მოჰკლებია. სარგებლობას თუ ეძახით იმას, რომ რაიმე საქმეზე მეგობარს სადმე



მიჰყოლოდა, არ ვიცი... სხვა მხრივ, არაფერი მახსენდება. რაც შეეხება მისი ოჯახის წევრებს, ან მე, ან ჩვენს დას, ნამდვილად არასოდეს გამოგვიყენებია მისი სახელი „საჩვენოდ“ და ისიც სულ მუდამ ცდილობდა, ყოფით თემებზე არ დაეხურდავებინა ის სიყვარული, რასაც მაყურებლისგან გრძნობდა და გრძნობს დღემდე.

– რომელ როლებს გამოარჩევდით მისი შემოქმედებიდან?

– ძალიან გამიჭირდება, რომელიმე დავასახელო, თუმცა ორს მაინც გამოვყოფ. ეს არის ფილმში „შეხვედრა მთაში“ და სპექტაკლში „თვალი პატიოსანი“. ამ ორ პერსონაჟს ყველაზე მეტი საერთო აქვს თენგიზთან. მას სიყვარულიც უხდება, ჩუმი ღიმილიც უხდება, მეგობრის გვერდში დგომაც უხდება. კი არ უხდება, ის ასეთია და ამ ორ როლში ყველაზე მეტადაა დაახლოებული საკუთარ ხასიათთან. თუმცა ვერ დავმაღავ, ისეთი ამაყი ვიყავი, როცა ილია ჭავჭავაძის როლში ვიხილე. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, რაც ამ სპექტაკლის გამოშვებას თან ახლდა, მან თავის პარტნიორებთან და რეჟისორთან ერთად ბოლომდე გაიტანა სათქმელი და მაყურებლის გულამდე მივიდა.

– როგორც ძმა ძმაზე, რას გვეტყოდით?

– ჩვენ, დედამამიშვილებს შორის საოცარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჩუმი სიყვარულია“. ზოგმა რომ იცის ხოლმე გადახვევნა, კოცნა, ფერება... ჩვენ ასეთი რალაცეები არ გვახასიათებს. სწორედ ამ ჩუმი სიყვარულით ერთმანეთის მოფრთხილებაში ვართ სულ მუდამ. დღესაც ეგრე ვართ. რომ მივდივარ ხოლმე სანახავად, ან ის რომ მესტუმრება ხოლმე – გამარჯობა-გამარჯოს მერე პრაქტიკულად თვალებით ვსაუბრობთ. ერთი შევხედავთ ხოლმე ერთმანეთს და ყველაფერი გასაგები ხდება. რა უჭირს, რა ულხინს, რა ახარებს და ასე შემდეგ.

– ორი ძმა დას ხომ არ ჩაგრავდით?

– რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო. ვის დავაჩაგვრინებდით მის თავს. ერთ რამეს გეტყვით გულწრფელად: მეც და ჩემი დაც მთელი ცხოვრება მხოლოდ იმას ვცდილობდით, რომ თენგიზის წინსვლისთვის თავის საქმეში ხელი შეგვეწყო. ამიტომაც მაქსიმალურად ვცდილობდით, ოჯახური პრობლემები მისთვის აგვერიდებინა.

– ქალბატონ ლორას რომ დავუკავშირდით, იუარა, სიტყვები არ მეყოფა იმ სიყვარულის გადმოსაცემად, რასაც თენგიზის მიმართ განვიცდიო.

– არც მიკვირს, ისიც ჩვენი ოჯახის წევრია – ჩვენნაირია. ჩუმი და არასაჯარო სიყვარული ხიბლავს. ეს სიყვარული ხომ ძალიან პირადია. ეს ხომ მაყურებლის სიყვარული არ არის. სისხლის, ხორცის, გენის, ჯიშის სიყვარულია. ასეთებად გაგვზარდეს ჩვენმა სულგანათლებულმა მშობლებმა.

მოგვიანებით ქალბატონ ლორას ისევ მივმართეთ და დიდი თხოვნის შემდეგ დაგვთანხმდა, გამოეთქვა თავისი უსაზღვრო სიყვარული საამაყო ძმის მიმართ.





ლორა არჩვაძე

ლორა არჩვაძე

რატომღაც, თენგიზი გალიაში გამომწყვდეულ ლომს, ნადირთ მეფეს მაგონებს, რომელიც მშობლიურ გარემოს მოსწყვეტეს, მისთვის სრულიად უცხო და მისი სულისათვის სრულიად შეუფერებელ სივრცეში მოათავსეს და ასე, სამშობლოსა და ერის ბედით ღრმად დამწუხრებული, ნაღვლიანი თვალებით ბოლთას სცემს და უიმედოდ აწყდება გალიის რკინის გისოსებს წინ და უკან.

წმინდა მოციქულმა, იოანე ღვთისმეტყველმა ას ხუთი წელი იცოცხლა. გიყვარდეთ ერთმანეთი! – ქადაგებდა იოანე.

კითხვაზე, თუ რატომ იმეორებს იგი ამ ფრაზას ხშირად, ასე პასუხობდა: ეს ორი სიტყვა ქრისტიანული მოძღვრების მთელ საიდუმლოს მოიცავს.

როდესაც გიყვარს – არ გშურს! როდესაც გიყვარს – არ გმოზ, არ განიკითხავ, არ მრისხანებ, ცილს არ სწამებ, არ ეომები, აპატიებ და მიუტევებ ყოველივეს მოთმინებით.

როდესაც თენგიზი გულის ოპერაციის შემდეგ, წელს ზემოთ თეთრი ბინტით გადახვეული იხილა ერთმა ხელოვანმა, შეცბა. მისი ცრემლიანი და ღრმა თანაგრძნობით სავსე თვალები



ისეთ დიდ სევდას და ნალველს ასხივებდა, რომ უდავო იყო იმ ჟამს, თენგიზმა ამ პიროვნებაში დავანებული შური, ეს დაუძინებელი მტერი კაცობრიობისა, დაამარცხა უხმლოდ, შუბისა და მუზარადის გარეშე, თავისი ხანგრძლივი მოთმინებით, უდიდესი სიყვარულითა და მიმტევებლობით!

„გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი!“ – ქადაგებს სახარება. თუ ყოველივე ამას ყურად ვიღებთ, მაშინ შედეგად, დედამიწაზე სრული სიკეთე, ჰარმონია და სიყვარული დაისადგურებს. აღარც „ატომია“ მაშინ საჭირო, და აღარც „ჰოსპიტალი“, აღარც „ლაბორატორია“ და აღარც „ტანკი“. რა მარტივი და უპრობლემო ყოფილა ამ მცნებით ცხოვრება! ჩვენ კი, ჩვენი „უგუნურებით“ თურმე როგორ ვართულებთ მას! მაგრამ, ამ მცნებით რომ იცხოვრო, უნდა ებრძოლო არა ტანკს და ატომს, არამედ უფრო ძლიერ მტერს, საკუთარ თავს! როგორც ჩანს, სწორედ ეს პროცესი გაცილებით მტკივნეული და ხანგრძლივია ჩვენთვის, ვიდრე ტანკთან და ხიშტთან ბრძოლა. და აი თენგიზმა შეუპოვარი ომი გამოუცხადა თავის თავს. ომი გამოუცხადა დაუსრულებელ ფრონტზე. ებრძოდა მდუმარედ და სიმშვიდით თავის თავში აღმოცენებულ წყენას და ნალველს, გამონვეულს დაუმსახურებლად მავანთა და მავანთა მიერ! ითმენდა უკიდევანო მოთმინებით და მათ მიმართ დიდი სიყვარულით, რადგან იცოდა, თუ ჩვენ ვინცებთ სიყვარულით საქმეთა ქმნას, მაშინ ღმერთთან ნათესაობის გამო, მათით იწყება ჩვენში სიყვარული და ეს სიყვარული იქნება ღვთისგან, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია და ყველაფერი მის გარეშე სიყვარულისგან გადახვევა!

და აი ამ უკომპრომისო დაუსრულებელი შერკინებით თავის თავთან მან მიაღწია ისეთ სულიერ სიმაღლეს, რომ თავისუფლად შეუძლია, გაკადნიერდეს და თქვას: „მე მიყვარს მტერი ჩემი, ვითარცა თავი ჩემი!“

„აი თუნდაც თენგიზ არჩვაძეზე გეტყვით, – ხომ დიდი მსახიობია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი კაცია და დიდი ადამიანია. არც ასეთი ერთგული მამა, მეუღლე და ბაბუა მეგულება ბევრი. როგორღაც ძველ ქართველ თავადს ჰგავს. დიდი შინაგანი კულტურა, სამშობლოს დიდი პატრიოტიზმი, ნიჭიერება და გარეგნობა იმდენად ჰარმონიულადაა მასში შერწყმული, გულგრილს ვერასოდეს ვერავის ტოვებს, მისი სულის სიდიადე და სილამაზე მის თვალებსა და ღიმილშიც შეიცნობა!“ („ქართული გაზეთი“, 30 აგვისტო, 7 სექტემბერი, 2007 წელი)

სიცოცხლის ბოლომდე ღირსებით ცხოვრება გმირობის ტოლფასია! და თენგიზმა, რომელიც ასეთ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, მისთვის ჩვეული რაინდული სვლით 2017 წლის 3 აგვისტოს გადააბიჯა 85 წელს და მე ვუსურვებ ამ ერისა და სამშობლოს ღირსეულ შვილს მრავალჟამიერ სიცოცხლესა და დღეგრძელობას!!



დათო ქითავა, ლორა არჩვაძე





გრიგოლ არჩვაძე



მამას ლექსი

ჩემი სურათი
სულ მთლად სადაა...
სულ მთლად სადაა
და უფერული...

როგორც ცხოვრება
ჩემი – განვლილი...
ფერდაკარგული
და უფერული...



პიონერთა სასახლე

– „პიონერთა სასახლის“ წლებს როგორ გაიხსენებთ?

– ხატვა ჩემი სერიოზული გატაცება იყო. ვხატავდი ცარცით, ნახშირით, რაც მომხვდებოდა ხელთ, სადაც მომიწევდა – ყველგან და ყველგან. ხატვის სიყვარული არასოდეს გამწვანდებია. ავიკიდებდი მოლბერტს და ვხატავდი წყნეთის, უძოს, კოჯრის პეიზაჟებს.

მოკლედ, 1942 წელს მივედი სასახლეში – პირველად ხატვის წრეში ჩავენერე. გრიგოლ მესხი იყო ჩემი პედაგოგი. ხატვა ბავშვობიდან მიყვარდა, რაღაცეებს ჩემთვის ვხატავდი კიდევ და ამიტომაც სწორედ ხატვის წრე ავირჩიე. დრამწრეში მისვლაზე არც მიფიქრია. ამ ხატვის წრის გვერდით ოთახში მუშაობდა დრამწრე. იქ გავიცანი ბიჭები, თენგიზ ჯანელიძე, მერე თეატრის დირექტორი იყო, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე, გოგი გამსახურდია... დრამატულ წრეს მაშინ ბატონი თედო წეროძე ხელმძღვანელობდა. მერე ძალიან მალე ბატონი თედო ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად გადაიყვანეს. ნოდარ ჩხეიძე იმ პერიოდში მხატვრული კითხვის კაბინეტს ხელმძღვანელობდა და მისი რეკომენდაციით დრამატულ წრეში ვახტანგ სულაქველიძე დანიშნეს ხელმძღვანელად. ერთ დღესაც, მე და გურამ მაცხოვნაშვილმა დავინახეთ, დრამატული წრის სარეპეტიციოს კარი ოდნავ შეღებული იყო. დაგვანტერესა და შევიჭყიტეთ. შეგვამჩნიეს. თურმე ბიჭები აკლდათ და მოგვეხმარეთო, გვთხოვეს. ვიდრე სკოლას დავამთავრებდი, მთელი ათი წელი იქ დავდიოდი – ახლა უკვე დრა-



გურამ მაცხოვნაშვილი, თენგიზ არჩვაძე



მატულ წრეზე. არადა, მამაჩემი იცნობდა გრიგოლ მესხს და ხატვაზეც მან მიმაბარა, თუმცა თეატრის სიყვარულმაც და ამ ბიჭებთან ძმაკაცობამაც თეატრისკენ გადამხარა და მეც დრამატული წრის წევრი გავხდი.

– პატარაობიდანვე ხატავდით?

– სულ ბავშვი ვიყავი, პირველი ჩანახატები რომ გავაკეთე. მაგიტომაც წამიყვანეს ხატვის წრეში. მერეც ვხატავდი ხოლმე ჩემთვის. ჩემი მეგობრების კარიკატურებსაც ვაკეთებდი. თუმცა რამდენიმე ფანქრით გაკეთებული ჩანახატის გარდა, არაფერი აღარ შემრჩა. ერთ დღეს, ცოტა არეულ ხასიათზე მყოფმა, მთელი ჩემი ნახატები ეზოში ჩავიტანე და დავწვი. ისევე, როგორც გოგოლმა „მკვდარი სულების“ შემდგომი ნაწილები. ჩემი ქალიშვილი ნათია გაგიჟებული იყო, თუმცა ვერაფერს გახდა. ახლა ცოტა ვნანობ, მაგრამ იმ მომენტში ისეთი ემოციური დატვირთვა ჰქონდა იმ ნახატების განადგურებას, რომ ალბათ მართალი ვიყავი და ასე უნდა მოვეცეულიყავი.

– მაინც მგონია, რომ დასანანია...

– ხატვასთან დაკავშირებით ერთი ისტორია მომაგონდა. სკოლის გაზეთებს მაფორმებინებდნენ. IX კლასში რომ ვიყავი, გადავწყვიტეთ, გამოგვეცა არალეგალური გაზეთი. მასალები დაწერილიც კი გვქონდა. ერთ-ერთი მეგობრის დედის ძმამ, კვასხვაძე იყო გვარად, გადაგვარჩინა – ეგ არ გაბედოთ, თავს დაიღუპავთო... კიდევ კარგი, თორემ ომის შემდგომ წლებში ამას რა მოჰყვებოდა, ხომ იცით.

– დრამატული წრის სპექტაკლები თუ გახსოვთ? რას თამაშობდით სასახლეში?

– როგორ არ მახსოვს? ჰო, მართლა, ხალხი გამომრჩა... როგორც გითხარი, მე და გურამ მაცხოვნაშვილი მივედით ერთად მაგ წრეში. სხვათა შორის, გურამი ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერდა ხოლმე თავისთვის... იქ გავიცანი ანზორ ქუთათელაძე. ანზორი სოლოლაკელი იყო, დანარჩენები გამომღებლები ვიყავით და ერთმანეთს უბნიდან ვიცნობდით. მერე შემოგვიერთდა გიზო სიხარულიძე, გოჩა დეისაძე... ცოტა შემდეგ წლებში ზინა კვერენჩილაძე შემოგვიერთდა, ზიზი ზალდასტანიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი... რეზო თავართქილაძე, თინა ელბაქიძე... ალბათ ვინმე გამომრჩება კიდევ, იმდენი ვიყავით... მახსოვს, მე რომ მივედი, გიორგი ნახუცრიშვილის „პატარა მეომრები“ ჰქონდა დადგმული თედო წეროძეს. ერთ დღესაც თენგიზ ჯანელიძე ავად გახდა და მის მაგივრად შემიყვანეს ყარამანზე და ეგ იყო ჩემი პირველი როლი დრამწრეში. მერე მომაყარეს და მომაყარეს როლები... (იცინის) მერე, მახსოვს, ბრუნშტიენის „ცისფერი და ვარდისფერი“ დავდგით... დიდი წარმატება გვქონდა...

– ალბათ თქვენი შემდგომი არჩევანიც დიდწილად ამ დრამატულმა წრემ განსაზღვრა...

– აბსოლუტურად ამ წრემ განსაზღვრა. აბა, წარმოიდგინეთ, დავდიოდი ხატვაზეც და დრამატულ წრეზეც. წლები მემატებოდა, კლასიდან კლასში გადავდიოდი, ახალ-ახალი საგნები შემოდოდა: ალგებრა, ტრიგონომეტრია, ფიზიკა.... სულ „ტყემაღზე“ დავჯექი... ჰუმანიტარული საგნები ისედაც უფრო მაინტერესებდა და ამ წრეებზე სიარულის დროს ტექნიკურ საგნებზე ყურიც არ გამიპარტყუნებია. შატალოზეც რომ მივდიოდით, მე მთანმინდაზე ავდიოდი და ვხატავდი. სპექტაკლის დეკორაციებს ბავშვები თვითონ ვაშენებდით ხოლმე. ზაფხულობით პედაგოგებს ჩვენი დრამწრის წევრები ქვიშხეთში, „ბერიას“ ბანაკში მიჰყავდათ. ეს ერთი დიდი ოჯახი იყო. პიონერთა სასახლეს უკავშირდება ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები.





„კეთილი ადამიანები“. თენგიზ არჩვაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი



ოთარ მელვინეთუხუცესი

თენგიზი უიშვიათესი ადამიანია, ულამაზესი სულითა და ხორციტ შემკული პიროვნება. ბავშვობიდან მოყოლებული, საოცარი იყო მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი. ანგარება საერთოდ შორს არის მისგან. თავი არასდროს დაუმცირებია. ღირსეულად ატარა თავისი ცხოვრება. რაგინდ უჭირდეს, არავის შეანუხებს. საკუთარ დარდში ღირსეულად ეტევა... პირადად მე, ვინრო წრეში, თენგიზზე ახლობელი ადამიანი არ გამაჩნია.

ჩვენი პირველი შეხვედრა ბავშვობისას, პიონერთა სასახლის დრამატულ წრეში მოხდა. მეცა და თენგიზიც სწორედ ჩვენი ხელმძღვანელის, ვახტანგ სულაქველიძის რჩევით დავადექით ხელოვნების გზას. მას შემდეგ მოვდივართ... მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჩვენი მომავალი გადანყვეტილი იყო, თენგიზმა უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. ყველა საგანში უმაღლესი შეფასება მიიღო. აღმოჩნდა, რომ ხუთით მეტმა აბიტურიენტმა მიიღო თენგიზით ყველა საგანში უმაღლესი შეფასება. რაკი გეგმით ამდენი სტუდენტის მიღება არ იყო განსაზღვრული, 5 „უპატრონო“ აბიტურიენტი არ ჩარიცხეს. მათ შორის აღმოჩნდა თენგიზიც. იმ პერიოდში მისაღები გამოცდები ყველაზე გვიან თეატრალურში იწყებოდა და წელი რომ არ გასცდენოდა, სამსახიობოზეც შეიტანა საბუთები და სწორედ ასე გადანყდა მისი, როგორც მსახიობის ბედი.

ინსტიტუტი ისე დაამთავრა, ღვინის გემო არ გაუსინჯავს. ერთ ებრაელ თეატრმცოდნესთან მეგობრობდა, ორივე წიგნებში იყვნენ ჩაფლული. იშვიათი გარეგნობის, ზრდილი, ყოველმხრივ მოწესრიგებული, სწავლა-განათლებას მოწყურებული, ოდნავ თავისთავში ჩაღრმავებული მაგონდება იმ დროის თენგიზი.



კადრი ფილმიდან
„კეთილი ადამიანები“





თენგიზ არჩვაძე და ოთარ მეღვინეთუხუცესი
სტუმრად კონსტანტინე გამსახურდიასთან

როგორც საუკეთესო მომავლის მქონე ახალგაზრდა მსახიობი, მარჯანიშვილის თეატრში გაანაწილეს. ვაჟას „მოკვეთილში“ ბრწყინვალე მოლა-მუსა იყო. თეატრში ყველა გრძნობდა, რომ დასს საიმედო ძალა შეემატა. გარდასახვის უნარი, ძლიერი ხმა – სასიამოვნო ბარიტონი, კოსტიუმის ტარების მშვენიერი მანერა, სცენური ხიბლი... ყველაფრით გამოირჩეოდა. ქალებს, ცხადია, ძალიან მოსწონდათ. თეატრის აფიშაზე ერთი წარწერა მახსოვს ფლომასტერით მინერილი: „Арчвадзе – мужчина №1“. მე ვხუმრობდი, თენგიზთან მეგობრობა ხელსაყრელი არ არის-მეთქი, მის გვერდით გოგონები ზედაც არ გვიყურებდნენ. არადა, ვერც ვამბობდი მის მეგობრობაზე უარს... ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებაც დრომ გამოსცადა. შემოქმედებითი შეხვედრაც როგორც თეატრში, ასევე კინოშიც ხშირად გვინევდა. მართალია, „კეთილ ადამიანებში“, „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დათა თუთაშხიაში“ ჩემი როლები შედარებით მომგებიანი იყო (თუმცა ვერ ვიტყვი, რომ უკეთესი გამოვიდა), მაგრამ სავსებით შესაძლებელია, პირიქით ყოფილიყო. თენგიზი იმდენად დიდბუნებოვანი პიროვნებაა, ერთხელაც არ უგრძნობინებია, რომ ასე მოხდა...

ის კინოსათვის არის დაბადებული. მანერა, გამოსახვის საშუალებები ძუნწი აქვს. უყვარს და ჰგავს კიდეც ჟან გაბენს. მთელი მისი შემოქმედებითი საშუალებები მის შინა სამყაროშია თავმოყრილი.

თენგიზ არჩვაძე დასაფასებელზე დასაფასებელი კაცია. თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი მოყვარული. ზედმინევებით იცის საქართველოს ისტორია, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ფეხით აქვს შემოვლილი. ახლა ქართული პოეზია? ერთხელ გალაკტიონის სქელტანიანი ტომი გადმოიღო და მითხრა – ნებისმიერ გვერდზე გადაშალე და ზეპირად გეტყვიო...

ახალგაზრდა ხომ როგორი იყო, ჭაღარაც ისევე შევინს... დიდებული ქართველი ვაჟკაცი და დიდი არტისტია ჩემი თენგიზი!



ანზორ ქუთათელაძე

1946 წელი. პიონერთა სასახლის დრამატულ წრეში დავდიოდი, რეჟისორ თედო წეროძის ხელმძღვანელობით. ერთ დღესაც მოვიდა მაღალი, გამხდარი, სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილი, ულამაზესი ახალგაზრდა. ეს იყო თენგიზ არჩვაძე და მას მერე 50 წელზე მეტია, ერთად მოვდივართ ჩვენი ბავშვობიდან. პირველ სპექტაკლში მე აჩაკუნე ვიყავი, თენგიზი – ყარამანი, შემდეგ მე – დათიკო, თენგიზი – გაბრო... ახლაც მახსოვს ის დიდი აღტაცება, რაც თენგიზის სცენაზე გამოჩენას ახლდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში... ყველგან!

თენგიზი ჩემ თვალწინ ჩამოყალიბდა დიდ მსახიობად. დიდი ადამიანური თვისებების მატარებელი, კეთილი, მოყვარული, სიტყვის კაცი, უღალატო... ნამდვილი რაინდი!!! აი, ვინ არის თენგიზ არჩვაძე.



რამაზ საყვარელიძე, ტარიელ საყვარელიძე, ნოდარ მახათელი, ანზორ ქუთათელაძე,
პიერ კობახიძე, კოტე თოლორაია, თენგიზ არჩვაძე

ყმანვილობა და ჭაბუკობა

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად პრობლემებისა, ძალიან საინტერესო ბავშვობა გაიარეთ...

– ბავშვობა კარგია, მაგრამ ის პერიოდი მირჩევნია, როცა ცნობიერება უკვე ჩამომიყალიბდა, წიგნის ფასი გავიგე. ჯერ ყმანვილობაა, მერე მოდის ჭაბუკობა, ჭაბუკობა მირჩევნია ყველა დროს. ყმანვილობა, ჭაბუკობა – ახლა აღარ ხმარობთ ამ სიტყვებს, თინეიჯერობას ეძახით. რატომ? ან რეგიონს რატომ ამბობთ? რა არის რეგიონი... თქვით რა: საჩხერე, იმერეთის... ან „მხარე“, ან „კუთხე“ იხმარეთ... რომ მესმის რეგიონი, სულ აღარ მინდა არსაით გახედვა. კიდევ სხვა სიტყვებიც მიშლის ნერვებს, რომლებიც დააკანონეს. რატომ აკანონებთ ამ უცხო სიტყვებს? ქართული ენა ღარიბია და არ ჰყოფნის სიტყვები, გამოხატოს სათქმელი? ნიკო მარი ამბობდა, ქართულ ენაზე მდიდარი ენა მსოფლიოში არ ვიცოდ.





„ვედრება“



– მომავალი პროფესიის არჩევისას ოჯახში წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვედრიათ?

– მამას არ უნდოდა ჩემი მსახიობობა, მერე შეეგუა – რა უნდა ექნა... სპექტაკლებზე მოდიოდა, ერთ ბილეთს აიღებდა, დაჯდებოდა და მიყურებდა.

– არ ეპატიუბოდით?

– როგორ დავპატიუებდი ჩემს სპექტაკლზე, მოდი და მიყურე-მეთქი, ვერავის ვეცოდით. საერთოდ, არც დაბადების დღეზე, არც საღამოზე არ დამიპატიუებია არავინ. ვინც მოვიდოდა, ყველას სიხარულით ვიღებდი, სახლის კარიც ღია მქონდა და გულისკარიც. ჩემს სოფელშიც კლიტე კი არ მქონდა, პატარა ჩხირს ფუყრიდი ურდულში და ისე ვტოვებდი. ინსტიტუტში ცოტანი ვიყავით, კურსზე ათი კაცი. სარეჟისოროზე სულაც 5 კაცი სწავლობდა. თბილისიც პატარა იყო. ახლა გახდა უშველელელი ქალაქი.

– მერე თუ იყო კმაყოფილი თქვენი არჩევანით ბატონი გრიგოლი?

– არ ვიცი. ალბათ იყო. ან არ იყო. შექება არ იცოდა ხოლმე. სხვათა შორის, მამა რომ 51 წლისა შესრულდა, ძალიან მეშინოდა, რამე არ მოსვლოდა. ამას როგორ ვიტყვოდი ახლობლებში... ბაბუაჩემი მოკლეს 51 წლისა და შიში ამეკვიატა, მამასაც იგივე ხომ არ მოეღის-მეთქი. მას მერე კიდევ 40 წელი იცოცხლა მამამ. ჩრდილოეთში ვიყავი და იქიდან დავბრუნდი. თან შამპანური მოვიტანე. მამა უკვე მოხუცი იყო, რად გინდოდა, რომ მოიტანე, ხომ იცი, შინ კახური ღვინო გვაქვსო. ველისციხიდან უგზავნიდნენ მეგობრების შვილები. თითო ბოთლი ღვინო მივირთვით ვახშამზე... მამამ – მე მოვისვენებო. წავიდა თავის ოთახში. ცოტა ხანში დედას ვთხოვე, არ გაცივდეს, გადააფარე რამე-მეთქი. მამამ გვერდზე იცოდა წოლა და არ დაიფარებდა ხოლმე, მეც ასე ვიცი. შემობრუნდა დედაჩემი და დაიწყო სუფრიდან ხორცის ალაგება. მივხვდი, ცუდად იყო საქმე, აღესრულა-მეთქი? თავი დამიქნია. აი, ასე წავიდა მამა. ხელმოკლედ ვცხოვრობდით, რანაირად გაგვექონდა თავი, არ ვიცი. ქართველიშვილის 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ აბრეშუმის ყდითა და ზიჩის ილუსტრაციებით ერთ „ბუხანკა“ პურში გაყიდა მამამ, სხვა რომ აღარაფერი გვექონდა გასაყიდი. მაშინ კარგად გამოვკითხე, ვის მიჰყიდა ის წიგნი. ჩავინერე, რომ არ დამეინწყებოდა. უკვე ფეხზე კარგად რომ დავდექი და შემოსავალი გამიჩნდა, მოვძებნე ის კაცი. სოლიდური თანხა მთხოვა, მანქანის ფული იყო მაშინ. გადავუხადე უსიტყვოდ... მამაჩემის ფაქსიმილეთი იყო ის წიგნი... საოცარი კალიგრაფია ჰქონდა...



თეატრალური ინსტიტუტი





„უდანაშაულო დამნაშავენი“.
თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი

მისაღები გამოცდები
ლილი იოსელიანი
გივი ბერიკაშვილი
საბედისწერო ფარიკაობა
ლეილა კაპანაძე
ჯემალ ლალანიძე



მისაღები გამოცდები

– მისაღები გამოცდები გახსოვთ?

– როგორ არ მახსოვს? ჩვენ, პიონერთა სასახლეში ვინც დავდიოდით და სპექტაკლებში ვთამაშობდით, კომისიის წევრები ისედაც ყველას გვიცნობდნენ. ოთარ მელვინეთუხუცესმა გამახსენა მერე, ვახტანგ სულაქველიძეს უთქვამს მაშინ, ვიდრე ჩავაბარებდით, ოთარს და თენგიზს გარანტირებული აქვთო მოხვედრა... კომისიის წევრებს იცნობდა და იცოდა მათი აზრი ჩვენზე, სასახლეში ნათამაშები როლებიდან გამომდინარე. მახსოვს, ტურზე სიმონ ჩიქოვანი წავიკითხე... (კითხულობს) „...ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო დიდების ღირსი...“

– კომისიაში ვინ იჯდა?

– ვინ არა? აკაკი ხორავა, მალიკო მრეველიშვილი, ლილი იოსელიანი...

– თეატრალურ ინსტიტუტში პირველი პედაგოგი ვინ იყო?

– ლილი იოსელიანი... ო, ლილის მაშინ ახალი დაწყებული ჰქონდა პედაგოგობა. დღეის გადასახედით დიდი პედაგოგის სახელიც აქვს დამკვიდრებული. მეჩვენებოდა, რომ ზედმეტად ცინიკურიც იყო ჩვენ მიმართ. ასე იყო თუ ისე, საფუძველი ჩვენი პროფესიისა სწორედ იმ პირველ კურსზე ჩაიყარა. თუმცა, მე რაღაც მეწყინა და გადავწყვიტე, ამ პროფესიისთვის თავი დამენებებინა. უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე ჩაბარება მოვისურვე და პირველი კურსის დასრულების შემდეგ თეატრალურში სწავლა შევწყვიტე. აკაკი განერელია ძალიან მგულშემატკივრობდა. მამაჩემი კარგად იცნობდა ბატონ აკაკის და მანაც კარგად იცოდა, ვისი შვილიც ვიყავი. ოთხიანი არ მიმიღია გამოცდებზე, თუმცა მაშინ დაიწყო იქ, უნივერსიტეტში არეულობა. ბატონი ნიკო კეცხოველი გაათავისუფლეს რექტორობიდან. ახალი რექტორის დანიშვნამდე სრული არეულობა იყო და წარმოიდგინეთ, ყველა საგანში ფრიადი მქონდა მიღებული და მაინც უნივერსიტეტის გარეთ დავრჩი...

– ეგ როგორ?

– როგორ და... იქ სპორტსმენების ლიმიტიო, იქ ომში მარჩენალდაკარგულთაო და რა ვიცი, კიდევ რა... ადგილების რაოდენობა შეზღუდული იყო და მოკლედ, ყველა ხუთიანის მიუხედავად, ჩასარიცხთა სიაში ვერ მოვხვდი. გაგიჟებული იყო ბატონი აკაკი განერელია, მივიდა კიდევ უნივერსიტეტში საჩივრელად... იმათ უთხრეს, იქნებ იანვრის სესიებამდე იაროსო და მერე რამეს მოვიფიქრებთო... ახლა ასე იოლად ვყვები ამ ამბავს და მაშინ ძალიან გავნანწყენდი. ისედაც სულ ანტი ვიყავი ამ კომუნისტური წყობისა და მაშინ საერთოდ ამიცრუვდა გული... ინსტიტუტიდან წამოსული ვიყავი, უნივერსიტეტშიც არ მიმიღეს... მოკლედ, თუ თეატრალურში არ დავბრუნდებოდი, ჯარი მიწევდა... მამაჩემს სიმონიკა სხირტლაძისთვის უთხო-





სპექტაკლ „ფსკერზეს“ პრემიერის შემდეგ.
ცენტრში ლილი იოსელიანი, მარჯვნიდან პირველი თენგიზ არჩვაძე

ვია და ისიც მისულა ილია თავაძესთან. მაშინ ეგ იყო თეატრალურის რექტორი. იმან მალიკო მრევლიშვილთან გამაგზავნა. მალიკო ხომ მიცნობდა. იმ ჯგუფს, სადაც უნდა დავესვით, აკაკი ხორავა ხელმძღვანელობდა. მალიკომ წარმადგინა ხორავასთან და იმანაც ვალი დამადო რა, რომ მიმიღო ჯგუფში... მალიკომ წამოაძახა მერე, ნეზნამოვი რომ ვითამაშე ხორავასთან „უდანაშაულო დამნაშავენი“ – მაშინ არ გინდოდა მიღებაო?!

– თქვენი ჯგუფელები ვინ იყვნენ?

– კარგი ჯგუფი გამოვიდა. აი „უდანაშაულოში“ მე ნეზნამოვი ხომ ვიყავი, ზინა კვერენ-ჩხილაძე იყო კრუჩინინა. ბორია ნიფურია და გივი ბერიკაშვილი შმაგას თამაშობდნენ. ლეილა კაპანაძე იყო გალჩიხა... ლიკა ჭავჭავაძე იყო ჩვენს ჯგუფში, ელდარ სახლთხუციშვილი... მანამდე, ვიდრე დავიჭრებოდი, წელი ხომ გამიცდა და იქ იყვნენ ოთარ კოპტონაშვილი, რენე ჩხაიძე...



ლილი იოსელიანი

თენგიზი ჩემი მოწაფე იყო. ყოველმხრივ გამოიჩინა, როგორც სულიერად, ისე გარეგნულად. ეს იყო რაინდობის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების განსახიერება.

მეორე კურსის სტუდენტმა ითამაშა ასტროვის როლი ჩემ მიერ დადგმულ ნაწყვეტში (ანტონ ჩეხოვის „ძია ვანია“). პიესის გაცნობისთანავე, შევეცადეთ, მოქმედებაზე გადავსულიყავით და სტუდენტი-თენგიზის სახით პრაქტიკულად ჩვენი წარმოდგენის ასტროვი რეალურად მივიღეთ. მისი მუშაობა ამ ეპიზოდზე საერთო მოწონებას იმსახურებდა.

თენგიზი ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი გახლდათ მთელ ინსტიტუტში, ამიტომაც სრულიად ლოგიკური იყო, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი, მარჯანიშვილის თეატრის დასში ჩარიცხეს.

როგორც ყველა მსახიობს, მასაც ჰქონდა სადებიუტო პატარ-პატარა როლები და პირველი სერიოზული განაცხადი იყო დირექტორის როლი ალექსანდრო კასონას პიესაში „ხეები ზეზეურად კვდებიან“ (რეჟ: ვერიკო ანჯაფარიძე, თენგიზ კანდინაშვილი), სადაც იგი პარტნიორობას უწევდა გენიალურ მსახიობებს, ვერიკო ანჯაფარიძესა და ალექსანდრე ომიადეს.

როდესაც დავინახე, რომ მარჯანიშვილის თეატრში შეიკრიბა ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთა ჯგუფი, რომელთაგანაც ნაწილი ჩემი ნამოწაფარი იყო, გადავწყვიტე, გეგმის გარეშე მათთან განმეხორციელებინა მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერზე“. მოხდა ისე, რომ სპექტაკლი არა მარტო წარმატებული გამოვიდა, არამედ თითოეული მონაწილისათვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში და მათ შორის თენგიზ არჩვადის ბარონი ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო წარმოდგენაში.

დაახლოებით ამ პერიოდიდან დაიწყო თენგიზის აქტიური კინომოღვაწეობა და „ფსკერზეს“ შემდეგ, მხოლოდ ერთხელ მომიწია მასთან მუშაობა, ამჯერად რუსთაველის თეატრში „დარისპანის გასაჭირში“ ოსიკოს როლს ასრულებდა. დარისპანი სერგო ზაქარიას იყო. სწორედ ბატონი სერგოს მოულოდნელი გარდაცვალების გამო ეს სპექტაკლი მაყურებელამდე ვეღარ მივიდა, თუმცა ჩვენ სარეპეტიციო პროცესი პრაქტიკულად დასრულებული გვქონდა და თენგიზიც ძალიან საინტერესო, ერთი შეხედვით მისი გარეგნობიდან და აქტიორული თვისებებისგან მკვეთრად განსხვავებული, სახასიათო ოსიკო იყო.

სამწუხაროდ, თენგიზს ამის შემდეგ მუშაობაში არ შევხვედრივარ, თუმცა ახლა უკვე მისი ქალიშვილი ნატალია გახდა ჩემი სტუდენტი – თენგიზის შვილობა ნატოს შვილიშვილობაში გადაიზარდა.



გივი ბერიკაშვილი

მე და თენგიზ ბავშვობის მეგობრები ვართ. სტუდენტობა ბავშვობა არ არის? სწორედ რომ სტუდენტობიდან მოვდივართ. რამდენი დრო გასულა? ჩვენი მეგობრობა მეშვიდე ათეულში წასულა. ამ ხნის მანძილზე რამდენი რამ მომხდარა ჩვენ გარშემო, სიხარული, ტკივილი, გამარჯვება, დამარცხება... ჭირსა თუ ლხინში გვერდიგვერდ ყოფნით გაგვიტარებია ჩვენი ნუთისოფელი და რაც დაგვრჩა, იმ დროსაც ეგრე გავივლით. ან აბა ან მე რა ოფოფები დამეშინებდა, ან თენგიზს?

პირველ რიგში, მინდა, მისი შესანიშნავი მამა, ბატონი გრიგოლი მოვიგონო – არაჩვეულებრივი, განსწავლული კაცი. პრაქტიკულად, თენგიზის მთელი სამეგობრო მისი გაზრდილები ვართ. ძალიან დიდი როლი ითამაშა თითოეული ჩვენგანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ხშირად ვიკრიბებოდით მათთან სახლში. ბატონი გრიგოლი სულ მუდამ ჩვენ გვერდში იდგა, ის თავად გვმასპინძლობდა. ქართული ადათ-წესისა და ტრადიციების მოყვარული, ჩვენც ზედმინევნით გვაზიარებდა ყველაფერს. თენგიზი იშვიათად ერთვებოდა ჩვენს პურმარილებში. მთელი საღამოს მანძილზე შორიასხლოს მოთავსდებოდა და ჩვენს კარიკატურებს ხატავდა. საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა, ხატვაც ეხერხებოდა და მთელი სერიალი ჰქონდა შექმნილი ჩვენი კარიკატურებით. ჩემს ცხვირზე ხომ ისეთი გალალეებული იყო, რომ უკვე თვალდახუჭულიც კი ავლებდა ჩემი კარიკატურის კონტურს.



თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი





„ასის წლის წინათ“. გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე, სოფიკო ჭიაურელი

ვხუმრობ ხოლმე, თენგიზიც გადარჩენილი მყავს და დედამისიც-მეთქი. სწავლის დროს, ფარიკაობის გაკვეთილზე თენგო დაიჭრა, გარეგნულად თითქოს არაფერი. ერთი წითელი წერტილი ჰქონდა ილლიასთან, თურმე პლეერა ჰქონია გახეული, ძლივს გადავარჩინეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ახლა უკვე მარჯანიშვილის თეატრში ვმუშაობდით, თენგიზს სპექტაკლი ჰქონდა, მე იმ საღამოს თავისუფალი ვიყავი და შემთხვევით მოვხვდი თეატრში. სპექტაკლის მიმდინარეობის დროს უცებ პარტერში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაც ცუდად გახდაო, გავვარდი და რას ვხედავ? თენგიზის დედა, ქალბატონი კლავდიაა ცუდად. იქვე ჩხეიძის ქუჩაზე საავადმყოფოში გადავიყვანე, თურმე ბრმანაწლავი გახეთქვია ქალს. ოპერაცია ბრწყინვალედ ჩატარდა, თენგიზმა ისე დაასრულა სპექტაკლი, არაფერი არ გაუგია.

ისე, ერთი საოცარი რამ ხდება. მთელი ცხოვრება, როგორც გითხარით, ერთად მოვდივართ. ერთ თეატრში ვმუშაობდით. კინოშიც ას-ას ფილმში მაინც ვართ გადაღებულები, თუმცა პარტნიორობა პრაქტიკულად არ გვქონია. სტუდენტობის წლებს თუ არ ჩავთვლით, სწორედ „მგზავრის წერილებში“ ვიყავით უშუალო პარტნიორები. ის ილიას თამაშობდა, მე – ლელთ ლუნიას. ამავე სპექტაკლში „კაცია-ადამიანი?!“ იყო ჩართული. ის ავტორს თამაშობდა, მე – ლუარსაბ თათქარიძეს. კიდევ ჩვენს კონცერტებზე ფილარმონიაში და ერთადერთ ფილმში – „როცა დედები შინ არ არიან“. ეს არის და ეს. სპექტაკლებიც ყოფილა და ფილმებიც, რომლებშიც ორივე ვთამაშობდით, უშუალო პარტნიორობა – მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე შემთხვევაში. ასე რომ, ყველაფერი წინა გვაქვს, ჩემო თენგიზ!!! ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და ისე ვიაროთ სცენაზე. მე მგონი, ჯერ კიდევ რაღაცას მოვახერხებთ და როგორც აქამდე მოვსულვართ მხარი მხარს – ერთხელ კიდევ რამე დავაგუგუნოთ ერთად სცენიდან ან ეკრანიდან.

საბედისწერო ფარიკაობა

– როგორ დაიჭერთ?

– კონო ბადრიძესთან გვექონდა ფარიკაობის გაკვეთილი. მე და რენე ჩხაიძე ვფარიკაობდით. ისე მოხდა, რომ რენეს დაშნა გადაუტყდა. მე ჩავთვალე, რომ დასრულდა ასპარეზობა და, წესით, ეგრეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რენემ ეტყობა, ვერ შეამჩნია, რომ გადატყდა მისი დაშნა და პირდაპირ ფილტვში არ გამიყარა... როგორია ფილტვი შამფურზე? (იცინის) ახლა მეცინება, არადა, მაშინ კინალამ მოვკვდი. გარედან არაფერი მეტყობოდა. მთელი სისხლი შიგნით ჩაღვრილა. ვაკუუმი დაირღვა და წარმოგიდგენიათ, საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, თავიდან არაფერი ისეთი არ არისო, ამბობდნენ. კიდევ კარგი, იმ სალამოს მორიგე ექიმი იყო იულია ნიკალაევნა ფარესაშვილი, ყოფილი სპორტსმენი ქალბატონი. სპორტის ოსტატი იყო ტანვარჯიშში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ულამაზესი ქალბატონი... ის მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თორემ ვერ გადამარჩენდნენ. ძალიან კი გავწვალდი. აბა წარმოიდგინე, ექვსი თვე საავადმყოფოში ვინექი, მერე ექვსი თვე ბიძაჩემი ახალ ათონში მუშაობდა და მამაჩემმა იქ გამაგზავნა რეაბილიტაციაზე... ბზიცხას ხეობაში... ოჰ, რა ზღაპრული ადგილია. 52 წლის ზამთარი იქ გავატარე... მე შენ გეტყვი, წამალი იშოვებოდა, თუ ფული გქონდა. რაც გვებადა, ყველაფერი გავყიდეთ, ებრაელებში წამლები რომ გვეშოვა...

– ესე იგი, ამ ფაქტმა განაპირობა, რომ სხვა ჯგუფში აღმოჩნდით...

– თავისთავად. მთელი წელი გამიცდა. ვიდრე ხორავა „უდანაშაულო დამნაშავეებს“ დადგამდა სადიპლომოდ, მანამდე მესამე კურსზე აკაკი ვასაძე გვასწავლიდა. მან დაგვიდგა საკურსო სპექტაკლიც – პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“.

– ამდენი პედაგოგი გასწავლიდათ. თუ გყავდათ თქვენთვის გამორჩეული პედაგოგი?

– ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ, მართლა. და განა მარტო ოსტატობის საგნებში?! თეორიულებში?! ვახტანგ ბერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ილო რჩეულიშვილი... რომელი ერთი გავიხსენო... სასახლეშიც ხომ არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდნენ: ბატონი თედო წეროძე, ვახტანგ სულაქველიძე, ნოდარ ჩხეიძე... თუ მაინცადამაინც ერთი უნდა გამოვარჩიო, ქალბატონ მალიკო მრევლიშვილს გამოვარჩევდი... ყველა სიკეთით მოსილი ქალბატონი გახლდათ... დიდი მხატვრის, ალექსანდრე მრევლიშვილის ოჯახში გაზრდილი... ძმა ხომ მიხეილ მრევლიშვილი იყო – არაჩვეულებრივი მწერალი და დრამატურგი და ქალბატონი მალიკო, დახვეწილი ინტელიგენტი, საოცრად განათლებული... მთელი სკოლა დატოვა თავის შემდეგ, ქალბატონი ბაბუღია ნიკოლაიშვილი, ლეილა კაპანაძე...






სპექტაკლ „უდანაშაულო დამნაშავენის“ პრემიერის შემდეგ.
ცენტრში აკაკი ხორავა, მალიკო მრეველიშვილი, დიმიტრი ალექსიძე. მარჯვნიდან მეხუთე თენგიზ არჩვაძე





თენგიზ არჩვაძე კოლეგებთან ერთად



თენგიზ არჩვაძე, ნელი ფილიაშვილი



ლეილა კაპანაძე

თენგიზი ინსტიტუტში გავიცანი. ჯგუფელები ვიყავით. სულ მუდამ მონესრიგებული, სულ მუდამ შრომისათვის თავდადებული, უფროსის პატივისმცემელი, მეგობრის გამტანი – ასეთი იყო და ასეთად დარჩა ჩვენი თენგიზი. ინსტიტუტი მაშინ ძალიან პატარა იყო. ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, ვმეგობრობდით. ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით. თენგიზი ნამდვილად გამორჩეული იყო ყველასგან, თანაც არა მხოლოდ გარეგნობით (გარეგნობა ხომ იცოცხლეთ, ისეთი აქვს, ნებისმიერ მსოფლიო კინოვარსკვლავს შეშურდებოდა). საოცრად წიგნიერი, საკუთარი ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული და ერთგული კაცია.

ჩვენს საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებს მთელი თეატრალური საზოგადოება ესწრებოდა. ისედაც იყო ეს პრაქტიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი პედაგოგების ხათრიდან მოდიოდნენ – ხუმრობა ხომ არ არის, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე რომ მუშაობდნენ ჩვენთან სპექტაკლებზე.

„უდანაშაულო დამნაშავენი“ მე გალჩიხა ვიყავი, თენგიზი – ნეზნამოვი, ზინა კვერენჩხილაძე – კრუჩინინა, გივი ბერიკაშვილი და ბორის ნიფურია შმაგას თამაშობდნენ. სწორედ ამ სპექტაკლის პრემიერის შემდეგ დაიწყო ჩვენი ჯგუფის წევრების „მოტაცება“ თეატრებში. თენგიზი მარჯანიშვილის თეატრში წაიყვანეს და უკვე სტუდენტობის პერიოდში თამაშობდა თეატრის სპექტაკლებში. წარმოიდგინეთ, როგორი ამაყები დავდიოდით, ჩვენი ჯგუფელი და მეგობარი სახელმწიფო თეატრის სცენაზე რომ იდგა დიდ, ბუმბერაზ მსახიობებთან ერთად.

რაც შეეხება მის კინომოღვაწეობას, ნურავინ დაიკვებნის, რომ 60-იან წლებში თენგიზზე პოპულარული ყოფილიყო ვინმე. ფილმიდან ფილმზე გადადიოდა და თაყვანისმცემლების წრე ფართოვდებოდა მის გარშემო. თაყვანისმცემლები არც სტუდენტობისას აკლდა, ინსტიტუტის თითქმის ყველა გოგო მასში იყო შეყვარებული. მან ცხოვრების მეგზურად ჩვენივე კურსელი ნელი ფილიაშვილი ამოირჩია და შექმნა არაჩვეულებრივი ოჯახი, შესანიშნავი შვილებითა და შვილიშვილებით.




ჯემალ ღალანიძე

1951 წელს თეატრალური ინსტიტუტის აბიტურიენტები ერთმანეთისგან არაფრით განვსხვავდებოდით. შეშინებული თვალებით, დაბნეულები, არავინ არ ვიცოდით, ვინ ნიჭიერი იყო და ვინ არა. ყველა ინკუბატორის წინილებივით ერთნაირები ვიყავით – გარდა ერთისა, რომელიც თავისი აღნაგობით, სიდინჯით, სიდარბაისლით, ხიბლით, ყველა აბიტურიენტისაგან განსხვავდებოდა. ეს გახლდათ სახელად თენგიზი და გვარად არჩვაძე. ჩვენ გაგვიმართლა. შევუდექით სტუდენტურ ცხოვრებას. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდშივე მისი გარეგნობა და ნიჭი არ გამოჰპარვია „ქართულ ფილმს“. სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო მისი კარიერა კინოში, რომელიც დღემდე დიდი წარმატებით გრძელდება. იშვიათად მეგულება მსახიობი, რომელმაც ასე სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და ხალხის სიყვარული.

ინსტიტუტის დამთავრებიდან დღემდე თენგიზი ქართულ თეატრს ემსახურება. ასამდე მთავარი როლი შეასრულა უდიდესი წარმატებით. თენგიზი თავიდან ფეხებამდე ქართველი მსახიობია. ქვეყანა და ხალხი მისთვის ხატივით საფიცარია. ამიტომაც არის, რომ ხალხმა ჭეშმარიტ მამულიშვილად აღიარა.


ჩვენი კურსელებიდან ბევრი აღარ არის ცოცხალი, თუმცა საამაყოდ ნამდვილად გვაქვს, რომ არაჩვეულებრივი კურსი ვიყავით და ბევრი სახელი ქართული თეატრის კუთვნილებად იქცა. წარმოგიდგენიათ, ერთ კურსზე ვიყავით ზინა კვერენჩხილაძე, ლეილა კაპანაძე, ბორის ნიფურია, ლიკა ჭავჭავაძე, ელდარ სახლთხუციშვილი, ერემო სვანაძე, გივი ბერიკაშვილი, ლამარა ვაშაკიძე, სულიკო გაბისონია, ნოდარ მარგველაშვილი, გულიკო ყიფიანი, გიორგი ლასხიშვილი, ვალენტინა ჟღენტი, ირაკლი ბალიაშვილი, თენგიზ არჩვაძე და მე – ჯემალ ღალანიძე. ჩვენივე კურსზე იყო თენგიზის ულამაზესი მეუღლე ნელი ფილიაშვილიც.

როგორი კურსია? და გადაუჭარბებლად შემოიძლია გითხრათ, რომ მიუხედავად ამდენი ვარსკვლავისა, თენგიზი მაინც სხვაგვარად გამორჩეული იყო მუდამ.



თეატრი





პირველი ნაბიჯები
ვაჟა ძიგუა – „დებიუტი“
„ასის წლის წინათ“...
რეჟისორები
თემურ ჩხეიძე
„დიდრო“
პარტნიორები
დოდო ჭიჭინაძე
კოტე თოლორაია
თამარ სხირტლაძე
გიზო სიხარულიძე
მედეა ჩახავა
რუსთავის თეატრი
გიგა ლორთქიფანიძე
თეატრი თუ კინო?
ყვითელი ინტერვიუ



პირველი ნაბიჯები

– მარჯანიშვილის თეატრში პირველი სპექტაკლი რა იყო თქვენთვის?

– როგორც გითხარი, ლევან გოთუას დაპატიმრების შემდეგ მისი პიესები ამოიღეს რეპერტუარიდან და თეატრებს მხოლოდ მას მერე დართეს დადგმის ნება, რაც ბატონი ლევანი გაათავისუფლეს ციხიდან. აი სწორედ მაშინ მივედი მარჯანიშვილის თეატრში, როცა ბატონი ვახტანგ ტაბლიაშვილი „მეფე ერეკლეს“ აღადგენდა. მე რუსი ოფიცრის როლი მომანდეს.

– თეატრში ნათამაშები რომელი როლის შემდეგ მიხვდით, რომ მაყურებელმა დაგიმახსოვრათ?

– (იკინის) საიდან უნდა დავემახსოვრებინე მაყურებელს ასე უცებ? აი თეატრალური კი პიონერთა სასახლიდან მოყოლებული თვალს გვაღვენებდნენ. მე თან მეოთხე კურსიდან, „უღანაშაულო დამნაშავენი“ ვითამაშეთ თუ არა ინსტიტუტში, ვასო ყუშიტაშვილმა და ვანიჩკა გვინჩიძემ წამომიყვანეს თეატრში. პირველი როლი, ანუ ამ რუსი ოფიცრის თამაში არ გამძნელებია. რუსული ბავშვობიდანვე ძალიან კარგად ვიცოდი. „პლესხანოვზე“ ჩვენ მეზობლად, როგორც მოგახსენეთ, მიხეილ როიტერბერგის ოჯახი ცხოვრობდა. სწორედ მათგან ვისწავლე რუსული ენაც, კარგად ვლაპარაკობდი, თუ თავის ქებაში არ ჩამითვლით, რასაკვირველია.

– მაინც არ მიპასუხეთ, რომელი როლის შემდეგ გახდით პოპულარული, ანუ ქუჩაში როდიდან გცნობდნენ?

– თეატრზე ვლაპარაკობდით და თეატრით პოპულარობის მიღწევა უფრო ძნელი საქმე იყო. მაინც უფრო კინოში მუშაობის შედეგად. ალბათ „კეთილი ადამიანების“ შემდეგ. ეგ ფილმი ძალიან მოინონა ხალხმა და იქ მონაწილე მსახიობები დაგვიმახსოვრეს. მახსოვს, პიერ კობახიძემ ძალიან შემაქო. თან ასე მითხრა, ბადრიც ხომ თამაშობდაო (ბადრი კობახიძე პიერ კობახიძის ვაჟიშვილი იყო. დ.ხ.), შენ განსაკუთრებულად მომეწონეო. რა ახალგაზრდა გარდაიცვალა ბატონი პიერი, არადა, მაშინ იმხელა გვეჩვენებოდა, სამოცი წლისაც



„მეფე ერეკლე“



არ იყო, როცა გარდაიცვალა. მე ხომ ვხატავდი კარიკატურებს, პიერი კარგ ფუნაგორებს აწერდა ხოლმე ჩემს ნახატებს, გადავიკიდეთ ნახევარი თეატრი. (იციინის) ახლა სხვა თემაზე გადავდის, მაგრამ უცებ გამახსენდა ბატონი პიერი და გვერდი ვერ ავუარე. მოკლედ, ძალიან მალე მე, სოფიკო ჭიაურელი და ოთარ მეღვინეთუხუცესი კინოსტუდიაში შტატში აგვიყვანეს. მე ერთ-ერთი უმაღლესი კატეგორია მქონდა, ზუსტად იგივე, რაც აკაკი ხორავასა და ვერიკო ანჯაფარიძეს. იმდენს მიღებდნენ, რომ ნაკლები ველარ მომცეს, თუმცა კანონი იყო ასეთი, თუ კინოში შტატში იყავი, თეატრში სრულ შტატს არ გაძლევდნენ. ვთამაშობ სცენაზეც, ვმუშაობთ-მეთქი, რომ ვუთხარი, ვისაც საჭიროა, ეგ არ გვავინტერესებს, ასეთი კანონია და გამონაკლისს ვერ დავუშვებთ. ბატონი აკაკი დვალისძე ძალიან გვეხმარებოდა. ის ერთი პერიოდი მარჯანიშვილის თეატრის დირექტორიც იყო, შემდეგ წავიდა კინემატოგრაფში სამუშაოდ, არაჩვეულებრივი პიროვნება.

ვაჟა ძიგუა

დებიუტი

ვაჟა-ფშაველა, „მოკვეთილი“,
დადგმა ა. ჩხარტიშვილისა



„მოკვეთილი“

...განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრის ახალგაზრდა მსახიობის, თენგიზ არჩვაძის მიერ განსახიერებული მოხუცი მოლა-მუსას როლი, რომელმაც ღირსეული პარტნიორობა გაუწია თავის უფროს ამხანაგებს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც, თენგიზ არჩვაძემ დატოვა თეატრალური ინსტიტუტის კედლები, თეატრმა კი თამამად მიანდო ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს მეტად საპასუხისმგებლო როლი, რომელიც დამწყები მსახიობის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ცბიერი მოხუცის მოლა-მუსას განსახიერება თენგიზ არჩვაძემ მოახერხა არა მარტო მკვეთრი შინაგანი გამომსახველობითი საშუალებებით, არამედ გარეგნული პლასტიკური სახის შექმნითაც...

... თვალნათლივ გამოჩნდა ახალგაზრდა მსახიობის ფაქიზი, გულმოდგინე დამოკიდებულება როლისადმი, რომელშიც თითოეული დეტალი, ნიუანსი ზედმიწევნით გააზრებული და დამუშავებული ჰქონდა. ამ სახეში (მოლა-მუსა) მიღწეული იყო პერსონაჟის შინაგანი ბუნების გარეგნულ მონახაზთან შერწყმა, რასაც ემატებოდა ფილიგრანულად დამუშავებული პლასტიკა.

1956 წ.




„ასის წლის წინათ“...

– თქვენი ნათამაშები გმირებიდან რომელი გგავდათ ყველაზე მეტად?

– ალბათ არც ერთი, ისინი თვითმყოფადი ადამიანები იყვნენ, მეც – ჩემი შინაგანი თუ გარეგნული აღნაგობით – დამოუკიდებელი. მსგავსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აი პუბლიცისტური ხასიათის როლების შესრულება გაცილებით მეტ ენერგიას მართმევდა და პასუხისმგებლობას მიათქცევდა. ის ხომ თითქოს დრამატურგიულად ნაკლებად აწყობილია და შენ ვალდებული ხარ, მაყურებლამდე თეატრის ენით მიიტანო სათქმელი, ამიტომაც ენერგიაც მეტი სჭირდებოდა.

– ამას წინათ ერთი ძველი ინტერვიუ წავიკითხე თქვენთან, სადაც წერთ, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის განსახიერება სპექტაკლში „ასის წლის წინათ“...

– სპექტაკლში „ასის წლის წინათ“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ დადგა, ავტორს, მთხრობელს ვასახიერებდი. მთელი სპექტაკლი მე მიმყავდა. ამ როლზე მუშაობისას დიდი შრომის განწევა მომიხდა, მას ჩემი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმუმი დავახარჯე, სანაცვლოდ კი რაღაც შეუცნობი სიამაყე და სიხარული დამიტოვა. აბა შენ წარმოიდგინე, რამხელა პასუხისმგებლობა იყო. არტისტულად აქ დიდი არაფერი სირთულე არ იყო, სირთულე მისი აზრის სწორად მოტანაში იდო, თორემ მაგალითად „თვალი პატიოსანი“ რომ ვითამაშეთ, იქ ჩემი ენერგია იმაზე იხარჯებოდა, რომ ცალკეული ეპიზოდები უფრო ამომეწია და მაყურებლისთვის უფრო მეტად სახილველი გამეხადა. სხვათა შორის, გურამ ფანჯიკიძეს, სხვა მწერლებსაც, ერთი კარგი თვისება ჰქონდათ, ინსცენირებას რომ მოიტანდნენ, ენდობოდნენ მერე შემოქმედებითი ჯგუფის კომპეტენციას თეატრის დარგში და აღარ გიშლიდნენ ხელს, თავისუფლად გემოქმედა.



„ასის წლის წინათ“




– „თვალი პატიოსანი“ ახსენეთ... მართლა თქვენი შეკვეთით დაინერა ბიძინა კვერნაძის შედეგრი „შემოდგომის ყვავილებს“?

– გალაკტიონის კრებულში შემთხვევით აღმოვაჩინე მისი ეს პატარა ლექსი, უცებ ძალიან ავენთე, იმიტომ, რომ ძალიან ახლოს იყო ჩემი გმირის შინაგან სამყაროსთან. მოვიტანე და ბიძინა კვერნაძეს, რომელიც მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლს, ვთხოვე, იქნებ ამ ლექსზე რამე სიმღერა დამიწერო-მეთქი... მინდოდა, სხვადასხვა ეპიზოდში დროდადრო მეღიღინა მელოდია. მოიტანა სიმღერა და თვითონვე დაგვიკრა. რომ მოვისმინეთ, ისეთი დიდი იყო შთაბეჭდილება, რომ ჩემი ლილინი უკვე აღარ გამოდიოდა და ქალბატონ ნანის ვთხოვეთ, ჩაენერა სიმღერა და ამ სპექტაკლის ძირითად თემად გაგვეშვა. მართლაც, მარჯანიშვილის თეატრის სტუდიაში ჩაინერა პირველად „შემოდგომის ყვავილებს“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპექტაკლი დაახლოებით 200-ჯერ მაინც ვითამაშეთ, ამ სიმღერის განსაკუთრებული აღიარება მაინც „დათა თუთაშხიაში“ გაუღერების შემდეგ მოხდა. კინოს აქვს ეს შესაძლებლობა, რომ, როგორც მსახიობს გახდის უცბად ძალიან პოპულარულს, ასევე სიმღერასაც უცებ იტაცებს ხალხი და დღეს მაყურებლისთვის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სიმღერაა.



„ასის წლის წინათ“. სოფიკო ჭიაურელი, თენგიზ არჩვაძე





„მგზავრის წერილები“.
ლელო ლუნია – იაკობ ტრიპოლსკი,
ავტორი – თენგიზ არჩვაძე



„მგზავრის წერილები“.
ლელო ლუნია – გივი ბერიკაშვილი,
ავტორი – თენგიზ არჩვაძე



„მგზავრის წერილები“.
ლელო ლუნია – დიმიტრი ხვთისიაშვილი,
ავტორი – თენგიზ არჩვაძე



„მგზავრის წერილები“

– იყო ისეთი როლი ან კინოში, ან თეატრში, რომლის თამაშიც გინდოდათ და არ მოგცეს?

– ეგეთი არ მახსენდება. ერთხანს მაკბეტის თამაში მინდოდა... (პაუზა) არა, კი არ მინდოდა... ძალიან მრავალპლანიან, საინტერესო პერსონაჟად მიმაჩნდა, თორემ საოცნებო როლები ნამდვილად არ მქონია. რასაც მომცემდნენ, იმას ვცდილობდი, რომ კარგად მეთამაშა. თუმცა ძალიან ბევრ როლზე უარიც მითქვამს.

– რა იყო ამის მიზეზი?

– ძირითადად, არასაინტერესოდ

მეჩვენებოდა. უარყოფითი გმირიც კი, თუ არ იყო გამოკვეთილი ხასიათითა და თავისი ლოგიკით, არ მაინტერესებდა და უარს ვამბობდი.

– ანუ რაც ითამაშეთ, თავიდანვე „მოგინდათ“ ყველა პერსონაჟის თამაში?

– არა, ასეც არ იყო. მაგალითად, ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ ძალიან არ მინდოდა იმ როლის თამაში, თუმცა განსაკუთრებული პატივისცემით ვიყავი განწყობილი ბატონი სიკო დოლიძის მიმართ პიროვნულად, თან მანამდე ერთხელ რომელიღაც ფილმზე უარი მქონდა ნათქვამი და უკვე ამ ფილმიდანაც „დათესვა“ არ გამომივიდა. გარდა იმისა, რომ პირადად მართლა ძალიან დიდ პატივს ვცემდი ბატონ სიკოს, ისიც განსაკუთრებულ პირობებს მიქმნიდა, რომ კომფორტულად მეგრძნო თავი... თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ მანქანასაც მიგზავნიდა ხოლმე გადაღებაზე წასასვლელად. ვმეგობრობდი მის შვილთან, თემურთან, თემურის მეჯვარეც კი ვიყავი, როცა დაქორწინდა. მოკლედ, „ქვეშიდან“ ვერ გამოვედი და ვითამაშე. ასეთი შემთხვევებიც იყო, რასაკვირველია. მსახიობის პროფესიაც ხომ ეგ არის. შენ არავინ გეკითხება, რისი თამაში გინდა და რისი არა. თუმცა მაქსიმალურად ვცდილობდი, ის არ მეთამაშა, რაც ნაკლებად დამაინტერესებდა.

– თქვენ ბატონ პიერ კობახიძესთან ურთიერთობა ახსენეთ, ანუ მეგობრობდით უფროს თაობასთან...

– პიერთან ვძმაცაცობდი, იგივე გრიშა კოსტავასთან, არაჩვეულებრივი სამეგობრო ჰყავდა, ყველას ვიცნობდი... გრიგოლ კოსტავა საოცარი ადამიანი იყო, დახვრეტას რამდენჯერმე გადაურჩა. ცალი თირკმელი და ფილტვი ამოღებული ჰქონდა. ცოლი მე მოვაყვანიე. ქუჩაში მისი შვილი, დათო რომ გარბოდა, ვერ მისდევდა. ხუმრობდა: ამ შობელძალს ჰგონია, მამამისი 20 წლისაა, დევნა და სირბილი სად შემოძლიაო. თუნდაც ჩემი ერთ-ერთი პედაგოგი, თეატრისა და კინოს განუმეორებელი დიდოსტატი ბატონი აკაკი ხორავა, დიდი პიროვნება იყო. სუფრასთან კარგად მოილხენდა, ფულის გადახდას ვერავინ დაასწრებდა, კარგადაც მღეროდა. სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, კოჯორ-ტაბახმელასთან მე-11 არმიის წინააღმდეგ იუნკერების გვერდით იბრძოდა. ბევრმა არ იცის-მეთქი, მაგრამ ბერიამ ეს კარგად იცოდა... თუმცა ხორავა ძალიან დიდი პიროვნება იყო და ხელს ასე ადვილად ვერავინ ახლებდა... ალბათ...



რეჟისორები

– თქვენი რეჟისორი გყავდათ? ხომ არსებობდა ტანდემი, მაგალითად, კოტე მარჯანიშვილი – უშანგი ჩხეიძე, ანდა იგივე რობერტ სტურუა – რამაზ ჩხიკვაძე... თენგიზ არჩვაძის გასწვრივ რომელ რეჟისორს მიაწერდით?

– კინოს მიხედვით, ალბათ, შოთა მანაგაძეს, ფაქტობრივად, ადამიანს ჩემ გარეშე ფილმი არ გადაუღია. თუმცა ბოლოს „თვალი პატიოსანი“ რომ გადაიღო, იმ როლში, რომელსაც სცენაზე თითქმის ათი წელი ვთამაშობდი, ბუბა კიკაბიძე აირჩია. მერე ისევ მე დამიძახა და გამახმოვანებინა. გიგა ლორთქიფანიძესთან თითქმის ყველა ფილმში ვითამაშე, მარტო „დათა თუთაშხია“ და „ნიგნი ფიცისა“ 12 სერია იყო ერთად, მერე – „პრემიერა“... აგერ ბოლოსკენ – ნოდარ დუმბაძის „უმაღური“, „ტელეიმედში“ რომ გადავიღეთ. გიგა ამბობდა, ქართველებმა საკუთარის დაფასება რომ არ ვიცითო, თორემ იგივე „უმაღური“ რითი ჩამოუვარდება „მოხუცი და ზღვასო“... რა გითხრა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. რაც შეეხება თეატრს, ვერ ვიტყვდი, რომ ასეთი გამორჩეული რეჟისორი მყოლოდა, შემოქმედებით ტანდემად რომ ვინოდებოდეთ. რამდენიმე კონკრეტულ სამუშაოზე ტანდემი შემდგარა, ანუ ძალიან ზუსტად გაგვიგია ერთმანეთისთვის.

– მაგალითად?

– მაგალითად, იგივე თემურ ჩხეიძე. მასთან სულ ორჯერ მომიწია ურთიერთობა, ერთხელ ილია ჭავჭავაძეზე მუშაობისას, მეორედ კი მის სპექტაკლში „ისევ ამქვეყნად დავრჩები“ ნოდარ დუმბაძის „დიდროს“ ვკითხულობდი. ორივე შემთხვევაში მგონია, რომ ტანდემი შედგა. და მეც, როგორც მსახიობი, საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობდი თავს. მე ცოტა მძიმე ხასიათის არტისტი ვარ. მოგისმენ ყურადღებით, ზუსტად უნდა ვიცოდე, რა გინდა შენ – რეჟისორს, მერე უკვე უნდა მიმიშვა, რომ თანაშემოქმედად ვიქცე და არა შემსრულებლად მხოლოდ. თემურთან ორივე შემთხვევაში ეს განვიცადე. ხატვით როცა ვიყავი გატაცებული, როცა მასალა საშუალებას მაძლევდა, ფართო ფუნჯით მიყვარდა მუშაობა... ფერწერა სხვა რამეა, სცენაზე ყველა როლს არ უხდება მსუყე ფერებით მუშაობა. როცა მე რეჟისორისგან ზუსტად ვიგებ, რა უნდა და მეც ავენთები მისი ამოცანის შესასრულებლად, რეჟისორი უკვე იმისთვის მჭირდება, რომ მიმართულებიდან არ გადავიდე გვერდზე, სწორად უნდა მმართოს, თორემ, თუ მთელი ინიციატივა ჩამომართვა, მაშინ მე რაღა საჭირო ვხდები?





კოლეგებთან ერთად.
პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე თენგიზ არჩვაძე





მარჯანიშვილის თეატრის დასთან ერთად.
პირველი რიგის ცენტრში თენგიზ არჩვაძე





„ასის წლის წინათ“

თემურ ჩხეიძე

სრულიად უნიკალური თვისებების მატარებელია თენგიზ არჩვაძე. ეს სცილდება მსახიობის პროფესიას. დააკვირდით, თენგიზი ყველა კატეგორიის მაყურებელს უყვარს. ბევრი პიროვნულად არ იცნობს, მაგრამ უყვართ. მასში არის რაღაც ღვთისაგან ბოძებული დადებითი მუხტი, რომელიც ანდამატივით იზიდავს ადამიანებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის. რაც დრო გადის და ასაკი მემატება, ამას მით უფრო ვაფასებ. ეს ის არის, რასაც ავტორი ვერ შექმნის, ვერც რეჟისორი მოეხმარება – ვერც დადგამ, რადგან ვიმეორებ, ეს „რაღაც“ არის ღვთისაგან ბოძებული თანდაყოლილი რამ.

როგორ როლსაც გინდა თამაშობდეს, თუნდაც უარყოფითს, მის მიმართ ყოველთვის გიჟდება ადამიანური სითბო და სიყვარული. ამანაც დიდად განაპირობა ჩემი გადანწყვეტილება, მას „მგზავრის წერილებში“ ილია ეთამაშა. დიდი მწერლის ნაწარმოების სცენაზე გადატანას ყოველთვის აკლდება რაიმე. თავს ვაძლევ უფლებას, ვთქვა, რაც თენგიზმა ამ როლში შეძლო, ხარისხობრივად, ორიგინალს არანაირად არ ჩამოუვარდება, თვისობრივად კი არა, ხარისხობრივად! სცენაზე იდგა პიროვნება, რომელიც, რასაც ამბობდა, გჯეროდა, რომ აბსოლუტურად მისი ნააზრევო იყო. ეს ძალზედ იშვიათად ხდება. „მგზავრის წერილებში“ კი მოხდა ბედნიერი დამთხვევა – სრული გაიგივება გმირისა ავტორთან, ყველაფერი სწორედ თენგიზ არჩვაძის პიროვნულმა ხიბლმა, აზროვნებამ და „რაღაც“ ანდამატმა განაპირობა. რეჟისორისათვის ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?



„დიდრო“

– მე კარგად მახსოვს თქვენი წაკითხული „დიდრო“...

– ძალიან დატენილი შემოვდიოდი სცენაზე და მერე ძალიან ვიცლებოდი. აი ამ პროცესში მჭირდებოდა რეჟისორისგან, ჩემი ემოციის სწორი მიმართულება მიმელო და მგონია, რომ მივიღე კიდეც, ამიტომაც აღვნიშნე თემურთან მუშაობა. ხშირად ყოფილა, როცა ამ ყველაფრისთვის ვცდილობდი, მე თვითონ მიმეხედა, თუმცა შედეგში როგორ აისახა, არ ვიცი. აქ კი, გარდა დიდი სულიერი და ფიზიკური დატვირთვისა, საოცარ შემოქმედებით სიამოვნებას ვიღებდი. შეგრძნებაც კი მახსოვს, დასასრულისკენ რალაცნაირი უსუსური ვხდებოდი (გამომეტყველება ეცვლება). თითქოს გამოფიტულიც კი...

– ისე, ახლა, როცა ამ ამბავს იხსენებდით, გამომეტყველებაც კი შეგეცვალათ...

– ეგრეა. მახსოვს, სოხუმში წავიღეთ გასტროლზე ეგ სპექტაკლი და ისეთი ოვაცია გაგვიმართეს მაყურებლებმა, რომ...

– სულიერი და ფიზიკური დატვირთვა ახსენეთ. განა ამ ყველაფრის გარეშე შეიძლება არტისტობა?

– ვისთვისაც შეიძლება, ის ალბათ არტისტიც არ არის. მსახიობმა თავისი გმირის ხასიათი კარგად უნდა შეისწავლოს, ბოლომდე უნდა ჩასწვდეს მას. მერე კი ეს გმირი ისე ახლობელი ხდება, რომ შეიძლება ვერც გაარჩიო – ეს „შენ“ ხარ თუ „ის“.

– ალბათ ამიტომაც როლზე ხშირად ამბობდით ხოლმე უარს, არა?

– როლზე უარი ბევრი რამის გამო მითქვამს, მაგრამ ფინანსური ინტერესების გამო – არასოდეს. თუ დამიჯერებთ, ცხოვრებაში ფული არასოდეს დამითვლია. როგორც მოგახსენეთ, უარს ვამბობდი იმ შემთხვევაში, როცა ნაწარმოები ან გმირი არ მომწონდა. უარყოფითი გმირიც კი გამოკვეთილი, სრულყოფილი უნდა იყოს და ესთეტიური ჩარჩოებიდან მთლად ამოვარდნილი არ უნდა ჩანდეს. მძაგს დაბალი დონის ნაწარმოები, რომელთა ინსცენირება თუ ეკრანიზაცია მაყურებლის გემოვნებას აქვეითებს. არც თავხედობა მომწონს სცენიდან თუ ეკრანიდან, არადა, ახლა ამას რატომღაც დიდი მაზანდა აქვს.

– უარნათქვამი როლებიდან რომელიმეზე ხომ არ გწყდებათ გული?

– როლებზე არა. ისე, ბევრ რამეზე მწყდება გული. რის გაკეთებაც მსურდა, იმისთვის რატომღაც არც დრო მყოფნიდა და არც პირობები. ხელოვნებაში ყველაზე მეტად საკუთარი პიროვნებაა გადამწყვეტი. ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს ვერ დააბრალებ. სუბიექტურმა ფაქტორებმა, საკუთარმა თავმა უფრო მეტად შემიშალა ხელი (პაუზა).

...რას იზამ?! ასეთი ყოფილა ცხოვრება!



პარტნიორები

– თქვენს პარტნიორებს როგორ გაიხსენებდით?

– მსახიობისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის მისი პარტნიორი. პარტნიორები თუ ერთმანეთს დიდ პატივს არ სცემენ, არაფერი გამოვს, ერთ საქმეს ვერ გააკეთებენ. მე ამ მხრივ ბედმა გამიღიმა!



„მარინე“. გიორგი შავგულიძე, თენგიზ არჩვაძე

– თქვენ იმდენი როლი განასახიერეთ სცენასა თუ ეკრანზე, რომ თქვენი პარტნიორებისგან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სამსახიობო ძალის დასი შეიკვრებოდა...

– ჩემი პარტნიორები იყვნენ ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, ალექსანდრე ომიადე, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ჟორჟოლიანი, მედეა ჯაფარიძე, ლიანა ასათიანი, სოფიკო ჭიაურელი, ლია ელიავა... რომელი ერთი ჩამოვთვალო – ქართული თეატრისა და კინოს ნალები. ეს პიროვნებები ჩვენი სცენისა და ეკრანის ისტორიას ქმნიდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც ქმნიან.

– რა ზუსტი ნათქვამია, ახლაც ქმნიანო...

– აბა როგორ? ნიჭი არ იკარგება. ის არსებობს. ზემოქმედების ძალაც არსებობს. ძველი კინოსურათებისა თუ გადაღებული სპექტაკლების ყურებისას, ვერ გრძნობთ, რამხელა ენერგეტიკა მოდის ნიჭიერი არტისტების შესრულებული როლებიდან? ასეა, ჩემო ბატონო, ხარისხიანი შემოქმედების ნაყოფი დროს უძღვება და ზემოქმედებს კიდევ მაყურებელზე.





„დედა“. თენგიზ არჩვაძე, ვერიკო ანჯაფარიძე



თენგიზ არჩვაძე კოლეგებთან ერთად.
მეორე რიგში მარცხნიდან მეორე დოღო ჭიჭინაძე



დოდო ჭიჭინაძე

თენგიზ არჩვაძე ეს არის ჩემთვის უჭკვიანესი, ულამაზესი, უნიჭიერესი, უდიდესი მსახიობი. იგი მე ძალიან მიყვარს. იგი უყვარს მთელ საქართველოს. ჩვენ ხუთი ათეული წელი ერთად ვმოღვაწეობდით მარჯანიშვილის თეატრში და ქართულ კინოში.

მან მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლში „ასის წლის წინათ“ ილია ჭავჭავაძე განასახიერა (რეჟისორი თემურ ჩხეიძე).

სცენაზე იდგა ნამდვილი ილია, ქართველი ხალხის სულიერი მამა. მე პირველად მაშინ ვნახე ცოცხალი ილია და განცვიფრებული, გაკვირვებული მივჩერებოდი მას.

დიდი მადლობა ჩემს თენგიზს ასეთი ბედნიერი წუთების მონიჭებისათვის.

თენგიზ არჩვაძემ უამრავი მთავარი როლი ითამაშა თეატრსა და კინოში, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა ერთი – ღმერთმა უმრავლოს სრულიად საქართველოს თენგიზ არჩვაძის მსგავსი ადამიანები.

ამინ! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.



„კვაჭი კვაჭანტირაძე“.

ვლადიმერ ცხვარიშვილი, თენგიზ არჩვაძე, დოდო ჭიჭინაძე



კოტე თოლორაია

თენგიზ არჩვაძე ჩვენი თეატრალური სამოს ერთ-ერთი გამორჩეული წევრია. მის შემოქმედებას, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩემი კოლეგისას, ყოველთვის დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს, თუმცა თენგიზის მიმართ მაინც განსაკუთრებული ინტერესი მქონდა და ასევე განსაკუთრებულად ვგულშემატკივრობდი ხოლმე. ჩვენ უბნელები ვიყავით, მე მასზე 7 წლით ვარ უფროსი, 7 წელი კი საკმაოდ დიდი სხვაობაა ხოლმე პატარაობისას. აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად ჩემს ხელში გაიზარდა და ჩემ თვალწინ ჩამოყალიბდა ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად.

სიმართლე გითხრათ, მისი ჩავარდნილი როლი არც მახსოვს. რასაკვირველია, ზოგი მაყურებელმა შეიყვარა განსაკუთრებულად, ზოგიც კრიტიკოსების დიდ მოწონებას იმსახურებდა, თუმცა მის მიერ შესრულებული არაფრით გამორჩეული როლი არ მახსენდება.

საერთოდაც, როდესაც ერთგვარად ვაჯამებ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას (ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, რომ სწორედ კარგი დროა „შეჯამებისთვის“), თენგიზზე მხოლოდ აღმატებულ ხარისხში უნდა ილაპარაკო. მას ამ რთულ ცხოვრებაში, რთული ურთიერთობების ხანაში, შეცდომა პრაქტიკულად არ დაუშვია. არასდროს უკადრებია, ესარგებლა საკუთარი პოპულარობითა თუ მაყურებლის აღიარებით. არანაირმა ჯილდომ, როლების სიმრავლემ არც გააყოყნა და არც ზემოდან დაუნყია ყურება ვინმესთვის. თენგიზი ისეთივე ერთგული მეგობარი დარჩა, როგორიც იყო სულ პატარა, შორეული ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ისეთივე ან-

თებული თავისი სამშობლოს, ოჯახის, საყვარელი საქმის მიმართ, როგორიც იყო მაშინ, როცა შეიცნობდა ამ სამყაროს. მინდა, რომ კიდევ დიდხანს იყოს, მხნედ იყოს და თუ ახალი ნამუშევრითაც გაგვახარებს, ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ საამისოდ შემოქმედებითი რესურსი თენგიზს ჯერ კიდევ შერჩენია.



კოტე თოლორაია. ავტორი თენგიზ არჩვაძე





„მე ვხედავ მზეს“.
ქეთევან კიკნაძე, თენგიზ არჩვაძე



„მილიარდერის ვიზიტი“.
სოფიკო ჭიაურელი, თენგიზ არჩვაძე



„ძველი ვალსი“.
თენგიზ არჩვაძე, მედეა ჯაფარიძე




„სოკრატე“.

ირაკლი უჩანეიშვილი, თენგიზ არჩვაძე



„კვაჭი კვაჭანტირაძე“.

თენგიზ არჩვაძე, ვლადიმერ ცხვარიაშვილი



„დღის წესრიგშია ერთი საკითხი“.

თენგიზ არჩვაძე, ტარიელ საყვარელიძე

თამარ სხირტლაძე

თენგიზი და მე არა მარტო კოლეგები და მეგობრები, ნათესავებიც ვართ. ის ხომ დედით სხირტლაძეა. მრავალძალიდან მოდის ეს გვარი და ყველა ერთმანეთის ნათესავები ვართ. ჩემს მეუღლეს – კოტე თოლორაიას თენგიზი პატარაობიდან იცნობდა, უბნელები იყვნენ, თუმცა რაც ჩვენ დავქორწინდით, იმას სიძეს ეძახდა ხოლმე.

თენგიზ არჩვადესთან ერთად გავიარე მთელი ცხოვრება. ყველა თეატრში ერთად ვიყავით. ჯერ მარჯანიშვილში, შემდეგ – რუსთავეში, ერთხანს, ორივენი სერგო ზაქარიაძის თხოვნით – რუსთაველის თეატრშიც კი და შემდეგ, დღემდე – ისევ მარჯანიშვილის თეატრში.

მე სიტყვებით მიჭირს, გადმოვცე, რა სიყვარული და მეგობრობაა არა მარტო ჩვენ შორის, არამედ მთლიანად ჩვენს ოჯახებს შორის. თენგიზს სწორედ ოჯახის წევრად აღვიქვამ. ამიტომაც ზოგჯერ, როგორც ძალიან ახლობელს, ავუჯავჯლანდები კიდეც, თუმცა იცის, როგორ მიყვარს და არასოდეს არ ბრაზობს ჩემზე. სხირტლაძის ქალები როგორ ყველა ერთნაირები ხართო, – მეხუმრება.

როგორც კოლეგამ და პროფესიონალმა, მინდა გითხრათ, რომ ის ძალიან კარგი მსახიობია, ძალიან ღრმა, ერუდირებული, მრავალმხრივი. მის ნიჭიერებას დაუმატეთ გარეგნობა, ხმა, წარმოთქმა... ახლა ინტელექტი?! უსაზღვროდ განათლებული ადამიანია. განსაკუთრებით ეთაყვანება ქართულ პოეზიასა და პროზას. საერთოდაც, ქართული სულის მატარებელი კაცია. ჩვენ ერთად ბევრ სპექტაკლში ვთამაშობდით, თუმცა სპექტაკლი „ასის წლის წინათ“, რომელიც თემურ ჩხეიძემ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგა, გამორჩეულად ჩამრჩა მეხსიერებაში. მე ოთარაანთ ქვრივს ვთამაშობდი ამ სპექტაკლში, თენგიზი – ავტორს, ანუ თავად ილია ჭავჭავაძეს. ალბათ წარმოგიდგენიათ, რა რთული იყო ამ როლის თამაში მისთვის, მაგრამ თენგიზის აქტიორული ნიჭისა და პიროვნული ხიბლის წყალობით მაყურებელმა განსაკუთრებულად სწორედ ეს სახე შეიყვარა.

კინოში მის როლებზე რა უნდა ვილაპარაკო. ის ხომ უბადლო კინოვარსკვლავია. საერთოდაც, იშვიათია მსახიობი, რომელიც ასე უყვარს მაყურებელს, ასეთ პატივს სცემს. ეს ბედნიერება ჩემს თენგიზს ნამდვილად აქვს.



გიზო სიხარულიძე

პირველად პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დრამატულ წრეში შეგხვდი. მაშინ ჩვენ ბრუნშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი“ დავდგით. ეს იყო 1946-48 წლები. შენ ბრწყინვალედ თამაშობდი მოხუც კაცს, გადიას. „გავიდა ერთი დღე, გავიდა ორი დღე, მესამე დღეც გავიდა“, – ჰყვებოდა გადია ზღაპრებს. გავიდა ერთი წელი, გავიდა ორი წელი, აგერ 70 წელი გასულა და ჩვენ ისევ ის ბიჭები გვგონია ჩვენი თავი, პიონერთა სასახლეში რომ გულათრთოლებულე-ბი გავდიოდით სცენაზე. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთისთვის მაინც იმ ბიჭებად დავრჩით. ერთად გავიარეთ ბავშვობაც და შემოქმედებითი ცხოვრებაც.



„ფსკერზე“.

თენგიზ არჩვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიზო სიხარულიძე



ერთხელ, გახსოვს, რაჭაში დედუღეთში წამიყვანე – სოფელ მთისკალთაში. ეს სხირტ-ლაძეების სოფელია. იქ მრავალძალის ეკლესია დგას და ამიტომ სოფელს მეორე სახელად მრავალძალსაც ეძახიან. რამდენიმე წლის წინ მიწისძვრის შედეგად ეს ბრწყინვალე ეკლესია დაინგრა და მისი აღდგენა მხოლოდ სხირტლაძეებმა ითავეს. ეს ყველაზე მაღალი სოფელია რაჭაში. არჩვაძეების სოფელი კი ბარია. ერთი კვირა ვეცნობოდი რაჭის დიდებულ ბუნებას, მის სტუმართმოყვარეობასა და მშვენიერ ხვანჭკარას.

მარჯანიშვილის თეატრში, მახსოვს, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ იდგმებოდა, სადაც მე ბერდიდს ვთამაშობდი, შენ – მეფეს. ო, როგორი დიდებული იყავი.


მინდა, იოსებ გრიშაშვილის ლექსის სტრიქონებით შემოგლიღინო: „შემოგაბერდი, შემოგაბერდი“... დიდი გზა გავიარეთ, ბევრი სიხარული გვინახავს. ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს შენი გულმართლობა, ხატრიანობა და პატიოსნება. ერთ რამეში ვერ გეწყობი მხოლოდ – ძალიან გიყვარს ფეხით სიარული, მთელი ქალაქის შემოვლა შეგიძლია.

ღმერთმა დიდხანს გატაროს ამქვეყნად და დიდი დღე მოგცეს, ჩემო თენგიზ! იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი, ჩემი ბავშვობის ტკბილო მეგობარო.

გფარავდეს შენი მრავალძალის მადლი.



კოტე მახარაძე, მალხაზ ბებურიშვილი, ანზორ ქუთათელაძე, იაკობ ტრიპოლსკი, კონსტანტინე მარჯანიშვილი (უმცროსი), დიმიტრი ალექსიძე, მარინე თბილელი, უცნობი ქალბატონი, ნოდარ მახათელი, თენგიზ არჩვაძე, პავლე ინწკირველი



სცენა სპექტაკლიდან „ტაიფუნი“

მედეა ჩახავა

თენგიზი ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნება, ჩინებული მოქალაქე, ნიჭიერი შემოქმედია. მე ნამდვილად მწყდება გული, შემოქმედებითად რომ ვერ შევხვდი სცენაზე, კინოში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელი არ შეუშლია, ის დამენახა, როგორც ბრწყინვალე მასალა ყველა რეჟისორის ხელში. ძალზე ბედნიერი ვიყავი, როცა თენგიზმა ჩემს შვილთან, თემურ ჩხეიძესთან შექმნა ბრწყინვალე სახე გენიალური ილია ჭავჭავაძისა. ეს იმდენად ცოცხალი და ღირებული შემოქმედება იყო, რომ, როცა ილიას წარმოვიდგენ, უმაღლეს თენგიზი მახსენდება ამ როლში. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთ შემოქმედს არა აქვს თავის შესაძლებლობათა სრულად რეალიზების საშუალება.

ლმერთმა უმრავლეს ჩვენს ერს თენგიზისნაირი პიროვნებები – საინტერესო შემოქმედი, კეთილშობილი ვაჟკაცი, სრულიად თავისუფალი და დიდებული სულით...

მე ბედნიერი ვარ, რომ თენგიზი გვყავს.





საგასტროლო მოგზაურობაში. ვასო გოძიაშვილი, ალექსანდრე ომიადე,
თენგიზ არჩვაძე, კოტე თოლორაია

რუსთავის თეატრი

– როცა რუსთავის თეატრი შეიქმნა, თქვენც აღმოჩნდით იმათ რიცხვში, ვინც თეატრის უფროს თაობას დაუპირისპირდა...

– რალა დაგიმალო და არაფერი საერთო არ მექონია არანაირ კონფლიქტურ სიტუაციებთან. კინო ამ მხრივ ძალიან მშველოდა. მაშინაც მახსოვს, ყაზბეგში ვიყავით დაბანაკებული და გადაღებებზე გავდიოდით ხოლმე ოსეთში. იქ ყაზბეგის სასტუმროში მივიღე რეზო ხობუას დეპეშა, სადაც მწერდა, რომ ასე და ასეა საქმე, ჩვენ მივდივართ და შენც ჩვენთან ერთად გიგულისხმეთო. ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით: რეზო, მეღვინე, ბერიკა, ნოდარ მგალობლიშვილი, კოტე თოლორაია და თამარა, თენგიზ მაისურაძე... სწორედ თენგიზ მაისურაძეს მოუწერია ხელი ჩემ მაგივრად იმ საერთო განცხადებაზე. მე რომ გადაღებებიდან დავბრუნდი, ესენი გიგა ლორთქიფანიძის მეთაურობით უკვე ამზადებდნენ რეპერტუარს თეატრისთვის. „სირანო“ და „ასი წლის შემდეგ“ დადგეს. მახსოვს, პრემიერას მე და გივი კარტოზია ვესწრებოდით ერთად.



რუსთავის თეატრის დასთან ერთად.
მესამე რიგი, მარცხნიდან მეხუთე თენგიზ არჩვაძე



– პირველად თქვენ რომელ სპექტაკლში ითამაშეთ რუსთავის თეატრში?

– „ფსკერზე“.

– „ფსკერზე“ მარჯანიშვილის თეატრში ხომ გქონდათ ნათამაშევი?

– კი. მარჯანიშვილში ლილი იოსელიანმა დადგა, თუმცა იქ მე ბარონს ვთამაშობდი, რუსთავში უკვე გიგა ლორთქიფანიძემ და ნუგზარ გაჩავამ დადგეს. ბარონს იმ სპექტაკლში ირაკლი უჩანეიშვილი თამაშობდა. მე ვასკა პეპელის როლზე შემიყვანეს. ოთარ სეთურიძე თამაშობდა და მეც მათამაშეს შემდეგ. ეგ იყო დებიუტი რუსთავის თეატრში. შემდეგ მოსკოვის მცირე თეატრში ვიყავით მაგ სპექტაკლით გასტროლებზე. ძალიან მოენონათ ჩვენი დადგმული გორკი რუსებს.

– ისე, ქალბატონი ლილის მონათხრობიდან ვიცი, რომ მარჯანიშვილის სპექტაკლსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა მაშინ. იგივე ქალბატონი ვერიკო ძალიან გაქებდათ.

– ჰო, ალბათ. თუმცა მაშინ ჩვენი ქება ვილაცებთან დაპირისპირებისათვის უფრო იქნა გამოყენებული სამწუხაროდ. საერთოდაც მე მიმაჩნია, რომ თეატრს თანამოაზრეები ქმნიან და რაც მთავარია, ერთი თაობისა და ერთი ქუჩის ხალხი. თეატრში უნდა არსებობდნენ უფრო-სებიც, შუა თაობაც, ახალგაზრდებიც, თუმცა თეატრი განვითარების რაღაც ეტაპზე მაინც ერთი გუნდით, თაობით, საკუთარი სათქმელითა და თანამოაზრეობით იქმნება. ასე შეიქმნა თავის დროზე მარჯანიშვილის თეატრი. კოტე მარჯანიშვილმა ეს შეძლო, თაობას მიანდო თეატრის ძირითადი ტვირთის ზიდვა და გაამართლა კიდეც. ახმეტელმა ვერ მოახერხა. თაობათა ბრძოლა ყველა დარგშია ხოლმე და თეატრში ეს უფრო გამოკვეთილად ჩანს. იგივე რუსთავში ჩვენი წასვლა და ის წარმატება, რაც ამ თეატრს ჰქონდა, თანამოაზრეთა ერთიანი განაცხადი რომ იყო, ამით გახდა ალბათ უფრო მნიშვნელოვანი.

– თქვენს როლებში ბევრი ისტორიული პერსონაჟია, მაგალითად, არსაკიძე, მეფე ერეკლე, ალექსანდრე მეფე, რასპუტინი თუ სხვა, მათ პარალელურად, ძალიან აქტიურად თამაშობდით თქვენს თანამედროვეებს...

– და უფრო მეტი ინტერესითაც, რადგან მანდ უფრო თავისუფალი ვიყავი. ჩემი თანამედროვე კაცის განსახიერებისას საკუთარ სხეულს მხოლოდ მასალად ვიყენებდი და მეტი თავისუფლებაც და გასაქანიც მქონდა შეთხზვისა და იმპროვიზაციის. ისტორიულ პერსონაჟებთან გარკვეულ ჩარჩოსაც ვგრძნობდი და სხვა პასუხისმგებლობასაც. თითქოს მათ რაღაცეებს „ვერ ვუბედავდი“, რასაც თანამედროვე პერსონაჟების შემთხვევაში ადვილად ვახერხებდი.



გიგა ლორთქიფანიძე

თენგიზი გამოირჩევა მომხიბლავი მამაკაცური გარეგნობით, სიდარბაისლით. ის მართლაც შესანიშნავი მსახიობია. იშვიათად შემხვედრია ასე ჩამოყალიბებული პიროვნება, ყველა საუკეთესო თვისებით, რაც შეიძლება ქართველ კაცს ჰქონდეს. ფანატიკოსი პატრიოტია. ისე იცის საქართველოს ისტორია, ბევრ სპეციალისტს შეშურდება. თენგიზი გასაოცარი მეგობარია, უფაქიზესი სულის კაცი, ძალზე ადვილად შეიძლება დაკოდო მისი გული. ადამიანების მიმართ ზედმინვნით უშურველია და, რაც მთავარია, თავის პროფესიაში მეტად გამორჩეული, ის უმაღლესი ინტელექტის მატარებელი პიროვნებაა, ნაკითხი, ჭკვიანი, დაფიქრებული ბუნების.



„მე ვხედავ მზეს“



თეატრი თუ კინო?

– თეატრი თუ კინო?

– თეატრი! იცი, მაყურებელი, ჩაბნელებული დარბაზი, მუდამ ხახადაღრენილ გველეშაპს მაგონებს. გამოდიხარ სცენაზე და იცი, საკმარისია ერთი დაუფიქრებელი, არაზუსტი ნაბიჯი ან სიტყვა და, მაშინვე გველეშაპის ხახაში ამოყოფ თავს და შენც მთელი ძალ-ლონის დაძაბვით ცდილობ, ხელიდან დაუსხლტე აშკარა დაღუპვას. წვალობ, ჭირის ოფლში იწურები, და თანდათან, შენდა გასაოცრად და გასახარელად ატყობ, რომ გველეშაპი შინაურდება, გადაყლაპვით აღარ გემუქრება და პირიქით, შენი სურვილების მორჩილი ხდება. და შენც მართავ მას ისე, როგორც მოგესურვება, მომთვინიერებელივით. ასე მეორდება ყოველი გამოსვლისას სცენაზე – გინდა, შეჩვეული იყოს როლი და გინდა, შეუჩვეველი. აი, სწორედ აქ იმალება ის უღრმესი აზარტი, რომელსაც, თუკი ერთხელ ეზიარება მსახიობი, მერე სამუდამოდ მისი ტყვე რჩება. ცხადია, რაც უფრო კარგად შეგიძლია „გველეშაპის“ მოთვინიერება, მით უფრო კარგი მსახიობი ხარ, კინოგადაღებისას ასეთი წამლეკავი აზარტი საეჭვოა, რომ ესტუმროს მსახიობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს თავზე ვლაპარაკობ. ამიტომაც მირჩევნია თეატრში თამაში. ეჰ, საკმაოდ სევდიანი პროფესიაა მსახიობობა.



„ანარეკლი“



„გმირთა ვარამი“







სცენა სპექტაკლიდან „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“




„დიდი იმედები“, თენგიზ არჩვაძე, ალექსანდრე იოსელიანი





„მილიარდერის ვიზიტი“



„მილიარდერის ვიზიტი“.
თენგიზ არჩვაძე, თამილა ლასხიშვილი



ყვითელი ინტერვიუ

– ბევრი გეტრფოდათ?

– რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცი. წერილები კი მომდიოდა, მაგრამ არ ვხსნიდი, მეუღლე კითხულობდა, მე არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილებში... უმეტესად ქალები მწერდნენ. წერილებს, როგორც გითხარი, ჩემს მეუღლეს ვაძლევდი – შენ უპასუხე-მეთქი. დღეში რატომ ასი წერილი არ მომდიოდა, მაგრამ არ მალიზიანებდა, მყვირალა სიტუაციებიდან ყოველთვის იოლად ვახერხებდი თავის დაძვრენას.

– ანუ თაყვანისმცემლებს არ უჩივით...

– დღესაც, ბაზარში თუ ტრანსპორტში როცა მცნობენ და პატივისცემის გამოხატვა სურთ, თავს უხერხულად ვგრძნობ, მსურს, განვერიდო. ერთ ასეთ ამბავს გავიხსენებ: სამარშრუტო ტაქსით რომ ვმგზავრობ ხოლმე, მგზავრობის ფულის გადახდას არ მაცლიან, ხან თავად მძღოლები არ მართმევენ ფულს. განსაკუთრებით უხერხულად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა ქალბატონები ამჟღავნებენ მსგავს პატივისცემას. ჰოდა, ერთხელაც, ნასვამმა და საკუთარ თავზე გაჯავრებულმა, თითქოს გამოწვევა მივიღე და სამარშრუტო ტაქსის მთელ შემადგენლობას პატივი ვეცი – „ყველასი გადახდილია-მეთქი!“

– თქვენთვის ქალის იდეალი როგორი ქალია?

– ქალის იდეალად ოთარაანთ ქვრივის სახე დარჩა ჩემთვის. მას ძალიან ჰგავდა ბებიჩემი ნატო, რომელიც ოცდაშვიდი წლის ასაკში დაქვრივდა და ხუთი შვილი გაზარდა ღირსეულად. ამიტომ დავარქვი ჩემს უფროს ქალიშვილს მისი სახელი. ბიჭი რომ მყოლოდა, აუცილებლად ბაბუაჩემის, დავითის სახელს დავარქმევდი. ქალის იდეალს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფიზიკური გარეგნობა არ აყალიბებს. დიახ, ქალი მშვენიერი უნდა იყოს, მაგრამ უფრო მეტად თავის ღირსებას უნდა სცეს პატივი, ოჯახის ერთგული უნდა იყოს, ბურჯი უნდა იყოს ოჯახისაც და, აქედან გამომდინარე, ერისაც.

– ცხოვრების თავიდან დაწყების შემთხვევაში, მსახიობობას აღარ ისურვებდით?

– სხვათა შორის, ერთხელ მცხეთაში, ვახშმობისას, „დათა თუთაშხიაში“ გრაფი სეგედის როლის შემსრულებელმა, ცნობილმა ესტონელმა მსახიობმა იური იარვეტმა ზუსტად იგივე მკითხა... (ეცინება)



– რა უპასუხეთ?

– ვუპასუხე, რომ კვლავაც მსახიობობას ავირჩევდი. მერე მე ვკითხე: თქვენა-მეთქი? მე, ალბათ, არაო, – მითხრა იარვეტმა, – ნამეტნავად ბევრი ჭკუის მასწავლებელი გეყავს მსახიობებს და იმიტომო. დამაფიქრა ამ სიტყვებმა. რაღა დავმალო, მართალიც მეჩვენა, მაგრამ... მე მაინც მსახიობობას ავირჩევდი.

– ერთი სიტყვით რომ მითხრათ, როგორი ხასიათი აქვს თენგიზ არჩვაძეს?

– ჯიუტი ვიყავი, ახლაც ჯიუტი ვარ. შინაგან მრწამსს არ ვლაღატობდი და არც არაფერს ვთმობდი. ახლაც „რა გინდ რომ ავი მომკერძონ, ბილწთ არ შავეკერი ზავითა“... თუ თავისუფალი არ ვარ, რასაც ვაკეთებ, იმ საქმეში, დაუმორჩილებელი ვხდები და განზე გადგომა ვიცი.



„მამლის ყვილამდე“. თენგიზ არჩვაძე, სოფიკო ჭიაურელი



ოჯახი





ნელი ფილიაშვილი, თენგიზ არჩვაძე

ნელი
„დამსკი პარტნოი“
ნატო არჩვაძე
ანა ქეზურია
ნატუკა ხუნდაძე
ნათია არჩვაძე
მარიამ ქავთარაძე
ირინე ქავთარაძე



ნელი

– თქვენი მეუღლე, ქალბატონი ნელი ფილიაშვილი სად გაიცანით?

– ნელი ჩემს კურსზე სწავლობდა. ჯგუფელები არ ვიყავით. უფრო სწორად, მე იმ ჩემი ტრავმის გამო ერთი კურსით უკან როცა დავინიე, აი მაშინ აღმოვჩნდი ერთ კურსზე. თუმცა რა გითხრა? ინსტიტუტი მაშინ იმდენად პატარა იყო, რომ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ნელის ჯგუფელები იყვნენ ნუგზარ ანდლულაძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვები.

– ესე იგი ინსტიტუტში გაიცანით?

– კი. მქონდა ეგ ბედნიერება. (ილიმის)

– ინსტიტუტშივე იქორწინეთ?

– არა. როცა ვიქორწინეთ, მაშინ უკვე ორივე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები ვიყავით. ნელი იმ პერიოდში ბევრ სპექტაკლში თამაშობდა. პარტნიორებიც ვყოფილვართ ხოლმე ერთმანეთის. „შავთვალა გოგონაში“ მთავარი როლიც ითამაშა. გიგა ლორთქიფანიძემ დადგა „ამერიკული ტრაგედია“. იქ ერთად ვთამაშობდით.

– თუმცა ძალიან მალე წავიდა სცენიდან?

– თქვენ ხომ არ აიძულეთ, ასე მოქცეულიყო?

– ალბათ ჩემი წვლილიც იყო, თუმცა როცა ნელი თეატრიდან წავიდა, დიდი შემცირება მოხდა მაშინ და ძალიან ბევრი მისი კოლეგა და მეგობარი თეატრის გარეშე დარჩა. ნელი მაშინ ბევრს თამაშობდა და თეატრიდან წასვლა არც ემუქრებოდა, თუმცა ძალიან გაუჭირდა მეგობრების გარეშე და, საერთოდაც, ამ შემცირების შემდეგ თეატრში არ იყო კარგი სიტუაცია. მე უფრო მეტად გადაღებებზე ვიყავი ხოლმე იმ დროს და ეს ნაკლებად შემეხო, თუმცა ნელიზე ძალიან იმოქმედა.



ნელი ფილიაშვილი





ნელი ფილიაშვილი სპექტაკლში „სამსახეობა რაინდისა“





ნელი ფილიაშვილი სპექტაკლ „მედეას“ გასტროლზე

– როგორც ვიცი, ქართულ ენციკლოპედიაში მუშაობდა შემდეგ...

– ნელი თეატრალურამდე უნივერსიტეტში სწავლობდა რუსულ ფილოლოგიურზე. ორი კურსი ჰქონდა გავლილი. თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, მეც ვურჩიე, ფილოლოგობას მიჰბრუნებოდა, თვითონაც ასე გადაწყვიტა და დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი და მერე მუშაობდა სწორედ ენციკლოპედიაში.

– მოკლედ, თქვენ ეტყობა მიიჩნევთ, რომ ორი მსახიობის თანაცხოვრება ძნელია...

– ჰო, ალბათ. თუმცა, რომ გითხრა, დიდი ლაპარაკი გვექონოდა ამ თემებზე – ასეთი არ ყოფილა. ნელიმ იპოვა საკუთარი თავი ფილოლოგიაშიც, თუმცა როცა არტისტობდა, არც მაშინ უგრძნია, მგონი, თავი დაჩაგრულად.



ნელი ფილიაშვილი სპექტაკლში „ამერიკული ტრაგედია“



„ჩემი ყვავილეთი“. გიორგი გელოვანი, გრიგოლ კოსტავა, ნელი ფილიაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „მეცარი ქალიშვილები“



ნელი ფილიაშვილი სპექტაკლში
„კოლხეთის ცისკარი“



ნელი ფილიაშვილი.
ავტორი თენგიზ არჩვაძე



„დამსკი პარტნოი“

– თქვენმა ქალიშვილმა ნატომ როცა გადანყვიტა სამსახიობოზე ჩაბარება...

– (ხელი აიქნია) ოოჰ...

– არ მოგეწონათ?

– არა, რასაკვირველია.

– მისი მონაწილეობით სპექტაკლი „იდიოტი“, რომელიც ქალბატონმა ლილი იოსელიანმა დადგა და ნატო იქ ნასტასია ფილიპოვნას როლს ასრულებდა, ძალიან პოპულარული იყო სტუდენტურ სპექტაკლებს შორის, თქვენ ესწრებოდით მის პრემიერას?

– კი, შემოვედი და გამნათებლის ჯიხურიდან ვუყურებდი. ძალიან ვინერვიულე.

– რა აზრის იყავით?

– ახლა ჩამოყალიბებულ აზრს ნუ მომთხოვ. შვილს ვუყურებდი სცენაზე. მახსოვს ტკივილის შეგრძნებაც და სიხარულისაც. მეტი რა აზრი უნდა მქონოდა.

– თქვენ ეწინააღმდეგებოდით მის არჩევანს?

– მე არ მინდოდა, თუმცა რა უფლება მქონდა, შევწინააღმდეგებოდი. მე ვთქვი ჩემი აზრი, თუ გაითვალისწინებდა, ხომ კარგი, თუ არა და, ის დამოუკიდებელი ადამიანია და თვითონ უნდა მიელო გადანყვეტილება. ისე, არც არასოდეს უთქვამს, მსახიობობას რომ აპირებდა. ინგლისურში ვამზადებდით აქტიურად, მე მეგონა, უცხო ენების მიმართულებით გააგრძელებდა სწავლას. მაშინაც გადაღებებზე ვიყავი, ეგ რომ აბარებდა და ჩუმად შეუტანია საბუთები თეატრალურში, როცა მითხრეს, მე ჩემი აზრი ვუთხარი, თუმცა არ გაიზიარა.



ნათია და ნატო არჩვაძეები

– შვილებთან ურთიერთობაში მკაცრი ხარო?

– მე რა გითხრათ? ეგ მაგათ უნდა ჰკითხოთ. მინდა, მკაცრი ვიყო, მაგრამ არ გამომდის, დამთმობი ვარ. ალბათ, რიდია მთავარი. მამა-შვილის ურთიერთობაში ოქროს კვეთი უნდა არსებობდეს, როდის, რა დონეზე, რა უნდა გაღელვებდეს და რა გწვავდეს შვილთან დამოკიდებულებაში, თერმომეტრით ვერ გაზომავ და საშუალო ტემპერატურას ვერ დაადგენ. თუ ნამდვილი მამა ხარ, ალბათ, ნამდვილი უფროსი მეგობარიც უნდა იყო, გამგებიც და მასწავლებელიც, დამთმობიც და პრინციპულიც.

– როგორი გრძნობა იყო, მამა რომ გახდით?

– 25 წლისა გავხდით... მამა, მაგრამ, რაც უნდა გაგიკვირდეთ, განსაკუთრებით უფროსის კი არა, უმცროსი ქალიშვილის – ნათიას დაბადება მახსოვს. კამოზე, დათიკო ბიბილეიშვილთან მივიყვანეთ ჩემი მეუღლე. გარეთ მე და მისი ძმა – 14 წლის ყმაწვილი ველოდებით. დიდი დერეფანი იყო, იქით შესვლა არ შეიძლებოდა. მოდის დერეფანში დათიკო და მეძახის: მომილოცავს, თენგიზ-ბატონო, გოგოა, გოგოო! ისე მილოცავ, დავით-ბატონო, თითქოს პირველი გიორგი სააკაძე მყავდეს-მეთქი. ჩემი ცოლისძმა მოვიდა, რა ხდებაო... გოგოა-მეთქი და თურმე ისე მომიქნევია ხელი, ყბა ამოუვარდა... მეგონა, ხელი მოვუთათუნე და თურმე რა მიქნია, ნათიას დაბადების სიხარულმა შეგრძნება დამიკარგა.

– ბიჭი რომ გყოლოდათ, არ გინატრიათ?

– შვილი შვილია. რა განსხვავებაა? ბიჭი შვილიშვილიც კი არ მყავს, წარმოიდგინე, რომ შვილთაშვილიც გოგოა. მოკლედ – „დამსკი პარტნოი“ ვარ. (ილიმის) მე მაქვს ჩემი შვილების იმედი, მაგრამ მთავარია, მათ ჰქონდეთ ჩემი იმედი.





კოტე მახარაძის 90 წლის იუბილეზე:
თენგიზ, ნათია და ნატო არჩვაძეები



ნატო არჩვაძე

ნატო არჩვაძე

დედამ და მამამ თეატრალურ ინსტიტუტში გაიცნეს ერთმანეთი, ჯგუფელები იყვნენ, ერთად სწავლობდნენ. ისეთი წყვილი ყოფილა, ქუჩაში რომ მიდიოდნენ, ყველა თვალს აყოლებდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ეს შემდგომი ცხოვრებითაც დაამტკიცეს, ერთმანეთს შეაბერდნენ. მამაჩემი ტრადიციების დიდი მიმდევარია, ძალიან უყვარს ოჯახი. მიუხედავად იმისა, რომ ხან გვიჭირდა, ხანაც გვილხინდა, ამ ყველაფერს მათ ღირსეულად გაუძლეს. ორივე ძალიან ძლიერი პიროვნება შეხვდა ერთმანეთს და ძალიან პრინციპული, მომთხოვნი საკუთარი თავის და სხვების მიმართ. სწორედ ასეთ გარემოში დავიწყე სამყაროს შეცნობა.



* * *

რასაკვირველია, სულ პატარაობიდანვე შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში თეატრის და კინოს სიყვარული. მახსოვს იმ დროის მარჯანიშვილის თეატრი – ბატონი ვასო გოძიაშვილი, ქალბატონი მერი დავითაშვილი, ქალბატონი მედეა ჯაფარიძე... ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე, თავისთავად, ძალიან ახლობლობდა მამასთან... იმდენად ახლობლობდა, რომ სოფიკო მოანათვლინა მამას და ნათელა მიქელაძეს... მისი თაობის მეგობრები – კოტე თოლორაია, გივი ბერიკაშვილი... რომელი ერთი გავიხსენო... პრაქტიკულად, ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. მამინ ზაფხულობით თეატრი თითქმის ერთთვის გასტროლებზე მიდიოდა ხოლმე ზღვისპირეთში და მსახიობები ოჯახებით დავდიოდით, ამიტომ ჩვენ, შვილების თაობასაც, ძალიან ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს ერთმანეთთან. ასევე იყო კინოგადაღებებზეც. მამას ერთ-ერთი პირველი ფილმი „კეთილი ადამიანები“ იყო და მახსოვს, როგორ ვეჭვიანობდი მის პარტნიორზე ამ ფილმში, არაჩვეულებრივ ქალბატონზე, ნანული პირველზე. მახსოვს „ხევისბერი გოჩას“ გადაღებები. სპარტაკ ბალაშვილთან ურთიერთობას რომ ვიხსენებ, ასე მგონია, სიზმარში ვხედავ. მახსოვს ჩვენი სახლი სიონში, რომელიც მამამ სპეციალურად დაიქირავა ჩვენთვის მოსახლეობის სიახლოვეს, რომ ნატურალური რძე, რძის პროდუქტები გვექონოდა. ჩვენი სახლის სარკმლიდან დანახული გარემო ფოტოსავით მაქვს ჩაბეჭდილი მეხსიერებაში. წინ დიდი მდელი იყო, ოდნავ მოშორებით – ძველი სასაფლაო. შემდეგ ბილიკი მიუყვებოდა მთისკენ. ყოველ სისხამ დილით მამას მივყავდით ხოლმე მე და ნათია. უფრო სწორად, მე მივყვებოდი და ნათია კისერზე ეჯდა, იმდენად პატარა იყო, რომ ბალახებში იკარგებოდა. ჩვენი ყოველდღიური რიტუალი გვექონდა: დედას დავუკრეფდით ყვავილებს. ავიდოდით მთაზე, შემდეგ მამა თავისი მჭექარე ხმით „ეჰეჰეჰეოო“ დაიძახებდა და ჩვენ ექოს ველოდებოდით, ასე გვეგონა, რომ მთები ხმას გვაგონებდნენ. დღესაც ხშირად მენატრება იმ ექოს ხმა, როგორც გადაძახილი სამშობლოსთან სიყვარულისა და სიკეთის გასაზიარებლად. პატარაობის წლებში დედას სპექტაკლები უფრო მახსოვს. ეტყობა, მამა ხშირად გადაღებებზე დადიოდა და მე დედას დავყვებოდი ხოლმე თეატრში. მახსოვს „სამსახეობა რაინდისა“, „ლუბოვ იაროვაია“, „ამერიკული ტრაგედია“... ისიც მახსოვს, გოგი გელოვანთან ჰქონდა ერთი ეპიზოდი დედას, სადაც ბატონი გოგი ცოტა უდიერად ეპყრობოდა და დარბაზიდან დაუყვირე: ჩემს დედას ხელი გაუშვი-მეთქი. მერე ისიც მახსოვს, როგორ დავმეგობრდით მე და ბატონი გოგი. ერთხელ კატერით გვასეირნებდნენ ბავშვებს და ქარმა ჩემი პანამა წამართვა. ბატონმა გოგიმ მითხრა, იქ ზვიგენი იყო და იმან შეჭამაო. იმ დღის შემდეგ ყოველდღე ვთხოვდი გოგი გელოვანს, წამიყვანე ზღვაში, ზვიგენს უნდა ვთხოვო, ქუდი დამი-



ნატო და თენგიზ არჩვაძეები





ნატო და თენგიზ არჩვაძეები

ბრუნოს-მეთქი. ისიც მანებავდა და ყოველდღე დამასეირნებდა კატერით. მახსოვს, ზურა ქაფიანიძე „ხევსურული ბალადის“ გადაღებებზე როგორ გვფლავდა ბავშვებს თოვლში. ბატონი მალხაზ გორგილაძე მახსოვს, როგორი სიყვარულით გვექცეოდა პატარებს, ბატონი სოსო გოგიჩაიშვილი... შეიძლება ვინმე გამომჩეს, თუმცა ერთ რამეს დაბეჯითებით გეტყვით, რომ იყო საოცარი დრო, საოცარი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული და სწორედ ასეთ ატმოსფეროში მოხდა ჩვენი ჩამოყალიბება.

* * *

მსახიობობა ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა იყო, სხვანაირად ვერ წარმომედგინა. მიუხედავად თავიანთი უარყოფითი თვისებებისა, დღემდე ძალიან მიყვარს მსახიობები, ისინი ჩემს ენაზე მოლაპარაკე ხალხია. მშობლებს არ უნდოდათ, რომ მსახიობი გავმხდარიყავი, რადგან ძალიან ტკივილიანი პროფესიაა... მე მაინც ეს პროფესია ავირჩიე. მამა ძალიან ფრთხილობდა

ჩემი ნამუშევრების შეფასებისას. სულ მქონდა იმის შეგრძნება, რომ არ აინტერესებდა, რას გავაკეთებდი სცენაზე. ასე ვიცოდი, რომ არც მოვიდოდა. მახსოვს, „იდიოტს“ ვთამაშობდი ინსტიტუტში, ნასტასია ფილიპოვნას მონოლოგის დროს, რომელსაც მე ვასრულებდი, სინათლე ქრებოდა. მხოლოდ მე ვიყავი განათებული ოდნავ და რადისტის ჯიხურიდან გამოდიოდა სინათლის პატარა სხივი. ვერ წარმოიდგენთ, რა შეგრძნება იყო, როდესაც მონოლოგის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ მამაჩემი სწორედ იმ რადისტის ჯიხურიდან მიყურებდა და ღელავდა.





ალგირდას კირლისი, ნატო არჩვაძე

* * *

დიდი ხნის წინათ ლიტველი კინორეჟისორი ვიტაუტას ჟალაკიავიჩუსი ფილმს იღებდა სალვადორ ალიენდებზე. მამა როლზე მიიწვია, მან უარი უთხრა. არ უყვარდა პოლიტიკურ თემაზე შექმნილი ფილმები. რეჟისორს მოვეწონე და როლი შემომთავაზა. გადაღებები კოლუმბიასა და ჩეხოსლოვაკიაში იყო დაგეგმილი. ძალიან გამიხარდა, მაგრამ მამამ არ გამიშვა, სტუდენტობისას ერთ ბერძნულ ფილმშიც მიმიწვიეს, მაგრამ ვერ წავედი, ესეც მამაჩემის დამსახურებაა. იმას კი არ ვამბობ, რომ ის პრინციპულად ხელს მიშლიდა, თუმცა გარკვეულ პროექტებში მონაწილეობაზე მას საკუთარი აზრი ჰქონდა და თვლიდა, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, ამა თუ იმ ფილმში არ მიმეღო მონაწილეობა.



* * *

როცა წამოვიზარდე, ბუნებრივია, მამას ყველა სპექტაკლზე და ფილმზე მივდიოდი და ვნახულობდი. ძალიან უცნაური იყო ჩვენი ურთიერთობა პრემიერის შემდეგ. პრაქტიკულად არაფერს არ ვეუბნებოდით ერთმანეთს, თუმცა ის ყოველთვის გრძნობდა, რა მომწონდა და რა ნაკლებად და თან მეც ვხვდებოდი, რომ ჩემს აზრს ამოიცნობდა ხოლმე.

* * *

ისე მოხდა, რომ ორჯერ მომიწია ოჯახის შექმნა. პირველად ჩემზე 22 წლით უფროს ადამიანს გავყევი – გუგული ქებურიას, ჩემი ანუკას მამას. თენგიზი კინალამ გაგიჟდა, თუმცა რას იზამდა. მახსოვს, თითქმის თანატოლ სიმამრს ხელის მოწერის დროს სიძემ „მამაო“, რომ მიმართა... კინალამ გადაირია კაცი... (იციინის). ჩემი ახლანდელი მეუღლე ლიტველია. მას ძალიან შეუყვარდა საქართველო და ქართველები. საქართველოში ყოფნისას გააცნობიერა, რა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა მისი მომავალი სიმამრი საზოგადოებაში. იმასაც მიხვდა, როგორი პატრიოტია თავისი ქვეყნისა და ტრადიციების თენგიზ არჩვაძე და ვიდრე ჩემს ხელს სთხოვდა, „ჩოხოსნებში“ განვეერიანდა ალგისი. (იციინის). როცა მამაჩემს ვუთხარი, ვთხოვდები-მეთქი, ასე მკითხა, რას სჭირს სიძესო... (იციინის) არაფერი არ სჭირს, უბრალოდ, უცხოელია-მეთქი... გაგიჟდა კაცი. (იციინის) ბედნიერი ვარ, რომ არაჩვეულებრივი ურთიერთობა და სიყვარული აქვთ.

* * *

... ყველა დროში ყოფილან კარგი მსახიობები, უბრალოდ, თვითონ მსახიობის და პიროვნების შეფასების კრიტერიუმები შეიცვალა. მსახიობი ქალი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ნიჭიერი, ლამაზი, პროფესიონალი, გონიერი... მე ისეთი რაღაცეები ჩამოვთვალე, ახლა რომ მოდაში აღარ არის... მსახიობი მამაკაცი?! იცი, როგორი? ძალიან მიკერძოებული ვარ, მაგრამ გულწრფელი – თენგიზ არჩვაძისნაირი.





ნელი ფილიაშვილი,
თენგიზ არჩვაძე,
ნატო არჩვაძე



ანა ქებურია

– პირველად ბაბუ სცენაზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ვნახე. „მღერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“.

– მახსოვს, ბატონ თენგიზს განსაკუთრებულად ხვდებოდა მაყურებელი...


– თენგიზს ყველგან მართლაც განსაკუთრებულად ხვდებოდნენ, თუმცა დარბაზიდან დანახული ბაბუაჩემი კიდევ სხვა ემოცია იყო ჩემთვის. საერთოდაც მგონია, რომ ბაბუა ძალიან დადებით ემოციას იწვევს ადამიანებში. ტელევიზიით როდესაც მის ფილმს გადმოსცემენ, რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს და ამაყი ვარ, მაგრამ სცენაზე გამოსულ ბაბუაზე იმდენი ვინერვიულე... თითქოს პირველად ყოფილიყო სცენაზე... ეს შეგრძნება სულ მქონდა. ალბათ იმიტომ, რომ თვითონ განსაკუთრებული მღელვარება იცის სცენაზე ნებისმიერი, თუნდაც რიგითი სპექტაკლის თამაშისას და მეც, ჩემდაუნებურად, მისგან გადმომყვა, ეტყობა, ეს ღელვა.



ანა ქებურია, თენგიზ არჩვაძე

– სცენაზე ბევრ სპექტაკლში გყავს ნანახი?

– არა. მხოლოდ იმ კონცერტებზე და ორ სპექტაკლში – „სახლის ანგელოზებში“ და ალდ-გენილ „მგზავრის წერილებში“.



თენგიზ არჩვაძე, ანა ქებურია

– ოჯახის ყველა წევრს ვეკითხები და შენც გკითხავ, რთულია ბატონ თენგიზთან ურთიერთობა ოჯახში?

– სიამაყის შეგრძნება მასთან დაკავშირებით სულ მაქვს. შეიძლება, არც სპექტაკლზე ვიყო, არც ფილმი გადიოდეს, უბრალოდ შევიდე, მაგალითად, აფთიაქში და ვილაცამ მითხრას, შენ თენგიზის შვილიშვილი არა ხარო? იცით, როგორ გვიყვარსო? ამ დროს ძალიან ამაყი ვარ... ხალხის ასეთი არანორმალური სიყვარული ძალიან დიდი ბედნიერებაა... რაც შეეხება ოჯახში ურთიერთობებს... მინდა გითხრათ, რომ ძალიან თავმდაბალი ადამიანია... მასთან რთულია ილაპარაკო მის შემოქმედებაზე... დავუშვათ, მივედი და ვუთხარი რომელიმე ფილმზე – ვაიმე, იმ დღეს ვუყურე და როგორ მომეწონა ან რაიმე მსგავსი, არ მოგიხსენს. არ უყვარს

ამაზე საუბარი. უხერხულად გრძნობს თავს ასეთ დროს და სასწრაფოდ ცვლის თემას. ჩვენი ურთიერთობა ორგვარია. რა თქმა უნდა, ბაბუა-შვილიშვილის ურთიერთობა გვაქვს და მეგობრებიც ვართ. პარასკევის მოსვლა მიხაროდა. პარასკევიდან ორშაბათამდე ბებო-ბაბუსთან ვრჩებოდი ხოლმე. იპოდრომთან ახლოს ვცხოვრობდით იმ დროს და პრაქტიკულად ყოველ შაბათ-კვირას იქ ვიყავით. ცხენზე ჯირითს მასწავლიდა, დავდიოდით ახლომახლო ტყეებში, მიგვექონდა ვაშლები, იქ ვწვავდით, ლექსებს მიკითხავდა. ბაბუმ შემაყვარა გალაკტიონი, ვაჟა... იმ დროიდან მოყოლებული უამრავი ლექსი ვიცოდი ზეპირად მისი წყალობით. დავდიოდით ჯვარზე, სვეტიცხოველში... სად არა... ბავშვური ემოციით დღემდე მახსოვს, როგორ მიხსნიდა ქვეყნის სიყვარულს, როგორი გატაცებით საუბრობდა სამშობლოზე, რომელიც სულ ფეხით აქვს შემოვლილი. მუდამ საქართველოზე და პოეზიაზე იყო საუბრები. მახსოვს ყველგან ყვებოდა, ანუკამ მითხრა, ისე მიყვარხარ, როგორც ლუკმა პური და წვეთი წყალიო... ძალიან ამაყი იყო ხოლმე. (იცინის)



ანა ქებურია, ნატუკა ხუნდაძე,
ნატო არჩვაძე

– სხვა შვილიშვილებზე არ ეჭვიანობდი?

– არა, მარიამის და ირინკას დაბადება ჩემთვის დიდი სიხარული იყო, ასაკითაც დიდი ვიყავი და ეჭვიანობის მომენტი არ მქონია.

– პროფესიის არჩევისას არ გქონია მცდელობა, წინაპრების კვალს გაჰყოლოდი?

– მე ბავშვობიდანვე ვხატავდი. თუმცა როცა დადგა უმაღლესის არჩევის მომენტი, მაინც სამსახიობოზეც ვიფიქრე, დედას და ბაბუს არაფერი არ უთქვამთ, თუმცა ჯობდა, ეთქვათ. ისეთი სახეებით გამომხედეს, რომ იმწუთას სამხატვრო აკადემიაში შევიტანე საბუთები.

– რით ხსნი მათ უარს?

– უარი ასე პირდაპირ ნამდვილად არ უთქვამთ, უბრალოდ, გამაცნობიერებინეს მსახიობის პროფესიის სირთულეები. ეტყობა, ისე ძალიანაც არ მინდოდა.

– შვილი რომ შეგეძინა და დიდი ბაბუა გახდა...

– ჯერ ჩემი გათხოვება აღმოჩნდა მისთვის შოკის მომგვრელი და მერე ნატუკას დაბადება იყო სხვა შეგრძნება... გოგო რომ დაიბადა, ეგ აღარ გაჰკვირვებია, ისედაც სულ გოგოებშია.



ნატუკა ხუნდაძე


მე თენგიზ არჩვაძის შვილთაშვილი ვარ. ჯერჯერობით ერთადერთი. ძალიან მიყვარს, ვაფასებ და ეს არც არის გასაკვირი. 2 წლის ვიყავი, პირველად ფილარმონიის სცენაზე ყვავილები რომ მივართვი. რაც მახსოვს, ის არის, რომ არც ერთი „მგზავრის წერილები“ არ გამომიტოვებია. დიახ, არც ერთი. მთლიანად ზეპირად ვიცოდი სპექტაკლი და ყოველთვის ზუსტად ისევე ვნერვიულობდი დარბაზში, როგორც ბაბუა – სცენაზე. არადა, ძალიან მიკვირდა სულ, ასეთ გამოცდილ მსახიობს რა ანერვიულებს-მეთქი. ერთხელ ვკითხე და ასე მიპასუხა – მაყურებელს არ უნდა გაუთამამდეო. რა საინტერესოა, არა? არც გასთამამებია. ძალიან მორიდებული და თავმდაბალი ადამიანია, ოჯახის მოყვარული. ისიც მახსოვს, როცა მასთან მტოვებდნენ, მეუბნებოდა, რაც გინდა, რომ მოგიტანო, კარგად მოიფიქრე და წერილი დამიტოვე მაგიდაზეო. ყოველ დილას, სანამ ჩვენ გვეძინა, ბაბუა აუცილებლად საყიდლებზე მიდიოდა, ბებოსთვის და ოჯახისთვის რაღაცეებს ყიდულობდა და აუცილებლად ჩემს დატოვებულ წერილსაც ყურადღებით ეცნობოდა და მანებივრებდა. მახსენდება მისი ვარსკვლავის გახსნის დღე. როგორ ვღელავდი, მასთან ერთად სცენაზე რომ უნდა გამოვსულიყავი და როგორი ამაყი ვიყავი. გული მწყდება, რომ ჩემი თანატოლები უფროსი თაობის მსახიობებს

ნაკლებად იცნობენ. თუმცა მასწავლებლებში და, საერთოდ, უფროს თაობაში ძალიან პოპულარულია. ერთხელ ქართულის მასწავლებელმა ბოცით ღვინო გამომატანა, ეს ბაბუას წაუღეო. გამიგია, მშობლები მასწავლებლებს ზოგჯერ პატივს სცემენ და რაიმე საჩუქარს უკეთებენ, ჩემს შემთხვევაში პირიქით ხდება ხოლმე. მინდა, რომ დიდხანს იყოს, მხნედ იყოს, მინდა, რომ კიდევ ითამაშოს რაიმე სცენაზე და მეც, „მგზავრის წერილებივით“, არც ერთ წარმოდგენას არ გამოვტოვებ.



თენგიზ არჩვაძე, ნატუკა ხუნდაძე





თენგიზ არჩვაძე შვილიშვილებთან





ნათია არჩვაძე

ნათია არჩვაძე

მე ვარ ამაყი, ამაყი და ბედნიერი, რომ დავიბადე დედაჩემის, ნელი ფილიაშვილის და მამაჩემის, თენგიზ არჩვაძის ოჯახში.

მისაბადი სიყვარული, ერთგულება, გვერდში დგომა, მოფერება და გატანა იცოდნენ ორივემ.

დედა – ჩემი ულამაზესი დედა საოცრად ნიჭიერი, წიგნიერი, განათლებული, ძლიერი,

ღირსეული, მომთმენი და მოსიყვარულე პიროვნება იყო.

დედა და მამა ერთად სწავლობდნენ თეატრალურ ინსტიტუტში, სწავლის დასრულების შემდეგ ერთად გაანაწილეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. მათი მეგობრები მეუბნებიან, რუსთაველზე რომ გამოივლიდნენ ნელი და თენგიზ ერთად, მათ ცქერას არაფერი სჯობდაო.

დედა 2 ნელია, გარდაიცვალა. არავინ თქვას, დრო მკურნალიაო. რაც დრო გადის, სულ უფრო მტკივა და მენატრება. დედა ჩემი მოუშუშებელი დარდი და ტკივილია.

მამაჩემს ბავშვობიდან დავყავდი გასტროლებზე, გადაღებებზე, ბრიგადაში. დღეში 2-3 სპექტაკლს თამაშობდნენ სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში. ამას ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე ბანკეტი. ეს იყო ურთიერთპატივისცემის, მოფერების, ნიჭის, ზრდილობის, პროფესიონალიზმის, ინტელექტის და ზნეობის საოცარი მაგალითი. სწორედ ამ მაგალითზე გავიზარდე მე. ხშირად ხუმრობდა, ბიჭი არ მყავს და თამამად ვზრდიო.

მამა საოცრად ერთგული, უღალატო, უპრეტენზიო, სადა, დიდი დიაპაზონის, უაღრესად განათლებული და გულწრფელი პიროვნებაა.

ერთხელ მითხრა, სულს აღზრდა უნდაო: „... სამზეოსკენ უნდა გაიხედო, იცი, რა არის სამზეო? მე კუს ტბაზე დავდივარ ფეხით. იქ, ზევით, კაკლები ხარობს... უძოზე ავდიოდი ხოლმე, იქიდან კოჯრამდე კილომეტრ-ნახევარია. მზის ამოსვლას ვასწრებდი იქ ასვლას. რომ გადმოიხედავ და მზე რომ ამოდის – ეს არის სამზეო. აბსოლუტურად არაფერს არა აქვს მატერიალურს მნიშვნელობა. ყველაფერი რომ წამართვან, ამის ნახვის უფლებას თუ დამიტოვებენ, უბედნიერესი კაცი ვიქნები. ეს უნდა შეიგრძნო. ბედნიერებას დანახვა უნდა – უნდა განსაზღვრო ღირებული და ნაკლებად ღირებული“.

მე მამამ სამზეო დამანახა, მაჩვენა და მაგრძნობინა, თუ რა არის ბედნიერება. ამ გრძნობას არაფერი შეედრება ამქვეყნად.

მამა ჩემი იმედია და ძალა.



ნათია და თენგიზ არჩვაძეები





ნათია და ნუგზარ არჩვაძეები




ნელი ფილიაშვილი, ნათია და თენგიზ არჩვაძეები



ნათია არჩვაძე





თენგიზ არჩვაძე,
მარიამ ქავთარაძე

მარიამ ქავთარაძე

– მარიამ, შენი ბაბუა პოპულარული რომ არ ყოფილიყო, ასეთი პერიოდი არ გახსოვს...

– ეგ დედაჩემსაც არ ახსოვს, მე კი არა! პოპულარობა და ხალხის სიყვარული რომ გითხრათ, არ სიამოვნებს-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა უხერხულად გრძნობს თავს და წუხს კიდეც, როდესაც ადამიანები მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ. გამიგია, რომ ბევრი ასეთ პოპულარობასა და სიყვარულს იყენებს კიდეც, თუნდაც ყოფაში, თუმცა ეგ ყველაფერი თენგიზ არჩვაძისთვის მიუღებელი და წარმოუდგენელიც კია.

– როგორ ხსნი ბაბუას ერთგვარ ასკეტურობას?

– ეს მისი ხასიათია. ჩვენ ნამდვილად ვმეგობრობთ, თუმცა გარკვეული დისტანცია სულ მუდამ არსებობს. ის ყურადღებით მოგისმენს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვან რჩევასაც მოგცემს, მის გამოცდილებას გაგიზიარებს, თუმცა ბოლომდე ღიად არ გაგეხსნება. ჯერ ერთი, მას ნამდვილად მიაჩნია, რომ ყველა ადამიანმა თავად უნდა დაუშვას შეცდომა და ამ შეცდომაზე ისწავლოს, როგორც წესი, სხვის მაგალითზე დასკვნების გამოტანა რთულია ხოლმე, თუ თავად „არ წაიტეხე კისერი“. ამას გარდა, რჩევის მოცემისასაც ძალიან ფრთხილია. ანგარიშს უწევს შენს ხასიათს, ბუნებას, გრძნობებს. არაფერს არ გავალდებულებს. თუ რჩევაა, სწო-



რედ ისე განვდის, როგორც რჩევას და არა აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც უპირობოდ უნდა შესრულდეს.

– აქვს მას ისეთი თვისება, რომელიც საზოგადოებისთვის ნაკლებადია ცნობილი?


– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაბუა საკუთარ შემოქმედებაში ყველაფერს დებს, ალბათ მისი ყველა თვისებაც ცნობილია საზოგადოებისათვის. იმდენი მხატვრული სახე აქვს შექმნილი, რომ არა მგონია, ჰქონდეს ისეთი რამ დაფარული, რაც რომელიმე როლში არ გამოეყენებინოს. ერთადერთი, რაც უცებ მახსენდება, მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეულად ყურადღებიანი და მოსიყვარულე ადამიანია, მოფერება, ჩახუტება, კოცნა, ალერსი... ასეთი რაღაცეები დიდად არ ხიბლავს.



მარიამ ქავთარაძე

ირინე ქავთარაძე

– როგორც ბაბუა, ნამდვილად არაჩვეულებრივია, თუმცა როდესაც პირველად გავაცნობიერე, რომ ყველასათვის არაჩვეულებრივი და საყვარელი იყო, გავოგნდი. მახსოვს, ერთხელ რაღაც ღონისძიებაზე ვიყავით ერთად. ცოტა ხანში ნატოც ჩამოგვშორდა და ნათიაც, თავ-თავიანთ ნაცნობებთან და ახლობლებთან შეჩერდნენ და დავრჩით მე და ბაბუ. უამრავი ხალხი ირეოდა ჩვენ გარშემო და ყველა უკლებლივ გამოხატავდა უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ბაბუაჩემის მიმართ. მე ძალიან მიკვირდა. ჩემთვის ვფიქრობდი, ისინი ხომ არ იცნობენ მას ისე კარგად, როგორც მე-მეთქი. ეს შთაბეჭდილება ისეთივე ძლიერი იყო, როგორც წლების შემდეგ ის მომენტი, როდესაც პირველად ვნახე „დიდოსტატის მარჯვენა“. მიუხედავად იმისა, რომ მართლა ძალიან ბევრი თვისებით ჰგავს ის თავის ნათამაშებ როლებს, იმდენად კარგი მსახიობია, რომ ხშირად მავიწყდება კიდევ, ბაბუაჩემს რომ ვუყურებ ხოლმე და ზუსტად იმ პერსონაჟად აღვიქვამ, რომელსაც თამაშობს.



თენგიზ არჩვაძე, ირინე ქავთარაძე



– ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა გაბრაზებული შენზე ან შენიშვნა მოუცია?

– გაბრაზებული, არა. შენიშვნასაც რაღაც უცნაურად მაძლევს ხოლმე. თუ რაღაცას დამავალებს და მთლად ის ვერ გავაკეთე, შეიძლება მითხრას, უფრო დაკვირვებული უნდა იყო. ეს არის და ეს.

– ყველაზე მეტად ბაბუას მონაწილეობით რომელი ფილმი მოგენატრება ხოლმე?

– ალბათ „შეხვედრა მთაში“. „დიდოსტატის მარჯვენაც“ ძალიან მიყვარს, „ვედრებაც“, სხვა ფილმებიც.

– სცენაზე?


– სცენაზე ერთადერთ სპექტაკლში ვნახე, „მგზავრის წერილებში“, ილია ჭავჭავაძის როლში. სამწუხაროდ, როცა წამოვიზარდე, იშვიათად გამოდიოდა სცენაზე. თუმცა რაც აღადგინეს „მგზავრის წერილები“, პრაქტიკულად ყველა სპექტაკლს დავესწარი.

– როგორია შვილიშვილებისთვის თენგიზ არჩვაძის დანახული საქართველო? საქართველოს რომელ კუთხეს ჰგავს ბაბუა?

– ალბათ, ყველაზე მეტად რაჭას. არა იმიტომ, რომ რაჭველია, არამედ იმიტომ, რომ მისი ხასიათით და ბუნებით მთის კაცია. სხვათა შორის, რაჭაში პირადად მე ერთხელ ვარ ნამყოფი, თანაც ბაბუაჩემი მაშინ ვერ გამომყვა, თუმცა წინასწარ შემიდგინა მარშრუტი, რა უნდა მენახა იქ. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა თან არ მახლდა, მისი ხასიათი, ბუნება, თვისებები – ყველაფერი დავინახე იმ რაჭველებში, რომლებსაც იქ ვხვდებოდი.


– ბეზიასთან მის ურთიერთობას როგორ გაიხსენებდი?

– ბეზიაც წარსულში მსახიობი იყო და როგორც ამბობენ, საკმაოდ ნიჭიერიც, თუმცა ის სულ ცდილობდა, რომ ხელი შეეწყო ბაბუასთვის, მისი კარიერისთვის. გიჟდებოდნენ ერთმანეთზე, თუმცა არასოდეს ამაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ. უფრო მეტიც, როცა ბეზია ცუდად იყო და ბოლო პერიოდი პრაქტიკულად ლოგინს მიეჯაჭვა, ბაბუა ყოველდღიურად ზრუნავდა მასზე. თუმცა ძალიან ბრაზდებოდა, როცა ვინმე აღნიშნავდა, ცოლს როგორ უვლისო. ეს ყველაფერი სალაპარაკოდაც არ მიაჩნდა არასოდეს და არ თვლიდა, რომ ამით რაიმე განსაკუთრებულს აკეთებდა... და ალბათ ასეც იყო.



ირინე ქავთარაძე





თენგიზ არჩვაძე, ირინე და მარიამ ქავთარაძეები



ირინე ქავთარაძე, ნატუკა ზუნდაძე და თენგიზ არჩვაძე





თენგიზ აბრევაძე, მარიამ ქავთარაძე



თენგიზ აბრევაძე, ირინე ქავთარაძე, ნათია აბრევაძე



ოჯახური ფოტო



ოჯახური კვარტეტი



საქართველო





„საქართველოო ლამაზო...“
ცა-ფირუზ...
მთის სურნელი
ჯვარი და მამა-პაპის სალოცავები
ძველი თბილისი



„საქართველოო ლამაზო...“

- ანა კალანდაძის ლექსი „საქართველოო ლამაზო...“ ალბათ გახსოვთ?
- რასაკვირველია.

– ვიცი, რომ მთელი საქართველო ფეხით გაქვთ შემოვლილი, თქვენთვის რომელი კუთხეა ყველაზე ლამაზი და გამორჩეული? ან, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ – თქვენთვის რა არის საქართველო?

– ძალიან რთული შეკითხვა დამისვი... უფრო ნაღდი რომ ვიყო – საქართველო ჩემთვის ერთი დიდი ტკივილია. მოუშუშებელი ტკივილია... ხმამაღალი სიტყვები არ მიყვარს, არადა, ახლა ძალიან ხმამაღლა გამომივიდა, მაგრამ ასეა. ეს ტკივილი ალბათ თავის დროზე სიხარულის შედეგად გამოწვეული ტკივილია. სიხარულიც ხშირად მიგრძნია საქართველოს გამო... თუმცა ეს სიხარული სხვათა და სხვათა გამო და იმის გამოც, რაც აქ არ ითქმება და თან ძალიან შორს წაგვიყვანს ამაზე საუბარი, ტკივილად შეცვლილა... ადამიანთა საქციელების გამო... წინაპართა ნებისით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომების გამო... ისეთი საქციელები ჩაიდინეს თავის დროზე, რომ წინ – მომავლისკენ არ გაიხედეს, არ აწონ-დანონეს ყველაფერი... რა, დღესაც ასე არ არის? აი თუნდაც, რას ჰგავს დღეს თბილისი? რა დღეში ჩააგდეს? ეს არის ქალაქის იერსახე? ამას წინათ მეგობართან ერთად ბეთანიისკენ ავუყევით მანქანით. გულზე შემომეყარა, რაც ვნახე გზაზე... ეს რა შენობები წამოუშრატავთ, როგორ გადაუგვარებიან იქაურობა? ლამისაა რელიეფი შეუცვალეს! სამადლომდე მივედი და ვთხოვე ჩემს მეგობარს, უკან დავბრუნდეთ-მეთქი. ძალიან მძიმე იყო იმ ყველაფრის დანახვა ჩემთვის.

– და მაინც, ჩემს შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, ყველაზე მეტად ქართული სული რომელ კუთხეში იგრძენით?

– მე მთა მიყვარდა ყველაზე მეტად... (იციინის) მთაში კაცი არ შემხვედრია, მაგრამ თვითონ მთას ედგა ხოლმე კაცის სული. მთაში უკაცობაშიც კი დიდი კაცი იგრძნობა... პატრონი იგრძნობა... ზოგჯერ გავერანებული, ძალიან გულსატკენი სანახაობის თვითმხილველს მაინც მიგრძნია მთის სიდიადე. ხევსურები რომ აყარეს და მიატოვებინეს თავიანთი სახლ-კარი, ჩემი ახალგაზრდობის დროს მოხდა, სამამულო ომის მერე, 40-იან წლებში. ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. იმის მაგივრად, იქ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები შეექმნათ ადამიანებისთვის, აიღეს და ერთი ხელის მოსმით გაავერანეს იქაურობა და უპატრონოდ აქციეს... თან როგორი ბუნება, როგორი მთები დატოვეს უპატრონოდ?



ცა-ფირუზ...

– აკაკი იყო გენიოსი. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“... როგორი ნათქვამია?

– ერთხელ ნოდარ დუმბაძეს უთქვამს – ეგ აკაკის ლექსი არ არისო. აბა ვისიაო? გაჰკვირვებით გარშემო მყოფებს და უფიქრიათ, მწერალთა წრეში რაღაც ახალ აღმოჩენას მიაგნესო. ნოდარს ღიმილით უპასუხია – მაგას ადამიანი ვერ დანერდა, ღმერთის დანერილიაო...

– ტყუილი თქვა რო...

– არის ისეთი კუთხე, სადაც არ ხარტ ნამყოფი?

– ასეთი კუთხე არ არსებობს. ყველგან ნამყოფი ვარ. უმეტესი ადგილები ფეხით მაქვს შემოვლილი. ერთხელ მე და ცხონებული რეზო ხობუა სარფში წავედით. მოგეხსენებათ, ეს სოფელი ზუსტად ორად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე დარჩა, მეორე – თურქების. ნათესავი ნათესავს მოსწყვიტეს. ერთი ძმა ერთ მხარეს ჩატოვს, მეორე – აქეთ მხარეს... ეს დიდი უბედურება მოხდა მაშინ. მოკლედ, მე და რეზო მივადექით მესაზღვრეებს... ძირითადად, ადგილობრივი მწყემსები იდგნენ მესაზღვრეებად. რეზომ რაღაცნაირად საერთო ენა გამონახა და ჩუმად გადავიპარეთ, მაშინ ვნახე იქითური სარფი... გავიდა რამდენიმე წელიწადი, რეზო უკვე ცოცხალი აღარ იყო და მე ისევ მომიწია ჩასვლა იმ ადგილებში – დევი აბაშიძე ფილმს იღებდა იქ. რამაზ სურმანიძე იყო მაშინ აჭარის ჯანმრთელობის მინისტრი, კიდეც იყო წულუკიძე, რაჭული წარმოშობის ხონელი კაცი, აჭარაში განათლების მინისტრად მუშაობდა, და ცნობილი პოეტი ფრიდონ ხალვაში... მოკლედ, რამაზ სურმანიძის მამის წლისთავი იყო და საზღვარი უნდა გადაგველაზა, ოღონდ ქვეყნის საზღვარი კი არა, იქვე, ბათუმიდან გახვიდოდი თუ არა, ქოროხზე იყო საზღვარი, მაშინ გონიოშიც კი არ შეგიშვებდნენ უსაბუთოდ, მე არანაირი საბუთი თან არ მქონდა, ამიჩემეს ბიჭებმა, რა საბუთი გინდა, აგერ ორი მინისტრი მოგყვებით, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც ჩვენთან ერთადააო და დამიყოლიეს... მივადექით ამ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს და მესაზღვრეებზე არაფერმა არ გაჭრა, არაფრით არ გაგვატარეს. ყველაზე სანყენი ის იყო, რომ მთავარი მესაზღვრე ქართველი კაცი იყო, ხონიდან... ფრიდონი ეუბნება, ჩემი სოფელი ხომ იცი, რომ იქითაა, თენგიზი ხომ იცანი, სტუმრად მიმყავს სახლში და დღესვე დავბრუნდებითო, შენც არ მომიკვდე... დავბრუნდით უკან... თუმცა მერე ზემო აჭარისკენ წამიყვანეს... ნამდვილი სამოთხე ვნახე იქ... საოცარი ადგილებია... ახალგაზრდებსაც შევხვდი, მახსოვს, ვკითხე, აქ ძირითადად მაჰ-



მადიანები სახლობთ-მეთქი და არაო, მიპასუხეს. ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ მითხრეს – ახალგაზრდობა ძირითადად ქრისტიანებად ვართ მონათლულნი, თითო-ოროლა მოხუცებული შემოგვრჩნენ მაჰმადიანებიო. ეკლესიებიც ვნახე იქ, მეჩეთებიც, რასაკვირველია. თავიანთ კუთხეზე შეყვარებული ახალგაზრდების ნახვამ ძალიან გამახარა, პეტერბურგში ვსწავლობთო, მითხრეს, მერე აქ უნდა დავბრუნდეთ და აქაურობას უნდა მივხედოთო. აი, ეგ არის ქართველობა, მე თუ მკითხავთ, და მამულიშვილობაც, თუ გნებავთ.



თუმეტი



მთის სურნელი


– მარტოობა მიყვარს, საკუთარ თავთან დიალოგი მშველის ხოლმე ყოველთვის. მთაში უკეთ ვგრძნობ თავს, მთა ჩემი წარმოდგენელი სიყვარულია, უასაკო ვარ ცხენთან და მთასთან.

– მთის სამეგობროც გყავთ ალბათ?

– მეგობარს რა გამოლევს. თუმცა მთაა თვითონ უდიდესი მეგობარი. ყოფილა შემთხვევა, მარტოდმარტოს გამიტარებია მთელი შვებულება მთაში, ხევსურეთში. კარავი, სიახლოვეს წყალი და მცირეოდენი საკვები საკმარისია... თუ ცხენიც გყავს, ეს ხომ ნეტარებაა!

– ერთგვარი რომანტიკაცაა...


– უდიდესი ბედნიერება იყო, მთაში მზის ამოსვლას რომ მოვასწრებდი ადგომას, ავიდოდი სერზე, დავდგებოდი და ველოდი მზის ამოგორებას. ის დალოცვილიც მალე ცის თაღზე ამობრძანდებოდა და გავარვარებული ბურთივით თავს წამომადგებოდა. ეს ენით აღუწერელი



ბედნიერებაა! მე სულ ზეპირად ვიცი ცარგვალის განლაგება, ირმის ნახტომი, დიდი დათვი, პატარა დათვი. თუშეთში ცეცხლს დავანთებდი, გავეხვეოდი დასაძინებლად, იმიტომ კი არა, რომ სახლში არ შემეძლო დაძინება, გარეთ ცას მივჩერებოდი, ვუყურებდი, როგორ მოგზაურობდა ცისკრის ვარსკვლავი და მეც მასთან ერთად ვსერავდი ცისკრის კაბადონს.

– რა რთულად გეჩვენებოდათ ალბათ ამ ყველაფრის მიტოვება და თბილისში დაბრუნება...

– არც თბილისში ვისვენებდი. შუალამისას ავდგებოდი ხოლმე და დავადგებოდი გზას. სამ საათში გადავდიოდი კოჯორში, 12 კილომეტრს გავივლიდი, მუხლს არ ჩავიხრიდი. დავჯდებოდი, მზის ამოსვლას ვუყურებდი. თუ დრო მქონდა, მივიდოდი რაჭველ ხაბაზებთან და ძველ ამბებს ვაყოლებდი. პური იმით ჰქონდათ, ღვინო მე ამქონდა. იმათაც უხაროდათ, მეც. ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად კოჯორში ვქეიფობდი. თამადა ვიყავი. ზამთარი იყო. გამაბრაზეს, არ დანყნარდნენ. გაჩერდით, თორემ წავალ-მეთქი.... სად წახვალო, – არ გაჩერდნენ. გამოვედი ღამით და წამოვედი. გამოვიარე უძო. კიდეც კარგი, მთვარიანი ღამე იყო.... დავადექი გზას და ჩამოვედი ბაგების სასაფლაოზე. ჩემი მეგობრის, სპარტაკ ჯეჯელავას ვაჟი იყო დასაფლავებული ბაგებში. გავედი მის საფლავზე, დავკრიფე ყვავილები, აქა-იქ თოვლში რომ ამოეყოთ თავი და დავანყვე საფლავზე. მერე ფეხით წამოვედი ვარაზისხევში, ჩავედი სპარტაკის სახლამდე. ხომ მშვიდობააო, – გაგიჟდა სპარტაკი. ვუამბე, კოჯრიდან მოვდივარ-მეთქი. გიჟი ხარო... საქციელი კი არის გიჟური, მაგრამ ასე იყო-მეთქი.




ჯვარი და მამა-პაპის სალოცავეები

– ჯვარი, მამა-პაპის საფლავები, ენა... ყველაფერი ჩემშია. მე რომ წავალ ამქვეყნიდან, ისევ ჩემს სულში დარჩებიან მარადიულად. მოწინებებსა და სიყვარულს ხმაური არ უნდა და არც უხდება. ჩუმად, ჩემთვის, ჩემის ძალითა და სისხლით მიყვარს ყველაფერი, რასაც ქართული ჰქვია. ყველა ეს სიყვარული, როგორც ოქრომკედის ერთი დიდი და ლამაზი გორგალი, ჩვენს ტაძრებში დევს. ყოველი ტაძარი სასოების სახლია. ყოველ ტაძარს, დიდსა თუ პატარას, ხიბლი აქვს. ძალიან მიყვარს ის „სამების ტაძარი“, სადაც ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა დაინერეს ჯვარი. მე თავად „სიონში“ ვარ მონათლული. რაჭაში, მრავალძალში, წმინდა გიორგის დიდებული ეკლესია იყო, ახლა, როგორც ზემოთაც ვთქვი, ეს ეკლესია მინისძვრისაგანაა დანგრეული... მასთან ჩემი ბავშვობის ბევრი მოგონება მაკავშირებს.

– ტაძრის არსიყვარული უფრო გამიკვირდებოდა თქვენგან, ხუროთმოძღვარ არსაკიძის როლის შემსრულებლისგან...

– სვეტიცხოველი ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუშია, ტაძართა ტაძარია. არა მგონია, მისი მსგავსი რამ კვლავ ავაგოთ ქართველებმა. გულახდილად გეტყვით, დღეს თბილისში მშენებარე, ახალი, დიდი ტაძრის ნახვას გავურბივარ – ვაითუ, არ მომეწონოს-მეთქი.





ძველი თბილისი

– ჩემთვის ძველი თბილისი, კაცობა, კაიყმობა, ურთიერთპატივისცემა და გატანა ერთი და იგივეა. ადრე თბილისში მცხოვრები კაცი არასოდეს იტყოდა – თბილისელი ვარო, იგი ქალაქელს უწოდებდა თავს. „ქალაქად“ მოიხსენიებდა თბილისს პერიფერიაში მცხოვრებიც, რადგან „ქალაქის“ ცნება მხოლოდ თბილისს ეკუთვნოდა. იყო ქუთაისიც, თელავიც, ფოთიც, სოხუმიც, ბათუმიც და გორიც, მაგრამ ქალაქი მხოლოდ თბილისს ერქვა და ეს იმიტომ კი არა, რომ, ვთქვათ, ქუთაისი ან სხვა დანარჩენი ქალაქი არ იყო, არა, მაშინ სიტყვა დედაქალაქს არ ხმარობდნენ და ქალაქი სწორედ რომ დედაქალაქს ნიშნავდა.

– და როგორ ქალაქს?

– ქალაქს – გულიანს, ნაღდს და საოცრად ლამაზს, თავისი ჭრელაჭრულა უბნებით და გულლია ქალაქელებით – მართლაც ვერ ვივინყებ!

– ახლა?

– წარსული წარსულს ჩაბარდა, დღევანდლობას ყოფა ჰქვია, მომავალი კაცმა არ იცის, როგორი იქნება... მგონი, სასიკეთო პირი არ უჩანს...


– ძალიან პესიმისტურად ხართ განწყობილი... იქნებ...

– (დიდი პაუზა) ...თუმცა, ვინ იცის?



კინო





„დათა თუთაშხია“

დებიუტი
ვახტანგ ტაბლიაშვილი
ლანა ლოღობერიძე
გიგა ლორთქიფანიძე
ზურა ქაფიანიძე
ლეილა აბაშიძე
რეზო ჩხეიძე
გოდერძი ჩოხელი
კინო და ცხოვრება
ლალი ბადურაშვილი
თეიმურაზ მაღლაფერიძე – უცნაური ბუნების კაცი



დებიუტი

– ქართველების ამერიკელმა სიძემ, კარლ ლინეკმა, მახსოვს, თქვენს საიუბილეო საღამოზე დიდ საკონცერტო დარბაზში ასე განაცხადა – თენგიზ არჩვაძე ჰოლივუდის მსახიობი რომ ყოფილიყო, მისი ჰონორარი ნახევარ საქართველოს შეინახავდაო...

– (ილიმება) კარგად ვერ დაუთვლია. იქნებ მთელსაც?

– კინოროლების რაოდენობით ერთ-ერთი რეკორდსმენი ხართ ქართველ მსახიობ მამაკაცთა შორის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ტრადიციული შეკითხვა, თქვენთვის თეატრი უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ კინო, უკვე დაგისვით...

– მეც ხომ გიპასუხე. არც შემიძარებია არასოდეს-მეთქი. რასაკვირველია, თეატრი. თუ შენს თავს უფლება მიეცი იმისა, რომ იმსახიობო, მაყურებელთან უშუალო კონტაქტი, რასაც კინოში ვერ მოახერხებ, ყველაზე ძვირფასია.

– კინოზე საუბარიც დებიუტით დავიწყეთ...

– კინოში პირველი როლი ეპიზოდური მქონდა. სიკო დოლიძემ გადაიღო ფილმი „ფატიმა“. მე თეთრი ჩოხა მეცვა, თავადი ბადალაევი ვიყავი. მთავარი როლი კი „კეთილ ადამიანებში“ ვითამაშე. როლზე წინასწარი სასინჯი გადაღების გარეშე ამიყვანეს. არ გამჭირვებია, რადგან საკმაოდ დიდი სკოლა მქონდა გავლილი პიონერთა სასახლეში, შემდეგ კი თეატრალური ინსტიტუტის ოთხი-ხუთი წელი იყო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ, მიხეილ თუმანიშვილის რეკომენდაციით, ბაში-აჩუკის როლის შესრულების ერთ-ერთი პრეტენდენტი ვიყავი, თუმცა არჩევანი ოთარ კობერიძეზე შეჩერდა და ეს სრულიად ლოგიკური იყო, რადგან მაშინ იგი, თავისი ასაკითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით, უფრო შეესაბამებოდა ბაში-აჩუკის როლს, ვიდრე მე.



„ფატიმა“





„დიდოსტატის მარჯვენა“. ვასო გოძიაშვილი, თენგიზ არჩვაძე

ვახტანგ ტაბლიაშვილი

„დიდოსტატის მარჯვენა“ ჩემი საყვარელი ფილმია. თენგიზ არჩვაძის მიერ შესრულებული არსაკიძის სახე ძალიან მაღალი ღირსებისაა, რისთვისაც მადლობელი ვარ მისი. იგი არის უჭკვიანესი და უკეთილშობილესი პიროვნება, ჩვენი ხელოვნების ღირსება.





კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“

ლანა ლოლობერიძე

მსახიობად უნდა დაიბადო. მსახიობობა ღვთით მომადლებული ნიჭია. და ამდენად იშვიათი. თენგიზი მსახიობია. თხემით ტერფამდე. ეს გამოიხატება ყველაფერში: მზერაში, ჟესტში, თვალტანადობაში, მოხდენილობაში, სიღრმეში. და, რაც მთავარია, უნარში, იცოცხლოს სხვისი სიცოცხლე. ბევრი სხვადასხვა სიცოცხლე. არა აქვს მნიშვნელობა, დადებითი თუ უარყოფითია გმირი, თენგიზი ყოველთვის მართალია. და შენ, მაყურებელს, უპირობოდ გჯერა მისი გულისთქმის, მისი წუხილის, მისი სიყვარულის.

ის სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, როცა მე პირველად გადავიღე ფილმში „ერთი ცის ქვეშ“, ნოველაში „ფრესკა“.

მაშინ ბევრი მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა ჩვენთვის ჩვენ გარშემო. ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. შენდებოდა სპორტის სასახლე, ლადო მესხიშვილის დიდი ბრძოლის შედეგად დამტკიცებული პროექტით. მე ვიღებდი პირველ ფილმს, ასევე დიდი ბრძოლით დამტკიცებული სცენარით. ფილმის სიუჟეტი მშენებარე სასახლესთან იყო დაკავშირებული. სასახლის ერთი კედელი საგანგებოდ ჩვენი გადაღებისთვის მოხატა მერაბ ბერძენიშვილმა. ნოველის მთავარი გმირი იყო ახალგაზრდა მხატვარი, რომელსაც არ უმტკიცებდნენ ფრესკის პროექტს. და სწორედ მაშინ ამ როლის შემსრულებლად, უფრო ინტუიციით, აღმოვაჩინე თენგიზი, მსახიობი, რომელიც როლს კი არ თამაშობს, არამედ უბრალოდ არსებობს ეკრანზე. ძალდაუტანებლად. თითქოს თავისთავად.

რეჟისორისთვის მასთან მუშაობა ადვილია. ეს ყოველთვის ასეა, როცა შენ წინ ის არის, ღვთით მოვლენილი მსახიობი.

მე მახსოვს სიმსუბუქე, რომელიც თან სდევდა თენგიზთან მუშაობას. ვდგავართ გადაღების მოედანზე, თავდება კადრის მოსამზადებელი ფუსფუსი და დავიდარაბა, ისმის დაწყების მომასწავებელი ბრძანება და იწყება ის – მუდამ განუჭვრეტელი და მისტიკური პროცესი – გადაღება! და მე ვხედავ, როგორ გადაიქცევა ერთი წუთის წინ ლალი და ლიმილიანი თენგიზი არჩვაძე ნოდარ დუმბაძის პერსონაჟად – პირქუშ და ყველასაგან შერისხულ დათიკოდ. ვხედავ, როგორ მძიმედ მიდის ის კარისკენ, როგორ განწირულად გამოხედავს თავის ერთადერთ სიყვარულს – ლია ელიავას „მამიდას“ და როგორი ტრაგიზმია მის მზერაში... ეს სულ რამდენიმე წუთს გრძელდება. სტოპ – ისმის ბრძანება. თავდება გადაღება, მაშინვე იწყება ჩვეული აურზაური, ჯგუფი შემდეგი კადრის მომზადებას იწყებს. მაგრამ მსახიობი – თენგიზი – ჯერ





„ერთი ცის ქვეშ“. გურანდა გაბუნია, თენგიზ არჩვაძე

კიდევე იმ სამყაროშია, იმ სიცოცხლეში. ის განზე გადის, მას განმარტოება ურჩევნია, თავის ფიქრებთან მარტო დარჩენა. რომ არ განყდეს იმ, წარმოსახული სიცოცხლის ხაზი...

გავიდა ცხოვრება და ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რატომ იყო ასე ადვილი თენგიზთან მუშაობა.

გიგა ლორთქიფანიძე

თენგიზ არჩვაძის სული და სხეული გაჟღენთილია პოეზიით, განსაკუთრებით უყვარს ხალხური პოეზია, რომლის ნიმუშებსაც ასე საუცხოოდ წარმოაჩენს ხოლმე, იგი ზოგადქართული პიროვნებაა, ასეთი ჰარმონიული კაცი იშვიათად შემხვედრია. ხშირად უკითხავთ ჩემთვის, მუშნი ზარანდიას უარყოფითი სახის შესრულება როგორ შესთავაზეთო. იყო მოსაზრება, არჩვაძეს დათა თუთაშხია ეთამაშა. მაგრამ ეს სრულიად გამიზნულად გავაკეთე. მინდოდა, დამეპირისპირებინა ორი ღირსეული მეტოქე, მუშნი და დათა – არჩვაძე და მეღვინეთუხუცესი, არც დათაა იდეალური პიროვნება, ხოლო ზარანდიას თავისი პოზიცია აქვს, შესაძლოა, ის რამეში ცდება, მაგრამ კანონის კაცია, გულწრფელად სჯერა თავისი შეხედულებებისა, ერთგულად ემსახურება ქვეყანას და ხელისუფლებას. სწორედ ამ ორი ღირსეული ადამიანის შერკინებამ გახადა ფილმი საინტერესო. სხვაგვარად იგი შეიძლება პრიმიტიული გამოსულიყო.

ჩემო თენგიზ!


შენ ჩემთვის ყოველთვის იყავი უკომპრომისო პიროვნება, შესანიშნავი ადამიანი, ბრწყინვალე მსახიობი, რომელიც ყოველთვის მაოცებდა თავისი ერუდიციითა და ინტელექტით. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ რამდენჯერმე მოგვიხდა შეხვედრა სცენაზე, როგორც მსახიობს და რეჟისორს, რადგან ძალიან დატვირთული იყავი კინოში. მაგრამ შემოქმედებითი ურთიერთობებისას ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი შენი ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით. შენი დათო ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატში“ ყოველთვის დაუვინყარი იქნება ჩემთვის. მახსოვს, როგორი აღტაცებული იყო მაყურებელი, მათ შორის გენიალური ქართველი მსახიობი აკაკი ხორავა, რომელმაც გინოდა „ყველა დროის საუკეთესო დათო ქართულ თეატრში“, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში თვითონ თამაშობდა ამ როლს. განუმეორებელი იყო შენი ვასკა პეპელი რუსთავის თეატრში გორკის პიესიდან „ფსკერზე“, მსახიობი – სკოვრონსკის „მაესტროში“.

მე არ გადამიღია არც ერთი ფილმი, რომელშიც შენ მთავარი როლი არ გეთამაშოს. მთავარი როლი ითამაშე ჩემს სატელევიზიო ფილმში (ლ. როსებას „პრემიერა“) და ჩემს ერთ-ერთ ნამუშევარში „ლამის ზარები“ უტეხი კომუნისტის ტრაგიკული სახე შექმენი.

თენგიზ არჩვაძე ფილმში „ნიგნი ფიცისა“ ორ როლს ასრულებს – მეფე ალექსანდრეს და ერეკლე II-ს. სწორედ ამ ფილმისთვის მიიღო მან უმაღლესი ჯილდო – რუსთაველის პრემია. ამ ორი განსხვავებული შეხედულებებისა და მრწამსის ადამიანის განსახიერებისათვის დიდი აქტიური ალლო და ოსტატობა იყო საჭირო და უნდა ითქვას, რომ თენგიზ არჩვაძემ შესანიშნავად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას, რაშიც, ვიმედოვნებ, მაყურებელიც დაგვერწმუნება.

ჩემს თავს მივცემ უფლებას, ალექსანდრე მეფის განსახიერება თენგიზ არჩვაძის შემოქმედების მწვერვალად ვაღიარო.





„წიგნი ფიცისა“





„ნიგნი ფიცისა“





„დათა თუთაშხია“. თენგიზ არჩვაძე, კარლო საკანდელიძე

...თენგიზთან მთელი ჩემი ცხოვრება მაკავშირებს. მართალია, თეატრალურ ინსტიტუტში სხვა ჯგუფს ვასწავლიდი და უშუალოდ მისი პედაგოგი არ ვიყავი, ის უკვე ინსტიტუტშივე იპყრობდა ყველას ყურადღებას, სიყვარულს იმსახურებდა დახვეწილი ინტელიგენტობით, მომხიბლავი მამაკაცური გარეგნობით, სიღარბაისლით. მოსვლის პირველივე დღეებიდან უკვე ნათელი იყო, რომ ჩვენს ინსტიტუტში, ქართულ თეატრსა და ქართულ კინოში (სადაც, ჩემი აზრით, მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის) მოვიდა გამორჩეული პიროვნება, უაღრესად საინტერესო აქტიორი. გარდა იმისა, რომ ის მართლაც შესანიშნავი მსახიობია, იშვიათად შემხვედრია ასეთი ჩამოყალიბებული პიროვნება, ყველა საუკეთესო თვისებით, რაც შეიძლება ქართველ კაცს ჰქონდეს.

ფანატიკოსი პატრიოტია, ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო. ისე იცის საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, ბევრ სპეციალისტსაც შეშურდება. ეს ცოდნა ღრმაა, მეცნიერული და არა ზერელე, ყველაფერი სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი.



„დათა თუთაშხია“

თენგიზი გასაოცარი მეგობარია, უფაქიზესი სულის კაცი, ძალზედ ადვილად შეგიძლია დაკოდო მისი გული... ადამიანების მიმართ ზედმინწევნით უშურველია და, რაც მთავარია, თავის პროფესიაში მეტად გამორჩეული, ინტელექტუალური მსახიობი. ამას ხაზგასმით რატომ ვამბობ, იცით? სამწუხაროდ, ასეთი მსახიობებიც არიან, ნიჭი აქვთ, მაგრამ ინტელექტით არ ბრწყინავენ, რაც ყოველთვის იგრძნობა ეკრანზეც, სცენაზეც. თენგიზი კი უმაღლესი ინტელექტის მატარებელი პიროვნებაა, ნაკითხი, ჭკვიანი, დაფიქრებული ბუნებისა...




„დათა თუთაშხია“



ზურა ქაფიანიძე

ჩემი და თენგოს ძმობა მშობლებმა დაადასტურეს, ანუ სამასმეერთე არაგველი თენგიზ არჩვაძე

დღევანდელ თავისუფლებასთან რომ შევადარებ ხოლმე – ის დალოცვილი კომუნისტების დროა... თენგოს მამა გარდაეცვალა. აკრძალული იყო, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვანეთ მღვდელი. სული გაუნათლა და დაიწყო მღვდელმა თავისი საქმე. ოჯახი თენგოს დედასთან დგას, მე ლოჯიდან ვუყურებ ამ კურთხევას. მღვდელმა სანთლები მისცა თენგოს დედას და უთხრა, შვილებს მიეციო. თენგოს დედამ სანთლები შვილებს დაურიგა და გამოვიდა ჩემთან ლოჯში, სანთელი მეც მომცა და ჩავდექი შვილებში. ეს ულამაზესი დღე იყო ჩემთვის და დედის დასტური იმაზე, რომ ვის უყვარს იმისი შვილი, დედაზე კარგად ვერავინ ვერ ხვდება.



„ნიგნი ფიცისა“. ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ არჩვაძე



თენგიზ არჩვაძე, ზურაბ ქაფიანიძე

თენგოს მთელ შემოქმედებაში ის კი არ არის ბედნიერება, კარგად და ბევრი როლი რომ ითამაშა თეატრში და კინოში, ბედნიერება ის არის, მის ქართველ ხალხთან მამისაგან დატოვებული კაცობა, სამშობლოს სიყვარული და ხალხის სიყვარული რომ გაატანა საგზლად თავის შემოქმედებით გმირებს.

მე მას ქართული კინოს ალუდა დავარქვი, რომელიც ძალიან მოუხდა.

თენგოს არაგვის ხეობაში დასასვენებელი სახლი ჰქონდა, ამიტომ სამასმეერთე არაგველიც დავარქვი!

არ ეგონოს მკითხველს, სულ სადღეგრძელოებით რომ ვიყოთ ერთმანეთთან დროის გამტარებლები, ის სულ მეჩხუბება და აი, რატომ: პირველად რომ რაჭაში ჩემს სახლში შევიყვანე, მამამ და დედამ შვილად მიიღეს. მამაჩემი შემოუტრიალდა თენგოს და ყველას გასაგონად ხმამაღლა უთხრა: აი, ეს სახლი, ნახევარი შენიაო. თენგო თამადობდა სუფრას, მას სირუმე უყვარს, სხვამ რომ ილაპარაკოს, ის არ უყვარს. თამადობს, ბაღში ვსხედვართ, თენდება. ვუსმენთ ყველა და ამ დროს მამალმა დაიცივლა. თენგომ ამ ხმაზე სადღეგრძელო შეაჩერა. გააგრძელა სადღეგრძელო, მამალმა ისევ დაიცივლა, გაჩერდა თენგო, გაჩერდა მამალიც. დაიწყო... ისევ დაიცივლა მამალმა.



მერე თენგო მივიდა ხესთან, ხე დაარხია, მამალი ჩამოფრინდა, წრე დაარტყა, ბეჭზე დააჯდა თენგოს და ყურში მაგრად ჩაჰკივლა. ჩვენც ვიცინოდით მათ ჩხუბზე და იმ მამალს თენგოს მამალი დავარქვით. ვინც ვეღარ მოუსწრო, რომ თენგო ენახა, თენგოს მამალს ნახულობდა.

მამლის შემდეგ მე მეჩხუბა, იმიტომ, რომ ჩემი სახლის ნახევარი აქ, ქალაქში ვერ წამოიღო, ქვითკირისაა და ქვითკირის სახლი ვერ გადააქვთ.

კიდევ იმიტომ მეჩხუბა, რომ მისი მამაპაპისეული ხის სახლი გავსინჯე მასთან ბაღში ქეიფის დროს და შეირყა. მერე მიწისძვრით დაინგრა და მე მაბრალებს, შენ რომ არა, არ დაინგროდაო.


არაგვისპირზე დავდიოდი მის აგარაკზე ხშირად. იქ ეზოს ნაწილი კაკლებითა და ერთი მაგიდით მე მომცა, შენი იყოსო. ყველაზე კარგი რაც არის იმის დასასვენებელ სახლში, ჩემია, როცა მინდა, დავსვამ იქ, როცა მინდა არა. მერე ჯიჯღინებს, სოფელში ხომ ჩემია შენი სახლის ნახევარიო, იყოს-თქვა, წადი და წამოიღე-მეთქი. ვერ მოაქვს. ახლა იმასაც ნანობს, თავის აგარაკზე ტერიტორია რომ მომიზომა.

ერთი სიტყვით, გარდა მეგობრობისა, სულ ჩხუბშიც ვართ.

მაგრამ ერთია – საქართველოსთან თავისი გაგებით, კაცობით, ქართველობით, წესით, ნამუსით ძალიან ახლოს არის და ესაა მისი დიდი კაცობა, საქართველოსთან გადებული ხიდით.

დიდი ილია ჭავჭავაძე ითამაშა მარჯანიშვილის თეატრში, ღირსეულადაც. თენგიზი იყო ის კაცი, ვისაც ილია ჭავჭავაძე და მისი ნააზრევი უნდა მიეწოდებინა თავისი ხალხისთვის.





კადრი ფილმიდან „მთაში“.



ლეილა აბაშიძე

თენგიზი უსაყვარლესი მსახიობი და პიროვნებაა, რაც ასე იშვიათია ხელოვნებაში. როდესაც ვიღებდით ფილმს „შეხვედრა მთაში“, მახსოვს, კოლია სანიშვილმა მითხრა, ხევსურული კილო შეისწავლეო. არადა, მთის ქალებს ლაპარაკი არ უყვართ. ერთი მშვენიერი ხევსური ქალი, სახელად სამძივარისა შევარჩიე, დავდექ და ველაპარაკე, ის კიდეც ყველაფერზე „ჰოს“ ან „არას“ გაიძახის. – რა ვქნა, ბატონი კოლია, არაფერი გამომდის, ყველაფერზე „ჰოს“ და „არას“ გაიძახის სამძივარისა-მეთქი, – შევჩვილე რეჟისორს. – სიყვარულზე დაელაპარაკე, მგონი, თენგიზი უყვარსო, – გამოსავალიც მასწავლა. გამოგიტყდებით და, არა მარტო მას, თითქმის ყველა ქალს, მათ შორის მეც მიყვარდა თენგიზი.

არაჩვეულებრივი, მეტყველი, ფიქრით სავსე, სევდიანი თვალები, ვაჟკაცური გარეგნობა, მამაკაცური ხიბლი და რაინდული სული – ასეთია თენგიზ არჩვაძის პორტრეტი.

იგი ყველა ქალის ოცნების მამაკაცია. თენგიზი ღრმად განათლებული ადამიანია, პოეზიისა და მუსიკის ბრწყინვალე მცოდნე, თუმცა ცოდნის გამოჩენა არ უყვარს. ეს ენატკბილი კაცი საოცრად სიტყვაძუნწია. არ უყვარს ლაპარაკი, მოსმენას ამჯობინებს. ის ყველას გულის მესაიდუმლეა, თვითონ კი გულჩათხრობილია. თუმცა რად უნდა ლაპარაკი, როცა მის მეტყველ თვალებში ყველაფერს ამოიკითხავ. მე მქონდა ბედნიერება, ოთხ ფილმში მეტამაშა მასთან. ესენია: „ხევისბერი გოჩა“, „შეხვედრა წარსულთან“, „შეხვედრა მთაში“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ (მზევინარის როლი). თენგიზი არაჩვეულებრივი პარტნიორია, მასთან დუბლების გამეორება საჭირო არ არის. მისთვის ყველაფერი გარკვეულია, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

თენგიზი საოცრად კეთილზნინი და თავაზიანია, ქართველი მამაკაცის ეტალონია. ამიტომ ასე უზომოდ უყვარს ქართველ მაყურებელს მის მიერ შესრულებული გმირებიც და თავად თენგიზ არჩვაძე სათაყვანებლად ჰყავთ.





„შეხვედრა მთაში“. თენგიზ არჩვაძე, ლეილა აბაშიძე





„ხევისბერი გოჩა“. თენგიზ არჩვაძე, სპარტაკ ბალაშვილი

რეზო ჩხეიძე

თენგიზ არჩვაძე ქართული თეატრისა და კინოს უნიჭიერეს, საუკეთესო მსახიობად მიმაჩნია. მის მიერ კინოსა და თეატრში შექმნილი სახეები არათუ დაუვინწყარია, ისინი „ოქროს ფონდს“ განეკუთვნება. ამ ფონდს უმაღლესი მსახიობები ქმნიდნენ ყოველთვის... მიმაჩნია, რომ თენგიზ არჩვაძე ახლაც სავსეა შემოქმედებითი პოტენციით და ღრმად მწამს, როგორც მსახიობი, ის კვლავაც ბევრ ფილმს, ბევრ სპექტაკლს დაამშვენებს.

ბატონი თენგიზი უეჭველად დიდი მსახიობია.

იშვიათია ხელოვანი, რომელიც საზოგადოების ისეთი დიდი სიყვარულით სარგებლობდეს, როგორც ბატონი თენგიზი. ეს გრძნობა მას საკუთარი ნიჭითა და პიროვნული თვისებებით აქვს მოპოვებული და დამსახურებული. იგი ამ გაუსაძლის დროშიც სიკეთეს აფრქვევს.

საერთოდ, მსახიობის ოსტატობა ხელოვნების ის დარგია, სადაც ძნელია, რაიმე დამალოს კაცმა. შეიძლება ითქვას, რომ მსახიობი სულიერად და ფიზიკურად შიშველი დგას მაყურებლის წინაშე და ტოვებს განცდას, რომ იგი საკუთარ თავს ასახიერებს.

ბატონი თენგიზის თეატრალურ და კინოროლებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სწორედ მისი პიროვნული ჰუმანიზმით არის ნასაზრდოები. თენგიზის კეთილშობილებითაა სავსე კონსტანტინე არსაკიძის სახე, მუშნი ზარანდიას წინააღმდეგობრივი და უდიდესი არტისტული ტაქტით შესრულებული კინოროლი და კიდევ მრავალი... დაუვინწყარია მის მიერ შექმნილი ილია ჭავჭავაძის სახე სპექტაკლში „მგზავრის წერილები“. მოგეხსენებათ, რამხელა პასუხისმგებლობაა ილიას თამაში საქართველოში.

მან კი ამ სიძნელეს ღირსეულად გაართვა თავი.



გოდერძი ჩოხელი


თუმცა, არა მქონია შემთხვევა, თენგიზი ჩემს ფილმში გადამელო, მაინც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა ჩემი სურათის მონაწილეა. იგი ისეთი პიროვნებაა, რომ ჩვენ შორის არათუ კეთილი დამოკიდებულება, საოცრად დიდი სიყვარული დაატრიალა და უფლება არცა მაქვს, არ მიყვარდეს. და, საერთოდ, არც მგონია, საქართველოში ის ვინმეს არ უყვარდეს.

გარდა დიდი შემოქმედებისა, იგი დიდი პიროვნებაა (სამწუხაროდ, ვერ დავაფასეთ, ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ მისი ნიჭი). თენგიზი, ჩემთვის, არა მარტო თანამედროვე ქართველია, ისტორიული პიროვნებაც არის – ჩვენი ზნეობრივი წინაპარი. ამაზე მეტყველებენ მისივე შექმნილი თეატრალური თუ ეკრანული სახეები. იმავდროულად, იგი ჩვენი მომავალიც არის, სუფთა, კეთილშობილი ბუნებით.

დიდად სამწუხაროა, ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ თენგიზ არჩვაძე სხვა ქვეყნის შვილი რომ ყოფილიყო, მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მსახიობი იქნებოდა. ჩემთვის ასეა მაინც. თენგიზს რომ დავინახავ, რალაც მიხარია და ვერ ამიხსნია, დღემდე, ეს სიხარული.

პირადად მე, უდიდესი სურვილი მქონდა, თენგიზს ჩემს ფილმებში ეთამაშა, მაგრამ ვერ მოვუძებნე როლი, რომელიც მას ეკადრება... თენგიზი, მხატვრულად, იშვიათად კითხულობს ვინმეს ნაწარმოებებს და უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა: იგი რადიოთი ისე არაჩვეულებრივად, ისე გრძნობით კითხულობს ჩემს მოთხრობებს, რომ მეც კი სხვანაირი თვალთ დამანახა საკუთარი შემოქმედება. რაც მე ვერ შევძელი, ის მოახერხა თენგიზმა – თვითონ მოძებნა კავშირი ჩემს შემოქმედებასთან.





კადრი ფილმიდან „ვედრება“

კინო და ცხოვრება

კინოგადაღებებზე წიგნებიც სულ თან დამქონდა მეგზურად. ერთსახოვან ლიტერატურას კი არ ვკითხულობდი, რამდენიმეს ერთად. მეკითხებოდნენ, როგორ ახერხებ ამასო? განწყობის მიხედვით ვკითხულობდი და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მეხმარებოდა ჩემს საქმიანობაში.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ფილმი „წითელი კარავი“, რომელსაც მიხეილ კალატოზიშვილი იღებდა (რუსეთში – კალატოზოვი, რომელსაც ეკუთვნის ბევრი ცნობილი ფილმი და მათ შორის „მიფრინავენ წეროები“). ფილმის ერთი ნაწილი მოსკოვში გადავიღეთ, მეორე კი ფრანც იოსების მიწაზე, ჩრდილოეთ პოლუსთან. იქ გატარებულმა სამმა თვემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე: თეთრი ლამეები, თეთრი დათვები... ისინი ისე ახლოს მოდიოდ-



ნენ ჩვენთან, რომ პურს ვუყრიდით კიდეც. ფრანც იოსების მიწაზე მურმანსკიდან ყინულ-მჭრელით გავემგზავრეთ, ხუთი დღე ვიყავით ზღვაში. ამ ფილმში დასავლეთის კინოს ისეთი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან: შონ კონერი, პიტერ ფინჩი, მასიმო ჯიროტი, კლაუდია კარდინალე, მაგრამ ფრანც იოსების მიწაზე ისინი რატომღაც არ წამოიყვანეს და დუბლიორებით შეცვალეს. შონ კონერისთან დაკავშირებით ასეთი რამ მახსენდება: იგი წარმოშობით შოტლანდიელია და საბჭოთა კავშირში გამომგზავრებამდე თურმე ურჩიეს – კავკასია მოინახულე, იქ ბევრი მთაა, როგორც შოტლანდიაშიო. ჰოდა, მე ვიფიქრე, ორი კვირით ჩამომეყვანა საქართველოში, შევეუთანხმდი კალატოზოვს, მაგრამ ჩემი ფიქრი ფიქრადვე დარჩა...

ორი კვირა „შესაბამის ორგანოებში“ მანვალეს დაკითხვებით და შონ კონერიც ველარ ჩამოვიყვანე. მან ამის მიზეზი უჩემოდაც გაიგო. „საქართველოში ჩამოსვლა აღარ მინდაო“, – სიცხილით მეუბნებოდა. საქართველოს სანაცვლოდ ჩემს უცხოელ კოლეგებს, შონ კონერის და პიტერ ფინჩს, კვირა დილით რესტორან „არაგვში“ ვეპატიჟებოდი... ეს შეიძლებოდა. კონერის ისე მოეწონა ჩვენებური ხაში, რომ კვირამდე ველარ ითმენდა და სულ იმას მეკითხებოდა – რატომ არ შეიძლება, დილის გარდა, სხვა დროსაც ვჭამოო ხაში?! ერთხელ კი პიტერ ფინჩმა მითხრა – „დანახარჯს ყოველთვის შენ რატომ იხდი, მილიონერები ხომ ჩვენ ვართო“. მე ვუპასუხე: „თქვენ მილიონერები ხართ, მე კი ქართველი-მეთქი“.

ხანდახან ერთდროულად ოთხ-ხუთ ფილმზე მიმუშავია. შატილიდან მურმანსკში მიწევდა გადაბარგება, მურმანსკიდან გემით – ფრანც იოსების მიწაზე, იქიდან – კიევში (სერგო ფარაჯანოვი იღებდა ფილმს „კიევის ფრესკები“, რომელიც საბოლოო ჯამში ეკრანზე არ გამოუშვეს).

ფილმის „მალე გაზაფხული მოვა“ გადაღებებისას იმერეთის მაღალმთიან სოფელ ბოსლევში სერგო ზაქარიძე, სესილია თაყაიშვილი და მე ერთ სახლში ვცხოვრობდით. ბოსლევი ცივი ადგილია. შეშას მე ვაპობდი, ბუხარს ვანთებდით, სესილია სადილს ამზადებდა. ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები გვექონდა. ამ დიდ ადამიანებს არ ეზარებოდათ, დახმარება გაენიათ სხვისთვის. თუ გაიგებდნენ, ვინმეს უჭირდა, ისე ეხმარებოდნენ, არც გააგებინებდნენ.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ბატონი ვასო გოძიაშვილი სულ ჩემ გვერდით იდგა და მელოდებოდა, რომ ერთად გვევახშმა. დიდი ადამიანი და დიდი მსახიობი იყო, მაგრამ არ გაგრძნობინებდა. უბრალოდ, ზღვარი თავად უნდა დაგეცვა, არ უნდა გათამამებულიყავი.



„მალე გაზაფხული მოვა“.
კარლო საკანდელიძე, თენგიზ არჩვაძე



„შეხვედრა მთაში“.

კადრი ფილმიდან „გზის დასაწყისი“.





„კეთილი ადამიანები“.
ნანა პირველი, თენგიზ არჩვაძე



„მე ვხედავ მზეს“.



„ხეცსურული ბალადა“.
დოდო აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე



ერთხელ მოსკოვში გადაღების დროს გავცივდი, ნერვის ანთება დამემართა. ბატონი საშა გომელაური მიმეყვა ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში, აბაზანები რომ მიმეღო.

ინსტიტუტის დირექტორმა უთხრა ბატონ საშას, არ მაქვს, ბატონო, ადგილი, იქნებ ორ კვირაში მობრძანდეთო. ბატონმა საშამ უპასუხა – არა, მე ორ კვირაში კი არ გეუბნებით, ახლა მოვიყვანე კაციო, ახლა უნდა დავანვინოთ, ხომ იცით, ეს ვინ არის, დიდი მსახიობიაო.

დირექტორმა ხელმეორედ გაუმეორა, არა, ბატონო, ადგილი არა მაქვს, პაციენტები დერეფანში მიწვანანო. ბატონმა საშამ ისევ გაუმეორა – არა, ეს განათლებული კაცია, დერეფანში დანოლას ვინ აკადრებს, ამას ცალკე ოთახი უნდაო.

შენუხებულმა დირექტორმა თანამშრომლებს უთხრა: ჩემი კაბინეტი გაათავისუფლეთ და სანოლი დაუდგითო.

ოთახში ტელეფონიც მქონდა. ბოლოს ბატონმა საშამ უთხრა – ჰო, ეგრე რა, კაცო, ჩვენც ხომ უნდა მოვიდეთ სანახავადო.

ერთი სიტყვით, ბატონი საშა კარგი ადამიანი და კარგი მსახიობი იყო.

დღესდღეობით ჩვენი კინო თითქოს ჩაკვდა, ძალიან უჭირს, თეატრმა კი მაინც ბევრ რამეს გაუძლო. თეატრი ხელოვნების უძველესი დარგია და ეს ბევრს ნიშნავს. მასაც უჭირს, მაგრამ თავის გადარჩენას მაინც ახერხებს. მჯერა, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.



კადრი ფილმიდან „პოლკოვნიკს არავინ სწერს“



ლალი ბადურაშვილი

რა უნდა ვთქვა ახალი ამ მართლაცდა არაჩვეულებრივ, გამორჩეულ ადამიანზე. ყველაფერი უკვე ნათქვამია. იგი ხომ ქართული თეატრისა და კინოს განსაკუთრებულად მოკაშკაშე ვარსკვლავია.

მახსოვს, ამ 20-30 წლის წინ ჟურნალისტები რაღაც გამოკითხვას ატარებდნენ სიტყვა „რაინდი“-ს ძირითად არსთან დაკავშირებით. ყველა თაობის მსახიობი ქალების, დიდი ვერიკოს მეთაურობით, პასუხი იყო – რაინდი? თენგიზ არჩვაძე! როდესაც გადაღებებზე მივედი კინოსტუდიაში, პირველი, რაც თვალში მომხვდა, სტუდიის თანამშრომლების უსაზღვრო სიყვარული იყო თენგიზის მიმართ – დანყებული უბრალო გამნათებლით, ცხენოსნებით და ტექნიკური მუშაკებით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში“ დაკავებული იყვნენ ქართული კინოსა და თეატრის დიდი მსახიობები – ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი. მათ ყველანი ქალბატონოთი და ბატონოთი მიმართავდნენ, მხოლოდ თენგიზს ეძახდნენ თენგოს – მას ხომ ყველა თავისიანად თვლიდა! ასეა ჩემთვისაც დღემდე. არა მარტო თენგიზი, არამედ მისი ქალიშვილებიც ნატო და ნათია ჩემი უსაყვარლესი ადამიანები არიან.

გმადლობთ, თენგო, იმ ულამაზესი წლებისთვის. მართლაც რომ, სანამ შენნაირები ივლიან ამ მიწაზე, საქართველოს გადაშენება არ უწერია!



თენგიზ არჩვაძე, ლალი ბადურაშვილი



უცნაური ბუნების კაცი

თენგიზ არჩვაძესთან 25-წლოვანი მეგობრობა მაკავშირებს. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა წუთიც კი, ჩვენს ურთიერთობას რაიმე ჩრდილი მისდგომოდა. ამის მიზეზი თვით თენგიზი გახლავთ: რაინდული ბუნების ვაჟკაცი, უშურველი, უბოროტო, უზაკველი. მასში ბედნიერადაა შერწყმული სულიერი და ხორციელი სილამაზე, ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც განრიდებულია ყოფით წვრილმანებს, რომანტიკოსია ბუნებით, ჩვეულებრივ მოქმედებასა თუ საუბარშიც კი, მთრთოლვარე გულსა და ნერვებს აქსოვს, მუდამ უმაღლესი რეგისტრი, უმაღლესი „ნოტი“ აქვს აღებული, და რაც მთავარია, შენც „გაიძულე“, რომ მას კამერტონზე აენყო. მასთან ურთიერთობის დროს, გინდა თუ არ გინდა, უკეთესი ხდები. ეს დიდი ნიჭია, დიდი უნარია და მხოლოდ ღვთისგან რჩეულთა ხვედრი გახლავთ.

ჩვენ ორ ფილმზე მოგვინია ერთად მუშაობა. იშვიათად მინახავს ასეთი მაძიებელი, ერუდირებული, შინაგანად მართალი მსახიობი. მის მიერ ნათამაშევი როლებიდან იქნებ ყველა ერთნაირად არ ბრწყინავდეს, მაგრამ ყველას რომ რალაცნაირი გამორჩეულობისა და, თუ გნებავთ, ინტელექტუალური სისადავის ბეჭედი აზის, ცხადია.

ამჟამად საშუალება არ არის, თენგიზ არჩვაძეზე – პიროვნებასა და არტისტზე ვრცლად საუბრისა, ეს სამომავლო საქმეა. მე მხოლოდ ერთ დეტალს გავიხსენებ მისი „უცნაური“ ბუნების დასახასიათებლად:

...კინოსტუდიაში ვწრიალებდით, ფულის შოვნა გვინდოდა მეგობრული სუფრისათვის. ბოლოს, თენგიზმა როგორც იქნა, მოისესხა ბუღალტერიაში. მივდივართ გახარებულები, მაგრამ უცებ, იცით, რა გააკეთა? იქვე საყვავილეში, უამრავი მიხაკი იყიდა და თქვა: „იმ ქალბატონებმა ისე გამახარეს, რომ მეც უნდა გავახარო“, გაიქცა და თაიგული ბუღალტრებს წაუღო. ვიცინეთ და შევღონდით კიდევ. ასეთი კაცია თენგიზ არჩვაძე. მან დიდხანს უნდა იცოცხლოს. ასეთი კაცები ჭეშმარიტად ალამაზებენ ჩვენს უფერულ ყოფას.

თეიმურაზ მალლაფერიძე




„ვედრება“.

ზურაბ ქაფიანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი,
ნანა ქავთარაძე, თენგიზ არჩვაძე,
გეიდარ ფალავანდიშვილი



ჩემი არამსახიობი მეგობრები





ავტოპორტრეტი

მეგობარო გულისაო
 იდა ხელაძე
 ლამარა მამალუა
 თეიმურაზ ებრალიძე
 მე და რეზო ლალიძე – KGB-ს მსხვერპლნი
 ჯანსუღ ჩარკვიანი – ვარსკვლავი
 მურმან ლებანიძის საჩუქარი
 მურმან ლებანიძე – არჩვადის „გალსტუკი“
 თამაზ ბიბილური – პოეტური მადლით მოსილი
 მერაბ ბერძენიშვილი
 მურმან ჯგუბურია – თენგიზ არჩვადეს
 ანზორ სალუქვაძე – თენგიზი
 თემურ ჩალაბაშვილი – შემორჩი ქალაქს ამაყი და ბავშვივით მორცხვი



მეგობრო გულისაო

– ურთიერთობაში კაცი აბსოლუტურად გახსნილი უნდა იყოს. ნათქვამია – დაფარული ეშმაკისა არისო. ალალ ურთიერთობაში კონტაქტი ადვილად მყარდება, ხეკეთილისგან ნაყოფიც კეთილი გამოდის. ძველი იმდენად ძვირფასია, რომ ახალი კონტაქტების სურვილი აღარ მაქვს. ძველებიდან ბევრი აღარ შემოვრჩით ერთმანეთს. სამწუხაროდ, ასე ყოფილა ოდითგან: კაცი, რომელიც მთლიანად იხარჯება, ადრე მიდის ამქვეყნიდან. მე როგორ შემოვრჩი დღემდე, მიკვირს... მეუბნებიან – „მაგარი ჩამოსხმა“ ხარო. ასაკით ჩემზე უფროსი მეგობრებიც მყავდა და უმცროსებიც. ჩემზე ერთი დღით უფროსიც რომ ყოფილიყო, მასთან უფრო მოკრძალებული დამოკიდებულება მქონდა. ვიცოდი უფროს-უმცროსობის ყადრი! როგორც გითხარით, ჩემი დიდი სამეგობროდან წუთისოფელს და ერთმანეთს ცოტანილა შემოვრჩით, მაგრამ სიყვარული არ გაგვნელებია. ზოგი მსახიობია, ზოგი მწერალი, ზოგი ინჟინერი, გეოლოგი, მხატვარი და ასე შემდეგ. ერთი მათგანია ნავთობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი თეიმურაზ ებრალიძე, რომელიც პიონერთა სასახლიდან მომყვება. ჩემი გაჭირვების ტალკვესი იგია. ან რომელი ერთი მეგობრის იმედი არა მაქვს, ფიზიკოს თამაზ ჩანტლაძის თუ სხვების? მსახიობებს აღარ ჩამოვთვლი, ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ ყველა.

– ცნობილია, რომ თქვენ ძალიან ბევრი მეგობარი გყავთ მწერლებს შორის...

– მეგობარი კი არა, ძმებად აღვიქვამდი მათ. მაგალითად, არჩილ სულაკაური... მახსოვს, რალაც გადაღებაზე ვიყავი თუშეთში, არჩილის სოფელში – ფარსმაში. დიდი ხნის მანძილზე არავინ იყო ნამყოფი იქ სულაკაურების ოჯახიდან. ნ. იანვარი იყო, შობა თენდებოდა. კერიას როგორ გავაცვივებდი და ერთი ყუთი არაყი დავტოვე მათ ეზოში. (იციინის) ვალიკო სულაკაური მაშინ კინოსტუდიაში მუშაობდა რედაქტორად, მეხუმრებოდა, ეგ ჩემი ეზოა, ჩემთან დაგიტოვებიაო. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა არჩილის მამასთანაც, ბატონი სამსონ სულაკაური 1937 წელს დააპატიმრეს, რეაბილიტაციის შემდეგ კინოსტუდიის გრიმის საამქროში მუშაობდა. არჩილის ძმა, კარლო, მულტიპლიკაციის სტუდიაში მუშაობდა... მოკლედ მთელი ოჯახით ვმეგობრობდით მე და არჩილი. არაჩვეულებრივი მწერალი იყო. ძმობაც კარგი იცოდა და წერაც.... ნოდარ დუმბაძესთან ვმეგობრობდი ძალიან, ედიშერ ყიფიანთან. ეგენი ჩემი თაობის ბიჭები იყვნენ, ცოტა უფროსები ჩემზე, თუმცა ჩვენს დროს ასაკს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარია, საერთო ინტერესები აღმოგვეჩინა ერთმანეთში. დიდი მეგობრობა მქონდა ბატონ ლევან გოთუასთან. ბატონი ლევანი 40-იან წლებში როცა დააპატიმრეს, მისი პიესებიც ამოიღეს მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარიდან, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, კვლავ დართეს უფლება თეატრს, გვეთამაშა „დავით აღმაშენებელი“ და „მეფე ერეკლე“. ამ უკანასკნელში მე ვთამაშობდი და იქედან დაიწყო ჩვენი დამეგობრებაც. მერე „გმირთა ვარამშიც“ ვითამაშე. ცალკე თემაა ჩემი და ჭაბუა ამირეჯიბის ძმობა. ისე, ძმობას ბევრი ლაპარაკი არც უხდება. ამ სიტყვით უკვე ყველაფერია ნათქვამი. საერთო ინტერესი ვახსენე და, მე მათ აზრებსა და შეხედულებებს მათივე ნაწერებში ამოვიკითხავდი ხოლმე, ვილაც უფრო დაწინაურდა შემოქმედებაში, ვილაც ნაკლებად, თუმცა ეგ უკვე ღმერთის წყალობაა და როგორც გალაკტიონი იტყოდა – „ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო“. ბაჩანა ბრეგვაძესთან ვგრძნობდი დიდ სულიერ სიახლოვეს, ფერმწერებიდან ბატონ უჩა ჯაფარიძესთანაც კი ვმეგობრობდი...





იდა ხელაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის დოცენტი

თუ ფროიდს მოვიშველიებთ: „მთელი ცხოვრება ეს არის არშემდგარი ბავშვობა“. როდესაც ლექციას ვკითხულობ, სულ ვთამაშობ... სულ მომყვება ის ხაზი, რომელიც მევე ჩავახშე ჩემს თავში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მანვალებს, რადგან პიონერთა სასახლის დრამწერში წარმატებული ბავშვობა მქონდა და თენგიზ არჩვაძე სწორედ იმ ჩემი წარმატებული ბავშვობის შესხენებაა. დრამწერში თენგიზი იყო ფიგურა, ჩვენ თანატოლები ვიყავით, მაგრამ მასში პიროვნებას ვგრძნობდით.

მე თენგიზთან გავატარე ჩემი ბავშვობის ულამაზესი წლები. ვთვლი, რომ ის ჩემი გულშემოთკივარი იყო სცენაზეც და ცხოვრებაშიც. როგორც პარტნიორი, ის იყო არაჩვეულებრივი. ჩვენ ერთად ვთამაშობდით „თეთრაში“, „კოტეს დანაშაულში“, „ცისფერსა და ვარდისფერში“. მისი სულიერი სიმაღლე, ერთგულება, უღალატობა, სისპეტაკე, რაინდულობა, საოცარი მიჯნური – თენგიზი – ჩემთვის რუსთაველის გმირივითაა.



ლამარა მაძალუა

გეოლოგი

პიონერთა სასახლის დრამწერე ჩემთვის ძალიან სასიამოვნო თემაა. თენგიზი აბსოლუტურად არაორდინალური ბავშვი იყო – სიტყვაძუნწი, განსაკუთრებულად დინჯი. მე და თენგიზი ყველა სპექტაკლში პარტნიორები ვიყავით. მაგიდასთან, როლზე მუშაობის დროს, აუცილებლად მის გვერდით უნდა ვმჯდარიყავი. სულ რაღაც ჩანახატებს აკეთებდა. ყოველთვის მხატვრულად მოხუც ქალად, უკბილებოდ. ერთ-ერთ სურათს ასეთი წარწერა გაუკეთა: „ცხენო 40 წლის“ (ცხენოს მეძახდნენ იმიტომ, რომ ფეხების ბაკუნი მიყვარდა).

დრამატულ წრეს სათავეში ედგა შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება თედო წეროძე, რომელმაც აღზარდა ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც არიან: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, კარლო საკანდელიძე, გიორგი გამსახურდია.

„აჩაკუნე“ ის სპექტაკლი იყო (თედო წეროძის ხელმძღვანელობით), რომელშიც თენგიზი თავის მეგობარ თეიმურაზ ებრალიძესთან ერთად არაჩვეულებრივი ბუნებრივობით თამაშობდა აბეზარი ბიჭის როლს.

ბატონი თედოს წასვლის შემდეგ ჩვენი ხელმძღვანელი გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი ბატონი ვახტანგ სულაქველიძე. ის ძალიან ბევრს მუშაობდა ხასიათის გახსნაზე. სწორედ მან ჩაგვინერგა თეატრისადმი დიდი სიყვარული, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მოგვყვება. ბატონი ვახტანგი სულ საქმის კურსში იყო, როგორ ვსწავლობდით, რით ვიყავით დაკავებული რეპეტიციის შემდეგ. ჩვენთან ერთად დრამატულ ხელოვნებას ეუფლებოდნენ: ლია ელიავა, ზინა კვერენჩილაძე, ზიზი ზალდასტანიშვილი, ლეო ანთაძე, გიზო სიხარულიძე, გურამ გოგავა, გოჩა აბაშიძე, ლევან კაველაძე, ანზორ ქუთათელაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ მაცხოვნაშვილი, თინა ელბაქიძე, რევაზ თავართქილაძე, ალექსანდრე ნინუა, თამაზ გოდერძიშვილი.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პიონერთა სასახლეში მხატვრული კითხვის კაბინეტის არსებობა, რომელსაც თავდაპირველად ნოდარ ჩხეიძე, შემდეგ კი სერგო ზაქარიძე ჩაუდგნენ სათავეში. მათი საყვარელი მოწაფეები იყვნენ: თათია ხაინდრავა, მარინა ყუბანეიშვილი, დალი კეტიშვილი, მაგრამ მე განსაკუთრებით გამოვყოფ ჯულიეტა ვაშაყმაძეს, რომელიც თავისი ნიჭით გამოირჩეოდა არა მარტო მხატვრულ კითხვაში, ის ხომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა... ჩემს მეხსიერებას შემორჩა მის მიერ შესრულებული უზბეკური სახასიათო ცეკვა, რომელსაც ძალზედ კოლორიტულად ცეკვავდა.

თენგიზს ბავშვობიდანვე გამორჩეული ფაქტურა ჰქონდა. რა თქმა უნდა, ყველა გოგოს მოსწონდა. სითბოს გამოხატავდა მეტად თავისებურად – სპექტაკლისათვის „თეთრა“ (ალ. ლუბიმოვას მიხედვით) მერხი (რეკვიზიტი) საკუთარი ხელით გააკეთა (რეჟისორი ვახტანგ სულაქველიძე).



“თეთრას“ შესახებ პიონერთა სასახლეში გამომავალი გაზეთი „გაზაფხული“ 1958 წელს წერდა: „ეს სპექტაკლი ჯერ კიდევ 1948 წლის დეკემბერში იყო წარმოდგენილი სასახლის სცენაზე და მას გარკვეული წარმატება ხვდა წილად. მისი ყოფილი მონაწილენი: თენგიზ არჩვაძე – ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის მონაწილე ახალგაზრდა მსახიობია, რევაზ თავართქილაძე – მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის წამყვანი მსახიობია, ალექსანდრე ნინუა და რევაზ ჭარხალაშვილი ამავე თეატრის რეჟისორები არიან, გურამ მაცხოვნაშვილი კი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორია“...

საერთოდ, ბავშვობის პერიოდი თენგიზისათვის განსაკუთრებულია და სულ გვეუბნება – „დამიბრუნეთ ჩემი ბავშვობა!“

თენგიზი შესანიშნავად ხატავს. მეგობრობს განსაკუთრებით მხატვრებთან და პოეტებთან. როგორც ჩანს, ეს კაცი საინტერესოა მათთვის. მიმაჩნია, რომ თენგიზმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ ამოწურა. ღმერთისაგან ნაბოძები გარეგნობის გარდა, შინაგანი დაგუბებული დიდი ენერგია აქვს. საოცრად წიგნიერია. ჭეშმარიტი ქართველია. შეიძლება ითქვას, რომ ფეხითა აქვს მოვლილი მთელი საქართველო. შესანიშნავი მამა და ჩინებული ბაბუაა.

თენგიზი იყო „ბავშვი-რაინდი“ და ასეთივე რაინდად დარჩა დღემდე.



თეიმურაზ ებრალიძე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მე და თენგიზმა ერთმანეთი პიონერთა სასახლეში გავიცანით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით, პიონერთა სასახლის მაღლმა ერთმანეთთან დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა.

სასახლის დრამწრეში ისეთი ცნობილი და ნიჭიერი რეჟისორების ხელში მოვხვდით, როგორებიც იყვნენ: თედო წეროძე, ვახტანგ სულაქველიძე, ნოდარ ჩხეიძე. მათ მიერ დადგმულ სპექტაკლებში მე და თენგიზს არაერთხელ მოგვინია უშუალო პარტნიორობა. ასე იყო მაგალითად, როცა ის ყარამანი იყო და მე – კაკო (გ. ნახუცრიშვილის „აჩაკუნე“), ის მისტერ ბილი იყო და მე – მისტერ ტომპსონი (ა. ლუბიმოვას „თეთრა“), ის შმაგა იყო, მე – ნეზნამოვი (ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“) და სხვა.


სცენაზე ამგვარი შემოქმედებითი ურთიერთობის დროს (თუნდაც ბავშვურ ასაკში) განსაკუთრებით გრძნობ პარტნიორის ნიჭიერებასა და სიმართლეს. მის გამოჩენას სცენაზე მოსწავლეთა გულწრფელი აუდიტორია ხომ სულგანაბული ხვდებოდა.

ჩვენი ყმანვილობის დროს დაბადების დღეებზე და მით უმეტეს ახალი წლის შეხვედრებზე გვიან საღამოს ვიკრიბებოდით და მხოლოდ დილით ვიშლებოდით. ასეთი ღამისთევების მონაწილეთა უმრავლესობა ხომ ღვინის სმით ვიყავით გართულები, თენგიზი წვეთ ღვინოს არ დალევედა და მთელი ღამის განმავლობაში ფანქრით ხელში (ის ახლაც კარგად და გატაცებით ხატავს), სუფრის ნევრების პორტრეტებისა და კარიკატურების ხატვაში ატარებდა დროს.



თენგიზ და ნათია არჩვაძეები,
თეიმურაზ ებრალიძე





თეიმურაზ ებრალიძე, თენგიზ არჩვაძე



რევაზ ლალიძე, თენგიზ არჩვაძე, შოთა მანაგაძე,
სოფიკო ჭიაურელი, კოტე დაუშვილი,
დოდო აბაშიძე, თენგიზ გორდელაძე



მე და რეზო ლალიძე – KFB-ს მსხვერპლნი

მე და რეზო ლალიძეს ერთხელ გვითხრეს – პარიზში უნდა წახვიდეთ, ფესტივალზე გაიმარჯვებთ და პრიზებით გაჯილდოვდებით.

დაგვიბარეს „კაგებეში“ და თავიანთ პოლიკლინიკაში წაგვიყვანეს...

შეგვიყვანეს ერთ ოთახში, სადაც სავარძელში მჯდარი ჩინოვნიკი დაგვხვდა. ჩვენთვის სკამიც არ შემოუთავაზებია, პირდაპირ შეუდგა ანკეტის შევსებას:

- სახელი?
- რევაზი, ბატონო!.. რეზოს მეძახიან.
- გვარი?
- ლალიძე.
- პროფესია?

მეგობარმა, რომელიც თან გვახლდა, ველარ მოითმინა და გაკვირვებულმა განმარტება სცადა:

- კომპოზიტორია, ბატონო, ნუთუ „თბილისო“ მაინც არ...

პოლკოვნიკმა მეგობარს სიტყვა არ დაამთავრებინა და იგივე კითხვებით მე მომმართა.

ანკეტის შევსების შემდეგ მე და რეზოს რალაც ნემსები გაგვიკეთეს, იმხელა შპრიცები იყო, ახლაც შიშით მახსენდება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, როგორც იქნა, ჩავსხედით მე და რეზო თვითმფრინავში, ჯიბეში 200-200 დოლარი გვიდევს და სადაცაა გავფრინდებით. რეზო შეფიქრიანებული მეკითხება:

- კაცო, ეს 200 დოლარი რაში გვეყოფაო?!

მე ვამშვიდებ – შენი 200, ჩემიც 200, უკვე ოთხასია! პარიზში რომ ჩავალთ, იქაური ქართველები გვნახავენ და გვიპატრონებენ-მეთქი.

ამ ლაპარაკში ვართ გართული და ასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავს ტრაპი ისევ მოაყენეს და მე და რეზო ჩამოგვსხეს... ბუნებრივია, ის 200-200 დოლარიც ჩამოგვართვეს. რეზო ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ამ ამბის გამხელის უფლება არ მისცემია, მეც გაჩუმებული ვიყავი აქამდე.



მარსკვლავი

თენგიზ არჩვაძეს

სურვილების გამმხელი ხარ,
ვენაცვალე შენს სურვილს.
კახელებთან კახელი ხარ,
ხევსურებთან – ხევსური.
ცისკენ მზისა მზერით წახვალ,
თავს მზის სხივი გეგლევა,
რაჭამ იცის, შენ ვინცა ხარ,
რაჭა ვერ შეგეგლევა.
და რაც სხვაზე ვერ გავცვალე –
რაც შენს გულში ნათელობს,
მე შენს თბილისს ვენაცვალე,
თბილისელი ქართველო.

შენი ჯანსუღი

ქმნა 2011
მარტოშვილი



მურმან ლებანიძის საჩუქარი

ერთი ამბავი გამახსენდა:

ერთხელ მურმან ლებანიძემ რუსთაველის საზოგადოებაში მისვლა მთხოვა. ვიფიქრე, რამე პოლიტიკურ პარტიაში არ გამაწევრიანონ-მეთქი და ფეხი ავითრიე, ბოლოს მურმანმა ამიხსნა, რუსთაველის საზოგადოების წევრი უნდა გახდეო. პოლიტიკური ხომ არაფერია-მეთქი, ვიკითხე, ჰოდა, რომ დავრწმუნდი, პოლიტიკური არაფერი იყო, მივედი. არაჩვეულებრივად შემხვდნენ. ქალბატონმა ლენამ (მურმანის მეუღლემ) რაღაც კონვერტი გადმომცა, ვიფიქრე, ალბათ, ადრესია-მეთქი. მერე ბატონმა მურმანმა მითხრა, სახლამდე მე თვითონ გაგაცილებ და ვიდრე ფანჯრიდან არ გადმოიხედავ და არ დავრწმუნდები, რომ სახლში ხარ, მანამ არ წავალ. მივხვდი, საქმე რაღაცაში იყო. თურმე კონვერტში 2 000 ლარი ჩაუდვიათ. ასე შემატანინა ძღვენი ოჯახში ბატონმა მურმანმა.

მურმან ლებანიძე

არჩვადის „გალსტუკი“

ამ მოთხრობის პირობა ასეთია – რაჭაში რაჭველი უამბობს რაჭველს:

„თენგიზუკას, ბიჭო, ჩვენს თენგიზს, ჰო, კაცო, არტისტს, რუსთაველის ლაურეატს, კაი პურისმჭამელს და კაი მაგარ ბიჭს, მთავარი პური ზემო ბარს უჭამია, „პახმელიაზე“, მესამე დილას, ფუტიეთს აგლაძეებში გადმოსულა და სხვაგვას ძმაკაცებით დავლიანიძეებში რომ ჩამოუვლია, ეშხზე მოსულს დილაუთენია ეზოში გამოსული დროული კაცისთვის „გამარჯობა, ბიძაჩემო!“ შორიდან უყვირია.

„ქვეც გაგიმარჯოს და ქვეც ხელი მოგიმართოს! შენთვის და სხვისთვის ღმერთმა ქვეც კაი ფეხზე გატაროსო!“ – შახიანად უპასუხია ეზოში გამოსულ დროულ კაცს. მოსწონებია თენგიზ არჩვადეს კაცური პასუხი, ქეიფით მაძლარი ყოფილა, თან ქალაქს ნაჩქარება ჩასვლას და ამბავს გაგრძელება აღარ ექნებოდა, მარა ეშმაკს არა სძინებია იმ წუთებში და ასეთი სიეშმაკე უთქმევინებია თენგიზისთვის:

„დალოცვა კაი გცოდნია, ბიძა-კაცო, სადღეგრძელოც თუ იციო! გაგიმარჯოს და კაი ფეხზე მატაროს, თვარა შენც ახლა, უცბად, ქვევრი არ მომიხადო ამ დილასო!“

„გადმოდი და მოგიხდო!“ – უთქვამს კაცს გულმოსულად, – ჰო, გადმობრძანდი, ბატონო! – გაუმეორებია.

შეყოყმანებულია ჩვენი თენგიზი, არ მოელოდა თურმე ასეთ პასუხს: „ბიძაჩემო, მეორედ არ მითხრა, თვარა ჭკუა კი არ დამიშლის, ქვეც-ქვეც გადმოვალ ჩემი ბატალიონითო!“ – დამუქრებია დროულ კაცს.



ეს დროული კაცი დავლიანიძე ყოფილა, თანაც კაი კონია დავლიანიძე, ერთი სუფრისთავი და პურისჭამაზე მიზეზის მადებარი: „ვინც არ გადმოვიდეს?! არა, ვინც არ გადმოვიდესო?!“ – გოუჯავრებია თენგიზუკა.

გაჯავრება აგრე არ უნდაო და, გადაზრიალებულა კონია დავლიანიძის ეზო-კარში თენგიზ არჩვადის ბატალიონი....

ქალი შინ არ ჰყოლია კონია დავლიანიძეს, მარა წარბი არ შეუხრია: ამოუღია ყველი დერგიდან, ლორი ჰქონია წუხანდელი მოხარშული, დოუმტვრევია ერთი გობი ნიგოზი და მეტი რალა უნდა ჭურისთავზე მისულს?! ახლა ბარი მიუცია თენგიზ არჩვადისთვის ხელში, შემოუხაზია წკირით აყალო, მოხადე ქვევრიო, ეუბნება.

„დავინწყებული მაქვს ქვევრის მოხდა, არაფერი ჩამივარდეს, მომეხმარე მოხდაშიო“. „ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა, ასე რამ გადაგაჯიშა, ქვევრის მოხდა რამ დაგავინყაო!“ – მართლა ასე კი არ ყოფილა საქმე, გასაცნობად შეხუმრებიან ერთმანეთს... მოუხდიათ სამოცფუთიანი და ამოუღიათ ხრიკით, გადაუსხიათ ჩაის სტაქნებში და... ჭუკისფერი ყოფილა ღვინო.

მოუღერებიათ ყელი და შეუბერიათ ღდინზე დილაადრიან. უთქვამთ „რაეო“ და „ქვედრულა“ მიუყოლებიათ, უთქვამთ „ქალსა ვისმე“ და გოდოუხვევიათ მკლავები ერთმანეთისთვის – ჭურისთავზე „მალლა მთას მოდგა“ დოუგუგუნებიათ...

მოუჩანჩლებია ჭრელი იაპონური „გალსტუკი“ თენგოს, ეშხში შესული, მასპინძელს გადახვევია: „ვინ ყოფილხარ, კონია დავლიანიძე, რა ყოფილხარ, კაცო! რითი გითხრაო მადლობა?! – ჯიბეები მოუჩხრეკია. „ღვინოს ვსვამ და ვარ ჭკუაზეო, თენგიზა ვარ, არჩვადეო!“ – უყვირია...

თენგიზის ამხანაგისთვის უკითხავს ჩუმად, ყურში, კონია დავლიანიძეს: „კაცო, რომელი თენგიზ არჩვადეა ეს კაცი, ერთი არტისტუკა გვყავს რაჭველებს, ის ხომ არ არიო?“

გასცინებია ამ კაცს: „აჰა, ვინ არის ეს ღმერთძალდი! ჩვენც არტისტები არა ვართო“, გადარეულა კაცი; ამას ჰგონებია, მიცნო კონიამ და იმიტომ მომიხადა ქვევრიო, სინამდვილეში უბრალოდ სოფელზე ჩამოვლილი მგზავრებისთვის ეცა პატივი კონია დავლიანიძეს, ასე გამოდიოდა. – „გამიშვით! რა მინდა ამ ჭურისთავზეო!“ – უყვირია.

მისცვივნიან საკუთარი ამხანაგები და წუთში ჭკუაზე მოუყვანიათ: „შე კაი კაცო, შენს რაჭაში ვართ, რომელი რომელსა სჯობს: ეს კაცი მარტო ნაცნობ-მეგობრებს კი არ უხდის ქვევრს, ამსვლელ-ჩამსვლელს სუფრას უშლის, ამაზე მეტი რა გინდაო!“

დანყნარებულა ჩვენი თენგიზი, ამაზე მეტი მართლაც რა გვინდა ამ კაცისგანო, დათანხმებულა, მარა მაინც გამოსდავებია მასპინძელს: „ამჯერად გაგიმართლა, ჩემო კონია, მარა კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო, – ჭკუა დოურიგებია, – არც ასე თვალდახუჭულად თანგადაყოლა ვარგა, თვარა ათასი ოხერი ბოსიაკი დეეთრევა ამ ჩვენს ხეობებში და ადვილად შეიძლება, პატივისცემა წყალში ჩაგეყაროსო! ამასწინებზე ერთი წაფრანგო-მოფრანგო კაცი ჩამოატარეს საქართველოში, ასვეს, აჭამეს, ჩიტის რძე არ დოუკლიათ, მარა წეეთრია თავის ქვეყანაში და წიგნი დაჩხაპნა, ჩვენი სიკეთე ვერ დოუნახავს, შიგ სულში გვაფურთხებს შობელძალდიო...“

„შენ მაგისი ჯავრი ნუ გექნებაო, – სიცილით უთქვამს კონიას, – ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ გლახა კაცს ჩემს ოჯახში ფეხი არ შემოუდგამს, ტყუილად კი არ მივლია ქვეყანაზე. სამი რამის ცნობა მეც ქვე ვიცი: კაი ქალის, კაი ღვინის და კაცური კაცისო!“

სამი სიმღერა უთქვამთ კიდევ: „ჩვენი მასპინძლის მარანში სულ ლხინია და თამაშიო“, „დალიე და დადგი თასი, ჩვენ ვინა გვყავს შენი ფასიო“ და, ეს უკვე ჭიშკარში, გამომშვიდობებისას, კაი რაჭული „ალილო“ დოუგვირისტებიათ. თენგიზუკასაც სცოდნია, კაცო, თვითონ დოუნყია ჩვენი ძველებური რაჭული „ალილო“... ტიროდნენ, ბიჭო, და ისე მღეროდნენ თურ-



მე... სიმღერა რომ ჩაუთავებიათ, მოუჩანჩლებია კიდევ უფრო ის თავისი იაპონური „გალსტუკი“ ჩვენს თენგიზს, ქოჩორზე გოდოუტარებია ასე შეკრულ-შეკონილი და კისერზე ჩამოუცვია კონიასთვის, სახსოვრად გქონდეს ჩემგანო...

– „მერე, კაცო, მერე?! ეგ ის კონია არ არი – ლამაზი, მაღალ-მაღალი, მთასავით კაცი, გალიფე-აზიაცკებში რომ უყვარს ამბროლაურს საყიდლებზე ჩამოსვლა?! მაგ ხნის კაცს და მაგისთანა კაცს ქვე რათ უნდა იაპონური „გალსტუკი?!“

– ჰმ! რათ უნდაო! რათ უნდა, ბიჭო და, საყურებლად! კედელზე უკიდია, უყურებს და სხვასაც აყურებინებს. სტუმრიანი კაცია, მიუდის და მოუდის ხალხი. „კონია, ვისიაო?“ – არ შეიძლება, არა ჰკითხონ, იმისთანა ლამაზი „გალსტუკია“. „ვისია და თენგიზუკასიაო?!“ – ეტყვისყე. „რომელი თენგიზუკასიაო?!“ – ჩეეძიებიან, „რომლის და, არჩვადისაო!“ რომელი თენგიზ არჩვადის, კაცო, არტისტისაო?!“ „აჰა, რომლისო, ბიჭო, არტისტისო, რუსთაველის ლაურეატის!“ „საიდ იცნობო?“ – გოუკვირდებათყე. „ვიცნობ რა, აგერ, ჩემს მარანში, ჭურისთავზე კი არ გვიქეიფიაო?!“

დაალებენ პირს და ათვალიერებენ თენგიზ არჩვადის ჭრელ, იაპონურ „გალსტუკს“. ასეთია ეს ამბავი, ღმერთმანი! მეტისმეტად უცნაური კაცია კონია დავლიანიძე. წვედიდეთ ნიძლავზე, თუ გინდა, ჩამოვიაროთ დავლიანიძეები და გამარჯობა დევიძახოთ, თუ მაგან დოუთრობელი გამოგვიშვას!



პოეტური მადლით მოსილი

ვისაც ჭაბუკი თენგიზ არჩვადე ახსოვს, ის ვერ წარმოიდგენს საიუბილეო სიღარბაისლით მოსილ თენგიზს. სცენაზე თუ ეკრანზე ის იყო სათუთი ბუნების, პოეტური შუქით გაბრწყინებული ახალგაზრდა, რომელიც მაყურებელთა დარბაზს თავისი განუმეორებელი ხიბლით ათბობდა.

მე მიყვარს, როცა მსახიობმა იცის, რას თამაშობს, რისი გადმოცემა უნდა, ვინ არის ეკრანზე თუ სცენაზე. ეს თვისებები იმ მსახიობთა ხვედრია, რომელთაც ჩვეულებრივ, ინტელექტუალურ მსახიობებს უწოდებენ ხოლმე, ინტელექტი თეატრში კი ნიშნავს ნაკითხობას, ხელოვნების ბუნების ცოდნას, ადამიანთა ცხოვრების ფართო თვალსაზრისით აღქმას.

ეს თვისებები თენგიზ არჩვადეს ბუნებამ უხვად მოამადლა.

იგი არ ცდილობს, სცენასა თუ ეკრანზე „სხვად“ იქცეს, გარდასახვას მიაღწიოს ოსტატური გრიმით თუ გარეგნული აქსესუარებით. იგი მუდამ თენგიზ არჩვადედ რჩება, მაგრამ მაინც სხვაა. მისი „გარდაუსახავი“ სახით მეტყველებს სხვა გმირი, სხვა ადამიანი და უკვე გვჯერა, რომ ის გმირი სწორედ ამგვარი გარეგნობისა იქნებოდა. მახსოვს, სწორედ ამაზე მითხრა ერთხელ, გრძელი ცხვირის მინებებაზე ადვილი არაფერია, რთული ადამიანის სულის წარმოჩენააო.

ჩვენ, რამდენიმე მეგობარმა და მათ შორის თენგიზმაც, მოვანწყვეთ ერთი-ორი გასვლა ქალაქგარეთ, თბილისის შემოგარენში. ეს არ იყო ექსკურსია პურმარილითა და სასმელით დამშვენებული. კოჯრის, კიკეთისა თუ ბეთანიის ტყეებში ჩვენ ვცდილობდით ერთმანეთის ამოცნობას და, რაც მთავარია, ვიხიბლებოდით ბუნების საოცრებათა პოეტური აღქმით, თანაც ეს გასეირნება დატვირთული იყო საუბრებით ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ლიტერატურა მისთვის უბრალო გატაცება არ არის, ლიტერატურა მისი ცხოვრების ნაწილია. ამიტომ კითხულობს ასე ოსტატურად ქართული პროზის ქმნილებებს. მისი ღრმა დრამატიზმით აღსავსე ხმა ატყვევებს მსმენელს.

თენგიზ არჩვადის მსახიობური ცხოვრება სწორედ ახლაა სიბრძნის ასაკში, მას შესწევს ძალა, უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ამიტომ არ ჩამოვთვლი იმ როლებს, რომელსაც უკვე კარგად იცნობს მაყურებელი და პოპულარიზაცია აღარ სჭირდებათ. საიუბილეო წერილში ამგვარი ჩამოთვლები, მე მგონია, ზედმეტიცაა, ასეთ დროს ისლა დაგვრჩენია, ჩვენი დიდი სიყვარული გამოვუცხადოთ და წარმატებანი ვუსურვოთ.

თამაზ ბიბილური



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კ უ ლ ტ უ რ ი ს
ფ ო ნ დ ი



GEORGIAN CULTURE
FOUNDATION

ФОНД КУЛЬТУРЫ
ГРУЗИИ

N 01-19

სა

04 - 08 2009

საქართველოს სახალხო არტისტს

ბატონ თენგიზ არჩვაძეს

ბატონო თენგიზ, დიდი თქვენი დამსახურება ქართული სამსახიობო და კინოსელოვნების განვითარების საქმეში. თქვენ ქართველი და უცხოელი მაყურებლის აღიარება და დიდი სიყვარული მოიპოვეთ.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

საქართველოს კულტურის ფონდის
თავმჯდომარე

მერაბ ბერძენიშვილი



მურმან ჯგუბურია

თენგიზ არჩვაძეს

შენ არნიეს ჰგავხარ, ოდნავ
 ნინწანეული მკერდით,
 ვითომ საქმე რამ გქონდა,
 ქალაქს ფანჯრიდან ჭვრეტდი,
 მძიმეა ჩვენი მოდგმა,
 ვერ გაფრინდები ვერსით,
 ღამემ შეჭამა ოდა
 და სამასამდე ვერსი,
 თან მღვრიე ფიქრებს ფურცლავ,
 იგონებ ცხუმს და ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 დათას სჯობია მუშნი,
 მუშნის სჯობია დათა,
 რომ ჩაიხედო გულში,
 ველარ იპოვი მართალს,
 ერთს სამსახური უშლის,
 ცვითავს მთავრობის ფართალს,
 ხოლო აბრაგი ურჩი
 ძალ-ღონეს მუქთად ფანტავს.
 თან მღვრიე ფიქრებს ფურცლავ,
 იგონებ ცხუმს და ცხინვალს.
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 როლი-როლია, მაგრამ
 როლია – ერთა შორის,
 მრავალი როლი გაქრა
 და ჩაიკარგა მორევს,
 ბევრგზის გაფუჭდა საქმე
 ჩვენი მთისა და გორის,
 „ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე“,
 კითხულობ სხვათა შორის,



თან მღვრიე ფურცლებს ფურცლავ,
 იგონებ ცხუმს და ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 „ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე“,
 კითხულობ სხვათა შორის,
 თან მღვრიე ფიქრებს ფურცლავ,
 იგონებ ცხუმს და ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 თან გეშინია ხოლმე –
 მეფე არ გახდე მართლა,
 ჩანს მირიადი კომლი,
 როცა იხსნება ფარდა,
 ჩვენი სხვა არის ხომლი,
 მრავალი რამის გარდა,
 არსად ასეთი თოვლი,
 არსად ასეთი დარდი,
 თან მღვრიე ფიქრებს ფურცლავ,



იგონებ ცხუმს და ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 გახსოვს პაუნდი, ეზრა,
 დუქანს ნატრობდა ვინაც,
 კარგია მცირე ეზო,
 ან საკუთარი კინო,
 შენსას უვლიდე მესერს,
 შენი მრევლისთვის სწირო,
 შეუნარჩუნო ლექსებს
 ძველი კოლხური კილო.
 თან მღვრიე ფიქრებს ფურცლავ,
 იგონებ ცხუმს და ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს თუმცა,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 ნუთუ ის არის მყარი,
 რაც ალბათობით ითქმის,
 მგონი, რომ, ასე არი,
 კი, ეს ასეა, თითქმის:
 ალბათ ატყდება ქარი,
 ან კვლავ იწვიმებს, ვინ თქვას,
 არცა ცხოვრება წყნარი,
 არც თავის მოკვლა გინდა,
 არც მღვრიე ფიქრებს ართავ,
 არც ცხუმს იგონებ, ცხინვალს,
 სხვამ ვით გაიგოს მართლაც,
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ.
 ფიქრშია ჩვენი შვება,
 ფიქრს არ მოეშვა, ჯიმა,
 ფიქრში მონყენა ქრება,
 ფიქრში ოცნება ბრწყინავს,
 ისეთი აქ რა ხდება,
 რაც არ ყოფილა წინათ,
 დიდია უფლის ნება,
 მალე გატყდება ყინვა,
 მოდი, ფიქრს ვუთხრათ ქება,
 ამოვაყოლოთ გმინვა,
 გაიმეორონ მთებმა
 ქართული მეხის გრგვინვა,
 რათა გაიგონ სხვებმაც –
 ვინ ვიყავით და ვინ ვართ!





თენგიზ არჩვაძე, რევაზ თაბუკაშვილი

ანზორ სალუქვაძე

თენგიზი

თუ კაცთან ორმოცდახუთწლიანი მეგობრობა გაკავშირებს, თამამად შეგიძლია განაცხადო, რომ ის კაცი შენი ძმავა! აკი ვაცხადებ და მეამაყება კიდეც! მეამაყება, რადგან ჩემი ძმა თენგიზ არჩვადე საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი გახლავთ – სახალხო არტისტი, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ათჯერ ათი სცენური თუ ეკრანული სახის შემქმნელი, მათ შორის: ზარანდია, ალუდა ქეთელაური, მეფე ალექსანდრე და მეფე ერეკლე!

თენგიზ არჩვადე – კაცი უღარიბესი და კაცი უმდიდრესი ერთდროულად! უმდიდრესი, რადგან საქართველოში იშვიათად თუ მოიძევ ისეთ ადამიანს, ვინც თენგიზ არჩვადეს არ იცნობდეს და თაყვანს არ სცემდეს, ხოლო, უღარიბესი იმიტომ, რომ რაა ის ფარა, რომელსაც ჩვენში ხელოვანს უხდიან?!...

მაგონდება რუსლან მიქაბერიძის თენგიზისადმი სახელდახელოდ მიძღვნილი ოთხიოდე სტრიქონი: „– ამათი დედა!.. – თუ არ ვთქვი, მაშ გამოვხატო მა რათი?! – კაცს, ორი მეფის მთამაშებს, არ ჰქონდა ორი მანათი!“

ეს ექსპრომტი ასე დაიბადა: მოსწავლეებს შეხვედრა ჰქონდათ იმ ფილმის გადამღებ ჯგუფთან, სადაც თენგიზ არჩვადე ორ მეფეს ასახიერებდა – მეფე ალექსანდრეს და მეფე ერეკლეს. შეხვედრის დამთავრების მერე მასპინძლებმა მცირე ნადიმზე მიგვიწვიეს. ბინა, სადაც სუფრა იყო გაშლილი, საბურთალოზე მდებარეობდა, ხოლო ჩვენ რუსთაველის გამზირზე გახლდით. მანქანები ქაღალატონებს დაეთმო. ჩვენ კი – თენგიზსა და მე, გზის გასაგნებად მასპინძლის პატარა გოგონა დაგვიტოვეს, ბუნებრივია, იგულისხმეს – ტაქსით წამოვლენო, აბა, რას იფიქრებდნენ, რომ არც თენგიზს და არც მის მეგობარს ჯიბეში მანქანის საფასურიც არ აღმოგვაჩნდებოდა. გადავხედეთ ერთმანეთს, ბავშვს კი აღარაფერი ვაგრძნობინეთ. ვდგავართ და ვიცდით, თან ვფიქრობთ, ეგებ ნაცნობმა ვინმემ მანქანიანმა ჩამოიაროს და საშველი დაგვაყენოს...

– რად არ მივდივართ, თენგიზ ბიძია? – უკვირს გოგონას.

როგორც იქნა, ნანატრი ნაცნობიც გამოჩნდა.

მასპინძლები და ადრე მისული სტუმრები შეწუხებული დაგვხვდნენ, სუფრას უჩვენოდ აღარ მისხდომოდნენ, შიშობდნენ – ავი ხომ არაფერი ეწიათო. რომ მივედით, დაგვიანების მიზეზი გვკითხეს. თენგიზმა აღარ დამალა, რაც გადაგვხდა. მიქაბერიძემ შუბლი შეიჭმუნა, უხილავს მუშტი მოუღერა... „– ამათი დედა!.. – თუ არ ვთქვი, მაშ გამოვხატო მა რათი?! – კაცს, ორი მეფის მთამაშებს, არ ჰქონდა ორი მანათი! -ო“, ჩაიქნია ხელი და დასძინა: გულს ნუ გაიტყვ, ჩემო თენგიზ, შენსავით ღარიბი იყო ერეკლეც და ალექსანდრეცო, – ანუგეშა მსახიობი.

ზოგადად რომ ვთქვა, თენგიზ არჩვადე იმთავითვე ემიგრანტს ჰგავდა – ემიგრანტს თავის საკუთარ სამშობლოში! ახლა გაცილებით უფრო მძიმე დროა, რაღა თქმა უნდა, არც სანადი-



როდესაც სცალია ვინმეს. სამ აგვისტოს თენგიზ არჩვაძე იუბილარი იყო. გაიქცა თენგიზი ქალაქიდან, თავი თეთრინყაროს შეაფარა, მოიმიზეზა: გადაღება მაქვსო. ტყუილი არ უთქვამს – გადაღება მართლაც ჰქონდა...

იმ დღეს მე, ორიოდ მეგობართან ერთად, იუბილარის სადღეგრძელოდ ჭიქა ავწიე და ვთქვი: მოდით, ძმებო, იქ, თეთრინყაროში, მადლობა შევუთვალეთ ჩვენს ძვირფას თენგიზს, რადგან თუ ჩვენში, ქართველებში, კეთილშობილებისა რაიმე კვლავაც ღვივის, ეს იმიტომაც, რომ თენგიზის მიერ შექმნილი გმირები და თვით თენგიზიც ცდილობენ ამას!



ანზორ სალუქვაძე, თენგიზ არჩვაძე

„ეპოქის ჭუჭყში გაუსვრელი კაცი“
შემორჩი ქალაქს ამაყი და ბავშვივით მორცხვი

საქართველოში წმინდანივით
იცხოვრე, რადგან –
შენ თავზე უფლის ნაბოძები
გვირგვინი გადგას.
სიმაღლის მჩენი,
გვირგვინი ბედის დამლუპველი
და გადამრჩენი.
სულს მსახურებდი, გადარდებდა
არც არა ხორცის,
შემორჩი ქალაქს ამაყი და
ბავშვივით მორცხვი.
არ დაგკლებია არცა სუსხი
მავანთა ჭორის,
მაგრამ იყავი უჩვეულო
რჩეულთა შორის...
პირველობისთვის არ გიცდია
ლალატი კაცთა,
უპირველესად აღმერთებდი
გულსა და განცდას,
ხან მკლავი მოგჭრეს,
ზარანდია იყავი ურჩი,
და ამიტომაც მოშურნეებს
ვერ გადაურჩი.
ხან ჯამი გედგა ღვინით სავსე,
თუ უფლის სისხლით,
ლოცავდი მამულს დღე ცისმარე
შენ მისხალ-მისხლით;
იყავი მეფეც, სამშობლოსი
გტანჯავდა ბედი,
არ გაგიღუნავს არცა მკლავი
და არცა ქედი.
საქართველოში წმინდანივით
იცხოვრე, რადგან –
შენ თავზე უფლის ნაბოძები
გვირგვინი გადგას...

თემურ ჩალაბაშვილი



საიუბილეო მილოცვები





ჯანსუღ ჩარკვიანი
ჯუანშერ ჯურხაძე (ჯურხა)
ჯემალ ბალაშვილი
გიორგი გეგეჭკორი
გურამ სალარაძე
ლეო ანთაძე
ნოდარ მგალობლიშვილი
მალხაზ ბებურიშვილი
ანზორ ერქომაიშვილი
ბატონო თენგიზ...



ჯანსუღ ჩარკვიანი

ძმაო თენგიზ!

ორი ათასამდე წიგნი მაინც მაქვს სახლში, აქედან რამდენიმე ჩემი მაგიდის წიგნია. დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“ ერთ სტრიქონს გაგაცნობ, რომელიც შენი დაწერილი მეგონა.

„მე ეს ხიდი სავლელად, დიახ, სწორედ გავდეთ,
შენ თუ მრუდედ გაივლი, მე რა წყალში ვარდეთ“.

კი ბატონო, დავით გურამიშვილია, მაგრამ იმასაც ვიტყვი, იმ ხიდს გაუმარჯოს, შენ რომ სავლელად სწორად გავლე... ვისაც სურვილი და ნადილი აქვს, სწორად გაივლის ამ ხიდზე, მრუდედ მოსიარულეს კი – შემხები წერტილი არა აქვს შენთან.

შენ ღვთის ბრძანებით მოევლინე ქვეყანას და ნაირ-ნაირ პიროვნებებს წარმოადგენ ხალხის წინაშე. ერთიც მინდა ვთქვა – ვინც შენი ფასი არ იცის, პირუტყვივით უმეცარია, საბედნიეროდ, ცოტანი არიან მსგავსნი პირუტყვთა. ვაშა იმათ, რომელნიც გუნებაში გიგალობენ და აღიარებენ შენი ნიჭის ძლიერებას.

ფსალმუნში წერია, „მთაგრეხილები მთას შურით უმზერენო“, ჰოდა, შენ მთა ხარ. კარგად მახსოვს, როდიდან ჩამოყალიბდა ღირსება შენი სახელისა... გავიხსენებ: შენ რომ რაჭაში ორმოცდაათი წლისთავი მოგილოცეს, სუფრის თამადა მე ვიყავი. იმ სიყვარულით გადღეგრძელებ დღეს და მარადის. გულახდილად ვიტყვი – შენ შემოქმედთა შორის დგახარ, ვითარცა სიმაგრე!

ჯუანშერ ჯურხაძე (ჯურხა)

„ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზის“ – უკვე მრავალი წელია, ამ სიტყვებით შემოდიხარ ჩემს ოჯახში, „ბატონო ძმაო“.

ვიხსენებ ჩვენი გაცნობის დღეს. ვერაზე ბიჭები შევიკრიბეთ. პირველად მაშინ შევხვდით ერთმანეთს, ხელი ჩამოვართვით და ერთ-ერთი დუქნისაკენ გავემართეთ. მახსოვს, როდესაც კარგად შეზარხოშებულები გამოვედით, შენ მითხარი, ჯუანშერ, მინდა ჩაგეხუტო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ბახუსს დავაბრალე. მე და თენგიზ ერთმანეთს გადავხვით და იცით, რა მითხრა? ეს იმიტომ გთხოვე, რომ მინდა, ერთმანეთის სუნი ცოტა ხნით მაინც გაგვეყვოს.

ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია გრძელდება. რა დრო გასულა?! დღეს კი მე ასე გეტყვი: ჩემო „ბატონო ძმაო“ – ფეხიც შენი და კვალიც შენი მრავალჟამიერ“.




ჯემალ ბალაშვილი

ბატონი თენგიზ არჩვაძე ყველა თაობის მაყურებლისათვის ერთნაირად საყვარელი და ახლობელია. ჩვენში ასეთი ერთგულება ძალზედ იშვიათია. ამას არა მხოლოდ გამორჩეული შემოქმედებითი ტალანტი სჭირდება, რაც ასე უხვად უბოძა მას გამჩენმა, არამედ ასეთივე დონისა და სიმაღლის პიროვნული თვისებები. ჩვენდა საბედნიეროდ, ღმერთმა და ბუნების ძალამ არც ეს დააკლო ბატონ თენგიზს.

უზადო გარეგნობა, ვაჟკაცური იერი, რაინდული ბუნება და შინაგანი კეთილშობილება, საოცარი წიგნიერება და მაღალი ინტელექტი. სულისა და ხორცის სამაგალითო ერთიანობა და, რაც მთავარია, ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული. ეს ყოველივე უხვად აქვს მას მომადლებული და ბატონი თენგიზიც უშურველად დაიხარჯა კინოში, თეატრში თუ საკონცერტო სცენაზე, რათა ამ ღვთით ბოძებული ნიჭით შორს გაეთქვა სახელი თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის.

იცოდა, რა მძიმე და მაღალი მისია დაეკისრა და ჩვენდა საბედნიეროდ მან ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა!



ჯემალ ბალაშვილი, თენგიზ არჩვაძე





ტენგიზ არჩვაძე, ჯემალ ბალაშვილი, კოტე მახარაძე, ამირან ბუაძე

ამ ათიოდე წლის წინ მე წილად მხვდა ბედნიერება, ბატონი ტენგიზის შემოქმედებითი საღამო ჩამეტარებინა სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში. ქართველმა მაყურებელმა ზღვა სიყვარული და სიტბო გამოხატა ბატონი ტენგიზისადმი. ფეხზე ამდგარი დიდხანს, დიდხანს არ უშვებდა მას სცენიდან და მაშინ ბატონმა ტენგიზმა ვაჟა-ფშაველას „იას უთხარით ტურ-ფასა“ წაიკითხა. წაიკითხა ისე, თითქოს ადამიანის ამქვეყნად ყოფნის ყველა ტკივილი შიგ ჩაატიო! განსაკუთრებით კი ეს სტროფები: „ნუ მოხვალ, მიწას ეფარე, მოსვლაში არა ყრიაო“.

მადლობა უფალს, რომ საქართველოს ბატონი ტენგიზ არჩვაძე მოუვლინა!





ამირან ბუაძე, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ არჩვაძე,
ლეო ანთაძე, თეიმურაზ გუგუშვილი



კახი კავსაძე, თენგიზ არჩვაძე





„მლერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“.
კონცერტის შემდეგ



„მივალ, მივყვები“.
თენგიზ არჩვაძე ნიკო ნადირაშვილის ტრიოსთან ერთად



გურანდა გაბუნია, ნიკო ნადირაშვილი,
თენგიზ არჩვაძე, ჯემალ ლალანიძე, კახი კავსაძე,
ამირან ბუაძე, გიორგი გეგეჭკორი

გიორგი გეგეჭკორი

ღმერთმა, განგებამ, მშობლებმა უხვად დაგაბერტყეს ნიჭი, მშვენიერება და მიმზიდველობა. შენ მიერ განსახიერებული მხატვრული სახეები კი დღესაც მისაბადნი არიან ქართველი ხალხისათვის.

ჩვენ სხვადასხვა სცენიდან ვიბრძოდით ერთიანი იდეისთვის, ქართული ხელოვნების, კერძოდ კი – თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის. მიხარია, რომ შენნაირი პიროვნებები დგანან ქართულ სცენაზე. ეს კი ნიშანია იმისა, რომ ქართული თეატრი კვლავაც მყარად დგას და ასე იქნება მომავალშიც.



გურამ სალარაძე

ბედნიერებაა, როდესაც მსახიობი თავისი ხალხისა და ერის ისეთ დიდ სიყვარულს იმსახურებს, როგორც ეს თენგიზმა მოახერხა. შეიძლება გენიალური მსახიობი იყო, მაგრამ ეს გენიალურობა ადამიანურ ღირსებებთან ვერ შეათავსო. თენგიზის გულწრფელობა, უშუალობა და სიალალე კი ერთნაირად მომხიბლავია ყველასათვის. ბედნიერებაა, როცა ჩვენს – მსახიობთა ამქარში არსებობს ისეთი ღირსეული პიროვნება, როგორიც თენგიზ არჩვაძეა.

მე სერიოზულად რომ შევუდგე მისი შესანიშნავი სამსახიობო კარიერის განხილვას, დასაცინად გავიხდი თავს. მასზე შეიძლება ბევრი და დაუსრულებლად ილაპარაკო. ამიტომაც მხოლოდ მის პიროვნულ ღირსებებს შევეხე.

კარგი მსახიობი + კარგი პიროვნება იშვიათი მოვლენააო, – ამბობენ... არადა, ჩვენ სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა თენგიზ არჩვაძეზე ვსაუბრობთ.



“Очи черные”. ნატო არჩვაძე, თენგიზ არჩვაძე

ლეო ანთაძე

თენგიზ არჩვაძე ყველასათვის საყვარელი ბრწყინვალე მსახიობია. ჩემი მეგობრობა მასთან სკოლის ასაკიდან იწყება. ჩვენ ერთად ვმონაწილეობდით მოსწავლეთა სასახლის დრამატული წრის წარმოდგენებში, სადაც თენგიზი გამოირჩეოდა თავისი მსახიობური ნიჭით. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი, მარჯანიშვილის თეატრი, კინო და მრავალი წარმატებული როლი.

მის პიროვნულ თვისებებსაც მინდა შევეხო: მას უაღრესად რაინდული, კაცური თვისებები აქვს, იცის მეგობრობა და ვისაც ამ მხრივ მასთან შეხება ჰქონია, ყველა დამეთანხმება ამაში.

ერთი კურიოზული ამბავი მინდა გავიხსენო:


სტუდენტობის დროს თენგიზი სტუმრად მენჯია და ნარდის თამაში შევთავაზე, თუმცა გამოირკვა, რომ ამ თამაშის გაგებაში არ იყო, საშინელ შეცდომებს უშვებდა. მაგრამ საოცრად მოსდიოდა კამათელი და რამდენი ხელიც ვითამაშეთ, ყველა მომიგო. ანგარიში გახდა თორმეტით ნული. მამაჩემი ესწრებოდა ჩემს შერცხვენას და ჩემს ნერვიულობაზე სიცილს ვერ იკავებდა. თორმეტით ნული რომ გახდა, შევეხვეწე თენგიზს, ერთი ხელი კიდევ მეთამაშე-მეთქი, მაგრამ მან კატეგორიული უარი მითხრა. მე მაინც არ მოვეშვი და ვევედრებოდი, არ მინდოდა, მშრალი ანგარიშით წამეგო.

ბევრი ხვენწის შემდეგ, როცა იქნა, დამთანხმდა იმ პირობით, თუ მამაჩემის თვალწინ დავიჩოქებდი და ისე შევევედრებოდი. მეტი რა გზა მქონდა, დავუჩოქე თენგიზს და ვთხოვე, ერთი ხელი კიდევ ეთამაშა. მამაჩემი მთელი გულით ხარხარებდა. ვითამაშეთ მეცამეტე პარტია და ისევ მარსით წავაგე.

კიდევ ვიმეორებ, რომ თამაში სულ ახალი ნასწავლი ჰქონდა და ელემენტარულ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ ზღაპრულად მოსდიოდა კამათელი.

ვუსურვებ თენგიზს, რომ ცხოვრებაშიც ასე უმართლებდეს და სულ გამარჯვებულს ევლოს ამ მიწა-წყალზე, მთელი თავისი წუთისოფელი.





ნოდარ მგალობლიშვილი

მე თენგიზ არჩვაძეზე ერთი წლით უფროსი ვარ, ამიტომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდული ასაკიდან ასე ვეხუმრებოდი ერთმანეთს: როცა მე ვლაპარაკობ, შენ უნდა გაჩუმდე-მეთქი. ისიც სერიოზულ სახეს მიიღებდა და კარგი ჯარისკაცივით „ჩესტს“ მიღებდა.

თენგიზ არჩვაძე რომ შესანიშნავი მსახიობია, ამას ჩემზე უკეთ კრიტიკოსები მოგახსენებენ, მე მინდა, მის პიროვნულ ხიბლზე და სრულიად უნიკალურ ადამიანურ თვისებებზე გესაუბროთ.



ნოდარ მგალობლიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ბუხუტი ზაქარიაძე,
ირაკლი უჩანეიშვილი, თენგიზ არჩვაძე



თენგიზს არც ვიცნობდი, თუმცა თბილისი ჩვენს ახალგაზრდობაში ისეთი პატარა იყო, შეუძლებელი იქნებოდა, არ შეგემჩნიათ მის ქუჩებში მოსიარულე ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყურადღებას იმითაც იქცევდა, რომ სულ მუდამ წიგნით დადიოდა. ვთვლი, რომ მეც წიგნიერი ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა, როდესაც პირადად გავიცანი და დავუახლოვდი, გავაცნობიერე, როგორი განათლებული და ერუდირებული იყო თენგიზ არჩვაძე. ლიტერატურისადმი განსაკუთრებული სიყვარული ოჯახიდან მოსდგამდა. შესანიშნავი ოჯახის შვილს ისეთი ფასეულობებითა და ღირებულებებით ზრდიდნენ, რაც სამწუხაროდ თანამედროვე რეალობაში დაიკარგა.

მე, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, ირაკლი უჩანეიშვილმა და მალხაზ ბებურიშვილმა მასთან მეგობრობა და ძმოება სწორედ ქუჩიდან დავიწყეთ, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე თეატრალურ ინსტიტუტში შემოაბიჯებდა. ის დაავადებულია „ძმაცაცობის სინდრომით“. ტრადიციებისა და ადათ-წესების მოყვარულს დიდი გულმონყალება და შენდობის უნარი ახასიათებდა სულ მუდამ. ერთადერთი, რასაც ვერ პატიობდა კაცს, და სხვათა შორის ვერც ქალს, ლალატი იყო. ამიტომაც მოღალატე, სქესის მიუხედავად, არც არავინ ხიბლავდა. ასეა დღემდე.

ერთი საოცარი თვისებითაც გამოირჩევა: განსაკუთრებული გულჩათხრობილობითა და სევდით. მე, გურულ კაცს, სხვა ტემპერამენტი მაქვს, მას რაჭული სიძარბაისლე ახასიათებს. არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს, შესანიშნავი ქალიშვილები, რომლებიც სულ თავს დასტრიალებენ. ცხოვრებული მისი მეუღლე – ნელი ჩვენი კოლეგა იყო, ძალიან გაანვალა ავადმყოფობამ. თენგიზი სულ წუხდა, მისი დაკავებულობიდან გამომდინარე, ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევო, თუმცა უფრო მეტის გაკეთების სურვილი იყო ეს და არა გულგრილობა, მართლაც შესაშური მეუღლეობა გასწია თენგიზმა. ამაზე ლაპარაკი არასოდეს უყვარდა, თავის მოვალეობად თვლიდა და განსაკუთრებულსაც ამ ყველაფერში ვერაფერს ხედავდა.

ნაღვლიან-აფორიაქებულიც ხშირად მინახავს. შეიძლება ხმამაღალ ნათქვამად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის იმდენად გულანთებული პატრიოტია, რომ მისი ფორიაქის მიზეზი უმეტესწილად სამშობლოს სატკივარი იყო.

რა მეხსიერება აქვს, როგორი რაინდული თვისებებითაა დაჯილდოებული, როგორი მკითხველია ქართული პოეზიის შედევერებისა... როგორი სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა იგრძნობა ნაკითხული მასალისადმი... რა წრეში ტრიალებდა სულ მუდამ, როგორი გამორჩეული და განსაკუთრებული საახლობლო ჰყავს...

თენგიზი თეატრის კაცია? რასაკვირველია... კინოს კაცია? რა თქმა უნდა. სუფრის კაცია? ჭეშმარიტად. თენგიზი კაცია? დიახ... „კაცია, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“.

ვულოცავ ჩემს თენგიზ არჩვაძეს იუბილეს, ვუსურვებ მხნეობასა და დღეგრძელობას, ხალხის სიყვარული და დაფასება მას არ აკლია.

და ბოლოს... არ დაგავიწყდეს, როცა შემხვდები, კვლავ „ჩესტი“ უნდა ამიღო, როგორც შენზე უფროსს.



მალხაზ ბებურიშვილი

ჩემო თენგიზ!

ბედნიერებაა, რომ შენისთანა შემოქმედი ჰყავს ქართულ თეატრსა და კინოს. შენს შემოქმედებაზე ჩემგან რაიმეს დაწერა უხერხულად მიმაჩნია. ძალიან კარგად გიცნობს ქართველი მაყურებელი და გეთაყვანება.

მაღალ ღმერთს ვთხოვ, ჯანმრთელად იყო, სიხარული და სითბო ნუ მოგაკლოს. იდღეგრძელე მრავალჟამიერ შენი დიდი ოჯახით.



„ჯვარცმული კუნძული“, მალხაზ ბებურიშვილი, თენგიზ არჩვაძე, გურამ ფირცხალავა





„ღმერთო, რისი გულისთვის“.
თენგიზ არჩვაძე, რუსუდან ბოლქვაძე



„გზის დასაწყისი“.
თენგიზ არჩვაძე, მარინა ჯანაშია



„ყველა კომეტა როდი ქრება“.
თენგიზ არჩვაძე, ლევან აბაშიძე



ანზორ ერქომაიშვილი


თენგიზი ერის უსაყვარლესი და სათაყვანებელი კაცია. მთელი ჩემი ბავშვობა ვოცნებობდი, მისთვის ხელი ჩამომერთმია. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ მას ახლოს ვიცნობ. მიხარია, მის საიუბილეო საღამოებში ჩემი ანსამბლიც რომ იღებდა მონაწილეობას.

ვფიქრობ, ცოტას თუ ხვდომია ხალხისგან ის პატივი და აღიარება, რომელიც ბატონ თენგიზს აქვს.

ბედნიერებაა, როდესაც მისი თითოეული გამოჩენა სცენაზე ხალხი ფეხზე ამდგარი ეგებება თავის ჭეშმარიტ მამულიშვილს.


ამისთვის მართლა ღირდა სიცოცხლე.

ვისურვებდი, რომ ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს იგი და არ მოჰკლებოდეს შემოქმედებითი წარმატებები.





თენგიზ არჩვაძე, კოტე დაუშვილი



თენგიზ არჩვაძე,
რამაზ ჩხიკვაძე,
ბადრი პატარკაციშვილი



ნატო არჩვაძე,
ჯემალ ჭკუასელი,
თენგიზ არჩვაძე,
ქეთი დოლიძე




მაკა მახარაძე, ნათია, ნატო და თენგიზ არჩვაძეები



გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე,
გია ჯაფარიძე



თბილისობაზე ჩოხოსნებთან ერთად




კადრი ფილმიდან „გზის დასაწყისი“



დიმიტრი ხვთისიაშვილი, თენგიზ არჩვაძე,
ნიკა ნანიტაშვილი



ნათია არჩვაძე, გია ჯანბერიძე, ნინო ოკუჯავა, თენგიზ და ნატო არჩვაძეები, ხათუნა კიკვაძე



„პოლოგნიკს არაღინ სწერს“




მწუხრი

უმეტესად უგუნებოდ ვარ. აგვისტოს ომმა სულ გამანადგურა. სოფლად ვიყავი, რომ გავიგე, რაღაც ამბავიაო, იმ დღეს გამოვისტუმრე შვილები. რომ მითხრეს, იგოეთიდან აქეთ მოდიან რუსის ტანკებიო, მანქანით წამოვედი. ღამით არ დავდივარ ხოლმე, განათება არ უვარგა მანქანას... ცხადია, აღარ დაგიდევდით არაფერს. წამოვედი. ჩაშავებული იყო ყველაფერი, ჩვენი ტანკების კოლონა მოდიოდა უკან. დაველაპარაკე.... ხმა არ გამცა არც ერთმა, ახრჩობდათ ბოლმა. უხმოდ მოდიოდნენ... ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მწუხარება, შავი დღე, ხერხემლის გადაღწვის ტოლფასი...



„წიგნი ფიცისა“





ბოლოთქმა

განცდა ასუფთავეებს შინაგან სამყაროს, ან დადებითად მოქმედებს, ან უარყოფითად – სულ დალუპავს კაცს. მნიშვნელობა აქვს, როგორ ხვდება ის ცხოვრებას, როგორ არის მომზადებული, საგზლად რა ჩაუდეს, ხშიადი გამოატანეს თუ მოხარშული დედალი, ან შემწვარი გოჭი. შემწვარ-მოხრაკული ცუდად მოქმედებს, ჯობია, ხშიადი გქონდეს საგზლად – ეს ხმელი პურია.

პირველად რაჭაში რომ ჩამიყვანეს, 8 თუ 9 წლის ვიყავი. ბებია-ბაბუა მყავდა იქ, დედის მხრიდან. იქ მომისწრო ომის გამოცხადებამ. ბებიას პატარა წისქვილი ჰქონდა. დავყავდი ღამით, საფქვავს რომ წაიღებდა. მეორე ბებიასაც ჰქონდა წისქვილი. წისქვილთან, როგორც სულიერ არსებებთან, ისე მივდიოდი ხოლმე. მე საგზლად წისქვილის სითბო და სიყვარული მომქონდა. რატომ წისქვილის?

ყველაფრის ახსნა რა საჭიროა. მთელი სამყარო უნდა ამოვატრიალო, ამისი ახსნა რომ დავინყო. ჩემთვის წისქვილი პატარა სამყაროა თავისი სარეკელათი... „და სარეკელას მადლიან ენით წისქვილი ჰყვება მოსავლის ამბავს“, – გახსოვთ ლადო ასათიანის ეს სიტყვები? წისქვილი ათას რამესა ჰყვება. ფქვავს, სარეკელა კაკუნებს.

რაც ვილაპარაკე, ესეც ზედმეტია. გულახდილობა ხანდახან უზრდელობაა, რაც იყო, იყო, გაზიარება რა საჭიროა, ჯობია, ყველაფერი ჩემთან დარჩეს.

პოპულიზმი, ნარცისიზმი – ეს უცხოური სიტყვებია, ქართულად ამას ამპარტავნება ესადაგება. სულხან-საბა ამბობს: „ამპარტავანი – თავისი ნაქმარის მამწონებელი და უმსგავსო დიდების მოყვარე, გულმაღალი და სწავლის მოთაქილე“. დიახ, ამპარტავნებაა ის, რასაც მოსდევს სიყალბე და დილეტანტიზმი! რას მოვესწარი – მდაბიონი ამაღლდნენ, აღმატებულნი დაეცნენ, უზრდელი გაძლა, ზრდილობიანი დაიმშა, უმეცარნი ხელმწიფობენ და ბრიყვნი თამადაობენ. პოპულარობა გარდამავალია, სახელი კი – ნაღდი.

როცა აღარ ხარ და შენს „დაუხმარებლად“ იზრდება შენი სახელი – აი, ამას ვცემ პატივს და კიდევ პროფესიონალიზმს ვეპყრობი პატივით: კირითხუროს, დურგალს, მენალეს, მწერალს, მსახიობს... ნაღდის სახელის მაძიებელ ყველა კაი ყმას!





„ლმერთო, რისი გულისათვის“



თენგიზ არჩვაძის
შემოქმედებითი დოსიე





„კიევის ფრესკები“

პიონერთა სასახლეში შესრულებული როლები
თეატრალურ ინსტიტუტში შესრულებული როლები
რუსთავის თეატრში შესრულებული როლები
კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესრულებული როლები
კინო და ტელეფილმები თენგიზ არჩვაძის მონაწილეობით
საპატიო წოდებები



პიონერთა სასახლეში შესრულებული როლები:

- მოხუცი გადია – ალექსანდრა ბრუნშტეინი, „ცისფერი და ვარდისფერი“, რეჟ: ვახტანგ სულაქველიძე
- აჩაკუნე, ყარამანი – გიორგი ნახუცრიშვილი, „პატარა მეგობრები“, რეჟ: თედო ნეროძე
- ეპიზოდი – ნინო ნაკაშიძე, „კოტეს დანაშაული“, რეჟ: ვახტანგ სულაქველიძე
- აკაკი ხორავასადმი მიძღვნილი საღამო, „არსენა“, რეჟ: ნოდარ ჩხეიძე
- მისტერ ბიდლი – ანტონინა ლუბიმოვა, „თეთრა“, რეჟ: ვახტანგ სულაქველიძე
- შმაგა – ალექსანდრე ოსტროვსკი, „უდანაშაულო დამნაშავენი“, რეჟ: ნოდარ ჩხეიძე
- გაბრო – ილია ჭავჭავაძე, „გლახის ნამბობი“, რეჟ: ნოდარ ჩხეიძე



სცენა სპექტაკლიდან „თეთრა“



თეატრალურ ინსტიტუტში შესრულებული როლები:

- ასტროვი – ანტონ ჩეხოვი, „ძია ვანია“ (ნაწყვეტები), რეჟ: ლილი იოსელიანი
- ნეზნამოვი – ალექსანდრე ოსტროვსკი, „უდანაშაულო დამნაშავენი“, რეჟ: აკაკი ხორავა
- მირიანი – პოლიკარპე კაკაბაძე, „კოლმეურნის ქორწინება“, რეჟ: აკაკი ვასაძე



„ფსკერზე“



რუსთავის თეატრში შესრულებული როლები:

- ვასკა პეპელი – მაქსიმ გორკი, „ფსკერზე“, რეჟ: გიგა ლორთქიფანიძე, ნუგზარ გაჩავა
- ტარას ხაზარაძე – კონსტანტინე ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ცისკარი“, რეჟ: გია ანთაძე
- ირაკლი რაზმაძე – ალექსანდრე ჩხაიძე, „ხიდი“, რეჟ: ნუგზარ გაჩავა
- მსახიობი – ზდისლავ სკოვრონსკი, „მანესტრო“, რეჟ: ნუგზარ გაჩავა
- ბიბერახი – იოჟეფ კატონა, „ბანკ-ბანი“, რეჟ: გრიგორი ბერენი





„ხეები ზეზეულად კვდებიან“



კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესრულებული როლები:

- მოლა მუსა – ვაჟა-ფშაველა, „მოკვეთილი“, რეჟ. არჩილ ჩხარტიშვილი
- რუსი ოფიცერი – ლევან გოთუა, „მეფე ერეკლე“, რეჟ. ვახტანგ ტაბლიაშვილი
- ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილი – კიტა ბუაჩიძე, „მკაცრი ქალიშვილები“, რეჟ. თენგიზ კანდინაშვილი
- დირექტორი – ალექსანდრო კასონა, „ხეები ზეზეულად კვდებიან“, რეჟ. ვერიკო ანჯაფარიძე, თენგიზ კანდინაშვილი
- ბარონი – მაქსიმ გორკი, „ფსკერზე“, რეჟ. ლილი იოსელიანი
- ლეიტენანტი კორნი – ალექსეი კორნეიჩუკი, „ესკადრის დაღუპვა“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- არწივი – გრიგოლ აბაშიძე, „მუმლი მუხასა“, რეჟ. შოთა ქარუხნიშვილი
- სერ რიჩარდ რადკლიფი – უილიამ შექსპირი, „რიჩარდ III“, რეჟ. ვასილ ყუშიტაშვილი
- თოდაძე – რევაზ თაბუკაშვილი, „გაზაფხულის ნიაღვარი“, რეჟ. ლილი იოსელიანი
- შაუმიანი – გიორგი ნახუცრიშვილი, „წინამურის“, რეჟ. გიორგი ჟურული
- შოთა – მარიკა ბარათაშვილი, „მარინე“, რეჟ. ლეო შატბერაშვილი, გიგა ლორთქიფანიძე



„ტაიფუნი“. თენგიზ არჩვაძე, ვასო გოძიაშვილი






სცენა სპექტაკლიდან „ფსკერზე“

- ჯოუ-პინი – ცაო იუი, „ტაიფუნი“, რეჟ. ვასილ ყუშიტაშვილი
- შოთა – ნოდარ დუმბაძე, „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- აპოლონი – გრიგოლ ბერძენიშვილი, „დაჭრილი არწივი“, რეჟ. მიხეილ ჭიაურელი
- ჯილბერტ გრიფისტი – თეოდორ დრაიზერი, „ამერიკული ტრაგედია“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- ჯეკი – ტომას ბრანდონი, „ჩარლის დეიდა“, რეჟ. ანზორ ქუთათელაძე
- მოკლე კოლია – ავენირ ზაკი, ისაი კუზნეცოვი, „ორი ფერი“, რეჟ. ვასილ ყუშიტაშვილი
- ბრიტანიუსი – ბერნარდ შოუ, „კეისარი და კლეოპატრა“, რეჟ. ვასილ ყუშიტაშვილი
- რალფი – ანას პარნასი, „აფროდიტეს კუნძული“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- თავადი მაქსი – ანა აღლაძე, „მღელვარე დღეები“, რეჟ. ვერიკო ანჯაფარიძე
- ანატოლი – ნოდარ დუმბაძე, „მე ვხედავ მზეს“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- ჰადენი – ნათან დუგლასი, ჰაროლდ სმიტი, „გადაჯაჭვულნი“, რეჟ. თენგიზ მაღალაშვილი
- გრიგი – მიხაილ სებასტიანი, „უსახელო ვარსკვლავი“, ანზორ ქუთათელაძე
- მიხეილ იაროვოი – კონსტანტინე ტრენიოვი, „ლიუბოვ იაროვაია“, რეჟ. არჩილ ჩხარტიშვილი
- კორნელი – კარელ ჩაპეკი, „დედა“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე





„დედა“. ვერიკო ანჯაფარიძე, თენგიზ არჩვაძე



„მე ვხედავ მზეს“





„ტაიფუნი“



„ტალანტები და თაყვანისმცემლები“


- დათო – ალექსანდრე სუმბათაშვილი, „ლალატი“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე, იური კაკულია
- კაცი – ვალერიან კანდელაკი, „სოკრატე“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე
- დევდარიანი – ალექსანდრე ჩხაიძე, „დღის წესრიგშია ერთი საკითხი“, რეჟ. ნუგზარ გაჩავა
- ველიკატოვი – ალექსანდრე ოსტროვსკი, „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, რეჟ. დიმიტრი ალექსიძე
- ოთარ ნიჟარაძე – გურამ ფანჯიკიძე, „თვალი პატიოსანი“, რეჟ. ნუგზარ გაჩავა



„ძველი ვალსი“. თენგიზ არჩვაძე, მედეა ჯაფარიძე, მალხაზ გორგილაძე



„მილიარდერის ვიზიტი“



„დღის წესრიგშია
ერთი საკითხი“




- რასპუტინი – მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რეჟ. დიმიტრი ალექსიძე, ნუგზარ გაჩავა
- ალფრედ ილი – ფრიდრიხ დიურენმატი, „მილიარდერის ვიზიტი“, რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
- მანანალა – იან ბუკოვიჩი, „მამლის ყივილამდე“, რეჟ. ნუგზარ გაჩავა
- მეგვეთი – ჩარლზ დიკენსი, „დიდი იმედები“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე
- მეფე ალექსანდრე – ლევან გოთუა, „გმირთა ვარამი“, რეჟ. არჩილ ჩხარტიშვილი
- სერგო ხავთასი – ალექსანდრე ჩხაიძე, „როცა ქალაქს სძინავს“, რეჟ. ნუგზარ გაჩავა
- ბელარომონი – ლაიოშ მაროტი, „ჯორდანო ბრუნო“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- ჩიჩერინი – მიხეილ შატროვი, „30 აგვისტო“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- ავტორი – ილია ჭავჭავაძე, „ასის წლის წინათ“, რეჟ. თემურ ჩხეიძე
- ოთარი – ლაშა თაბუკაშვილი, „ძველი ვალსი“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე
- „დიდრო“ – ნოდარ დუმბაძე, „ისევ ამ ქვეყნად დავრჩები“, რეჟ. თემურ ჩხეიძე
- ილო – ლალი როსება, „სახლის ანგელოზები“, რეჟ. მედეა კუჭუხიძე
- ილია – ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“, რეჟ. თემურ ჩხეიძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი



„მგზავრის წერილები“





კინო და ტელეფილმები თენგიზ არჩვაძის მონაწილეობით:

- „ფატიმა“, რეჟ. სიკო დოლიძე
- „კეთილი ადამიანები“, რეჟ. შოთა მანაგაძე
- „ერთი ცის ქვეშ“, რეჟ. ლანა ლოლობერიძე
- „ერთი მოთხრობის ფინალი“, რეჟ. კონსტანტინე ციციშვილი
- „ცეროდენა რაინდები“, რეჟ. ნელი ნენოვა, გენო წულაია
- „ხევისბერი გოჩა“, რეჟ. ნიკოლოზ სანიშვილი
- „ალმაფრენა“, რეჟ. ნანა მჭედლიძე
- „მხოლოდ 17 კილომეტრი“, რეჟ. კონსტანტინე კერესელიძე
- „26 ბაქოელი კომისარი“, რეჟ. აჟდარ იბრაგიმოვი
- „მე ვხედავ მზეს“, რეჟ. ლანა ლოლობერიძე



- „ხევსურული ბალადა“, რეჟ. შოთა მანაგაძე
- „კიევის ფრესკები“, რეჟ. სერგო ფარაჯანოვი
- „შეხვედრა მთაში“, რეჟ. ნიკოლოზ სანიშვილი
- „შეხვედრა წარსულთან“, რეჟ. სიკო დოლიძე
- „ვედრება“, რეჟ. თენგიზ აბულაძე
- „მალე გაზაფხული მოვა“, რეჟ. ოთარ აბესაძე
- „ბზიანეთი“, რეჟ. ლიანა ელიავა
- „უსახელო უფლისციხელი“, რეჟ. კარლო ღლონტი
- „ჯვარცმული კუნძული“, რეჟ. შოთა მანაგაძე
- „წითელი კარავი“, რეჟ. მიხეილ კალატოზიშვილი
- „წყალდიდობა“, რეჟ. თენგიზ გოშაძე



გადაღება სერგო ფარაჯანოვთან



„ხევსურული ბალადა“.
სოფიკო ჭიაურელი, თენგიზ არჩვაძე



„ორშაბათი მძიმე დღეა“



„ორშაბათი მძიმე დღეა“.
ზინოვი გერდტი, თენგიზ არჩვაძე



- „დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ. ვახტანგ ტაბლიაშვილი, დევი აბაშიძე
- „გათენების წინ“, რეჟ. გუგული მგელაძე
- „ნუთისოფელი“, რეჟ. შოთა მანაგაძე, ნოდარ მანაგაძე
- „ფერმა მთაში“, რეჟ. ლიანა ელიავა
- „ანარეკლი“, რეჟ. ოთარ აბესაძე
- „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, რეჟ. გუგული მგელაძე
- „დილის ნისლივით“, რეჟ. გენო ხოჯავა
- „თვალი პატიოსანი“, რეჟ. შოთა მანაგაძე
- „როცა დედები შინ არ არიან“, რეჟ. პავლე ჩარკვიანი
- „დაბრუნება“, რეჟ. რამაზ შარაბიძე



„ნიგნი ფიცისა“. ლიანა ასათიანი, თენგიზ არჩვაძე





„ხევსურული ბალადა“. დოდო აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე



კინოსინჯი. თენგიზ არჩვაძე, გეიდარ ფალავანდიშვილი



კადრი ფილმიდან „ორშაბათი მძიმე დღეა“

- „სინემა“, რეჟ. ლიანა ელიავა
- „დათა თუთაშხია“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე, გიზო გაბისკირია
- „ნიკა მთაში“, რეჟ. ზურაბ თუთბერიძე
- „ყველა კომეტა როდი ქრება“, რეჟ. დევი აბაშიძე
- „გზის დასაწყისი“, რეჟ. ლიანა ელიავა
- „ნიგნი ფიცისა“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე, ამირან დარსაველიძე
- „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“, რეჟ. ვალერიან კვაჭაძე
- „სანამ წვიმა გადივლიდეს“, რეჟ. ქეთი დოლიძე
- „ეტლი შარაგზაზე“, რეჟ. დავით ქვარცხავა
- „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, რეჟ. რეზო ჩხეიძე
- „სპირალი“, რეჟ. გიული ჭოხონელიძე



- „პრემიერა“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- „ხიზნები“, რეჟ. ლეილა გორდელაძე
- „პოლკოვნიკს არავინ სწერს“, რეჟ. მარინა წურწუმია
- „ლამის ზარები“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე
- „ჩემი ძვირფასი, სანატრელი ბაბუ“, რეჟ. პავლე ჩარკვიანი
- „ანთიმოზ ივერიელი“, რეჟ. გიული ჭოხონელიძე
- „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, რეჟ. ერეკლე ბადურაშვილი
- „ღმერთო, რისი გულისთვის“, რეჟ. გიგა ლორთქიფანიძე



„ღმერთო, რისი გულისთვის“





თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავი

საპატიო წოდებები

- 1967 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება
- 1978 წელს დააჯილდოეს საპატიო ნიშნის ორდენით
- 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება
- 1982 წელს გახდა სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
- 1985 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია



- 1997 წლიდან არის ღირსების ორდენის კავალერი
- 2005 წელს მიიღო მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრემია
- 2009 წელს მიიღო კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია
- 2011 წლის 25 იანვარს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ გაიხსნა თენგიზ არჩვაძის სახელობის ვარსკვლავი
- 2015 წელს მიენიჭა აკაკი ხორავას სახელობის პრემია
- 2017 წელს გახდა „ხელოვნების ქურუმი“





სარჩევი

ავტორისაგან	8
წინასიტყვაობის მაგიერ	9
ბავშვობა	31
თეატრალური ინსტიტუტი	63
თეატრი	75
ოჯახი	109
საქართველო	139
კინო	149
ჩემი არამსახიობი მეგობრები	177
საიუბილეო მილოცვები	201
მწუხრი	222
ბოლოთქმა	223
თენგიზ არჩვაძის შემოქმედებითი დოსიე	225



სახალხო არტისტი
© დიმიტრი ხვთისიაშვილი

რედაქტორები: რ. სულაკაური, თ. თითმერია
მხატვარი-დიზაინერი: ა. ბერდიშევი
დამკაბადონებელი: ნ. არჩემაშვილი

© ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2017

National Actor
© Dimitri Khvtisiashvili

© Georgian Biographical Centre 2017
www.georgianbc.ge

ISBN 978-9941-444-31-9

